

პროექტი

სტრატეგია საქართველოსთვის

დოკუმენტის ორიგინალის ტექსტის თარგმანს EBRD უზრუნველყოფს მხოლოდ მკითხველის კომფორტისათვის. თუმცა EBRD გონივრული ზომები მიიღო თარგმანის ავთენტურობის უზრუნველსაყოფად, იგი არ იძლევა გარანტიას, არც ახორციელებს თარგმანის სიზუსტის დამოწმებას. ნებისმიერი ასეთი თარგმანის გამოყენება ხორციელდება თავად მკითხველის რისკით. არცერთ გარემოებაში EBRD, მისი თანამშრომლები ან აგენტები არ არიან პასუხისმგებელი მკითხველის ან ნებისმიერ სხვა პირის წინაშე თარგმანის შინაარსში რაიმე უზუსტობაზე, შეცდომაზე, გამოტოვებაზე, ამოღებაზე, დეფექტზე და/ან რაიმე სახის ცვლილებაზე, მიზეზის და მისგან გამომდინარე ზიანის მიუხედავად. ინგლისურსა და თარგმნილ ვარიანტებს შორის ნებისმიერი განსხვავების ან წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

შინაარსი

რეზიუმე	1
1. ბანკის პორტფელი	4
1.1. ბანკის დღემდე განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა	4
1.2. ქვეყანასთან დაკავშირებული წინა სტრატეგიის განხორციელება ...	5
1.3. გარდამავალი პერიოდის ზეგავლენა ბანკის პორტფელზე.....	6
2. საოპერაციო გარემო.....	8
2.1. პოლიტიკური კონტექსტი	8
2.2. მაკროეკონომიკური კონტექსტი.....	9
2.3. სტრუქტურული რეფორმის კონტექსტი	10
2.4. საქმიანი გარემო.....	11
2.5. სოციალური კონტექსტი	12
2.6. სამართლებრივი კონტექსტი.....	13
2.7. ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილების კონტექსტი	13
3. სტრატეგიული ორიენტირები	15
3.1. კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა	16
3.2. ენერგოსექტორის სრული მოდერნიზაცია.....	18
3.3. საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა	20
3.4. ბანკის შეთავაზებული აქტივობების ზემოქმედება გარემოს და დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე.....	21
4. დაფინანსების ხელმისაწვდომობა.....	23
4.1. კაპიტალის კერძო წყაროები	23
4.2. MDB-ს დაფინანსება და თანამშრომლობა IFI-სთან.....	24
4.3. თანამშრომლობა ევროკავშირთან	26
დანართი 1- პოლიტიკური შეფასება.....	29
დანართი 2 - გარდამავალი ეტაპის სირთულეების შეფასება	37
დანართი 3 - იურიდიული გადასვლა.....	47
დანართი 4 - მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.....	52
დანართი 5 - ტექნიკური თანამშრომლობა	56
დანართი 6 - ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი	57
დანართი 7 - გენდერული თანასწორობა	59

რეზიუმე

საქართველო იცავს მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს ბანკის დამფუძნებელი ხელშეკრულების 1-ლი მუხლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ამ პრინციპების გამოყენება არ ყოფილა ყოველთვის დაბალანსებული.

2003 წლის ვარდების რევოლუციიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა რეფორმების პროგრამას, რომლის მიზანი იყო ქვეყნის გარდაქმნა ევროპულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ. ამ გზაზე მნიშვნელოვანი მიღწევები აღინიშნა, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად ხელისუფლების ბოლოდროინდელი მშვიდობიანი გადაცემის ჩათვლით, რაც ამ რეგიონში იშვიათობას წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, მრავალი გამოწვევაა დარჩენილი. აუცილებელია დიალოგის უზრუნველყოფა ყველა პოლიტიკური პარტიის, ოპოზიციური პარტიების ჩათვლით, და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, პოლიტიკურ პროცესში მათი სრული ჩართულობის ხელშესაწყობად. მედიის არაპირდაპირი კონტროლი მთავრობის მხრიდან მუდმივი პრობლემა იყო. თუმცა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, მედიის ლანდშაფტს გაუმჯობესება დაეტყო. კანონის უზენაესობისა და სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროში ვალდებულების განხორციელების შემდგომი გაძლიერება მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მუდმივი განვითარებისათვის.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის და გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგებმა ერთად საქართველოს მძიმე დარტყმა მიაყენა, მაგრამ მას შემდეგ ეკონომიკის აღდგენა სწრაფი ტემპით განხორციელდა. პროდუქციის წარმოება გაიზარდა 7.2 პროცენტით 2011 წელში და 6.1 პროცენტით 2012 წელს, თუმცა ბოლო დროს აღინიშნება ტემპის შენელება. ზრდა, სხვა ძირითად ფაქტორებთან ერთად, უმეტესწილად განპირობებული იყო წარმოებით, ფინანსური მომსახურებითა და ტურიზმით, ანგარიშების მიმდინარე დეფიციტის ზრდის მიუხედავად, მზარდმა კერძო შემოდინებებმა გამოიწვია შეფასებების გადახედვა, რამაც ცენტრალურ ბანკს მისცა შესაძლებლობა შეეცხო სავალუტო რეზერვები. საბანკო სექტორში შეუსრულებელი სასესხო ხელშეკრულებების წილი განუხრელად შემცირდა. საერთო სამთავრობო დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 2.9 პროცენტით 2012 წელს. ხელისუფლებამ შეძლო შეემცირებინა დამოკიდებულება ოფიციალურ გარე დაფინანსებაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სარეზერვო (პროფილაქტიკური) შეთანხმებების შენარჩუნებასთან ერთად. შედეგად, გარკვეულმა საერთაშორისო საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოებმა გაზარდეს საქართველოს სახელმწიფო ვალის საკუთარი რეიტინგები.

მოკლევადიანი მაკროეკონომიკური პერსპექტივები ზოგადად პოზიტიურია, ვინაიდან ზრდა, როგორც მოსალოდნელია გამოწვეულია უფრო მეტი სოციალური დანახარჯებითა და ფულადი გადარიცხვებით, კერძო სექტორზე გაცემული კრედიტების ამოღებით იმ პირობით, რომ არჩევნების შემდგომი პოლიტიკური რისკების დარეგულირება სწრაფად განხორციელდება. მაგრამ ანგარიშების მიმდინარე დეფიციტი დიდი რჩება, დაახლოებით მშპ-ს 11.5 პროცენტი 2012 წელს, ხოლო ფინანსური სექტორი მასიურად დოლარიზებულია. გარე ვალდებულებების მარაგი მაღალია განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისათვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსების და გადარიცხვების მიუხედავად. სსფ-სთან

სარეზერვო შეთანხმება უზრუნველყოფს დამატებით ბუფერს პოტენციური გარე დარტყმების, სავალუტო კურსების რყევის მიმართ ფინანსური სექტორის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად.

ეკონომიკური ზრდისათვის სტრუქტურული რეფორმის კონტექსტი საიმედოა. საქართველო რეგიონში ტოპ-რეფორმატორია. ფართო და მცირემასშტაბიანი პრივატიზაციების პროცესი მოწინავეა, ფასების დადგენას არეგულირებს ბაზარი, ხოლო სავაჭრო და სავალუტო კურსების სისტემები ფაქტობრივად შეუზღუდავია. ხელისუფლებამ იზრუნა ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაზე, შავი ზღვის ენერგოგადამცემი სისტემის მშენებლობის ჩათვლით, რომლის საშუალებითაც განხორციელდება საქართველოს ინტეგრაცია რეგიონალურ ენერგო ბაზარზე, მარეგულირებელი სტრუქტურის გაუმჯობესება და კორპორაციული მართვის და ბიზნეს ქცევების სტანდარტების დადგენა. მთავრობა აგრძელებს საგადასახადო სისტემის შემდგომ გამარტივებას და რაციონალიზაციას, მცირე და მიკრო საწარმოების ჩათვლით. ამ რეფორმებმა უნდა შეამციროს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი, სახელდობრ, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის მხარდაჭერით.

საქართველოს ეკონომიკამ სარგებელი მიიღო ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმების სრული პაკეტის შედეგად. თუმცა, ლიბერალური ეკონომიკური მოდელის გარკვეულმა ნაკლმა თავი ბოლო დროს იჩინა. ახალმა მთავრობამ, საერთაშორისო გაერთიანების მხარდაჭერის შედეგად, მიიღო დრო და შესაძლებლობა გამოასწოროს საქართველოს განვითარების მიმდინარე მოდელის ხარვეზები, ამასთან, შეინარჩუნოს ქვეყნის განუხრელი და მყარი განვითარების გზა. გარდამავალი პერიოდის დარჩენილი ძირითადი გამოწვევების გადაჭრა შესაძლებელი EBRD დაფინანსებითა და სტრატეგიასთან დაკავშირებული რჩევებით, რაც მოიცავს:

- **ეკონომიკაში კერძო ინვესტიციების დაბალი დონე.** კრიზისის დროს კერძო ინვესტიციები შემცირდა დაახლოებით მშპ-ის 8 პროცენტით. უნდა გაფართოვდეს მთავრობის ძალისხმევა წახალისოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ინვესტორებისა და სექტორების უფრო დივერსიფიცირებული სპექტრის მოსაცვლად. შიდა დანაზოგების სტიმულირება, საპენსიო სისტემის კერძო დაფინანსების განვითარებით, ხელს შეუწყობს კერძო ინვესტიციებს, ასევე კაპიტალის ადგილობრივი ბაზრების განვითარებას.
- **განახლებადი ენერჯის სექტორის გამოუყენებელი პოტენციალი.** ქვეყნის ენერგეტიკულმა სექტორმა გარდამავალ პერიოდში განიცადა ფაქტობრივი კოლაფსი, მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში დაექვემდებარა მნიშვნელოვან გარდაქმნას, ჰიდროენერჯის მოცულობების აღდგენით და გადამცემი ქსელების შექმნით. მაგრამ საქართველოს ინტეგრაცია რეგიონალურ ენერჯი ბაზარში არასრული რჩება, სექტორი განიცდის მნიშვნელოვან დანაკარგებს განაწილების და სეზონური მიწოდების არამდგრადობის შედეგად.
- **შეზღუდული ინტეგრაცია წარმოების რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებსა და ღირებულებით ჯაჭვში.** რეგიონალური ექსპანსია ხელს შეუწყობს ევროპული, რუსული და სხვა მეზობელი ბაზრების მეტ ხელმისაწვდომონას, რაც უფრო ფართომასშტაბიან ინვესტიციებს მოიზიდავს. საქართველოს მდებარეობა და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი დაეხმარება გადასვლას სტრატეგიული სატრანზიტო კორიდორიდან უფრო ფართო რეგიონის ლოჯისტიკურ პლატფორმაზე. ეს მოითხოვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას, ლოჯისტიკის საშუალებებსა და

მრეწველობაში ინვესტირებით, რაც გაზრდის ქვეყანაში ტრანზიტით გადაზიდული საქონლის ღირებულებას.

სტრატეგიული მიმართულებები

საქართველოში ბანკის პრიორიტეტები მომდევნო სამი წლის განმავლობაში ფოკუსირებული იქნება კერძო სექტორში ინვესტიციების ზრდაზე, ენერჯო სექტორის მოდერნიზებაზე და საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობაზე. ბანკი მხარს დაუჭერს საქართველოს ახალი მთავრობის პრიორიტეტს გახადოს ზრდა უფრო სოციალურად მიმართული, მაგალითად, მუნიციპალური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებით საქართველოს ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში. მნიშვნელოვანწილად, ბანკის შესაძლებლობა მიაღწიოს დასახულ მიზნებს დამოკიდებულია რეფორმების შემდგომ პროგრესზე. კერძოდ, საქართველოში ბანკის საქმიანობა ფოკუსირებული იქნება შემდეგ სფეროებზე:

- **კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა.** ბანკი გააგრძელებს ოპერაციებს კერძო სექტორის კლიენტებთან პირდაპირ და არაპირდაპირ, საქართველოში მოქმედი კერძო ბანკების საშუალებით. ვინაიდან, საქართველოში საქმიანი გარემო ზოგადად ძალიან კარგია, პოლიტიკურ დიალოგთან დაკავშირებული აქტივობები ამ სფეროში ფოკუსირებული იქნება რეფორმების დაუმთავრებელ პროგრამაზე მმართველობის, კანონის უზენაესობის და კონკურენციული სტრატეგიის სფეროებში, ხელისუფლების პრიორიტეტების შესაბამისად.
- **ენერჯეტიკის სექტორის მოდერნიზაციის დასრულება.** ბანკი დაასრულებს ენერჯეტიკის სექტორში ადრე დაწყებულ პროექტებს, რომელთა მიზანია ენერჯის წარმოების ზრდა და საექსპორტო ბაზრების წვდომა. მომავალი პროექტები ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მონაწილეობას, რომელიც მხარდაჭერილი იქნება სტრატეგიული დიალოგით შიდა ბაზრების რეფორმირებასთან და თანამედროვე მარეგულირებელი სისტემების დანერგვასთან დაკავშირებით.
- **საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა.** ბანკი ფოკუსირებული იქნება პროექტებზე სხვადასხვა სფეროებში, ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტელეკომუნიკაციების და ფინანსური სექტორის ჩათვლით, რაც ხელს შეუწყობს ტრანსეკონომიკურ აქტივობებს. ბანკი დახმარებას გაუწევს უნარების გადაცემის შესაძლებლობებს ქართული კომპანიებისათვის, რათა მან შეძლოს სავაჭრო შესაძლებლობების უპირატესობების გამოყენება და გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი უფრო ფართო რეგიონულ და საერთაშორისო კონტექსტში.

ბანკი მჭიდროდ ითანამშრომლებს საერთაშორისო საფინანსო დაწესებულებებთან და მრავალმხრივ და ორმხრივ პარტნიორებთან, ევროკავშირის ჩათვლით, თავის ოპერაციებში, აგრეთვე წარმართავს პოლიტიკურ დიალოგს საქართველოში გარდამავალი პერიოდის მაქსიმალური ზემოქმედების მისაღწევად.

1. ბანკის პორტფელი

1.1. ბანკის დღემდე განხორციელებული საქმიანობის მიმოხილვა

2012 წლის ნოემბრის ბოლოსათვის არსებული მდგომარეობით, ბანკს ხელი აქვს მოწერილი 155 პროექტზე კუმულაციური საინვესტიციო ღირებულებით EUR 1,802 მლნ, საქართველოში 1991 წელს ოპერაციების დაწყების დღიდან. პროექტების საერთო ღირებულებაა EUR 5 მილიარდი. ბანკის კუმულაციური ინვესტიციების 66 პროცენტი მოდის ფინანსური დაწესებულებების სექტორზე, 19 პროცენტი ენერგეტიკის სექტორზე და 11 პროცენტი კორპორაციულ სექტორსა და 4 პროცენტი ინფრასტრუქტურის სექტორზე.

წინა სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში, 2010 წლის ბოლოდან 2012 წლის ბოლომდე, EBRD მიმდინარე საბრუნავი აქტივები საქართველოში გაიზარდა EUR 149 მილიონიდან EUR 191 მილიონიან პორტფელამდე (აღნიშნულზე ზეგავლენა იქონია 2011 წელს EUR 110 მილიონიანი სატრანსპორტო პროექტის შეწყვეტამ). ბანკის მიმდინარე პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული: 50 პროცენტი ფინანსური დაწესებულებების სექტორში, 13 პროცენტი კორპორაციულ სექტორსა და 4 პროცენტი ინფრასტრუქტურულ სექტორში. ამჟამად, პორტფელის 82 პროცენტი საქართველოში მოიცავს კერძო სექტორს.

წინა სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში ბანკმა ხელი მოაწერა 56 პროექტს, საერთო ღირებულებით EUR 639 მლნ. წლის დასაწყისიდან მიმდინარე თარიღამდე ბანკმა ხელი მოაწერა ერთ პროექტს, რომლის ღირებულებაცაა EUR 7 მლნ.

ცხრილი 1: საქართველოში პორტფელის შემუშავება, 2013 წლის 31 მარტის მდგომარეობით

სექტორი	ბიზნესის წმინდა კუმულაციური მოცულობა				ფასიანი ქაღალდების მიმდინარე პორტფელი				
	პროექტების რაოდენობა	EBRD-ს მიერ ხელმოწერილი	პროექტების სრული ღირებულება	სულ EBRD %	პროექტების რაოდენობა	პორტფელი	პორტფელის %	მიმდინარე საბრუნავი	მიმდინარე აქტივების %
ენერგეტიკა	17	346	3,145	19%	10	208	33%	156	32%
ბუნებრივი რესურსები	6	104	2,310	6%	3	38	6%	38	8%
ელექტროენერჯია და სიმძლავრე	11	242	836	14%	7	170	27%	118	24%
ფინანსური დაწესებულებები	65	1,182	1,290	65%	31	314	50%	230	47%
ბანკების საკუთარი სახსრები	14	108	190	6%	7	97	15%	97	20%
საბანკო სესხები და ზღვევა, ფინ. მომსახურება	35	1027	1,011	57%	20	215	34%	130	27%
მცირე ბიზნესი	3	4	4	0%	1	0	0%	0	0%
სა	13	43	86	2%	3	3	0%	3	1%
სა	65	193	413	11%	24	85	13%	82	17%
აგრობიზნესი	29	114	170	6%	8	41	6%	41	8%
სააქციო ფონდები	5	7	25	0%	3	4	1%	2	0%
საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები	0	0	0	0%	0	0	0%	0	0%
წარმოება & მომსახურება	19	46	70	3%	10	22	4%	22	4%
საკუთრება & ტურიზმი	7	26	148	1%	3	18	3%	18	4%
ინფრასტრუქტურა	13	80	231	4%	9	26	4%	21	4%
ტექნიკური მომსახურება	8	19	66	1%	7	13	2%	8	2%
ტრანსპორტი	5	61	165	3%	2	13	2%	13	3%
სულ	156	1,802	5,079	100%	74	634	100%	489	100%

ცხრილი 2: საქართველოში პორტფელის განვითარება, 2009 – 2013 მარტამდე

ოდენობა მლნ ევრო	2009	2010	2011	2012	2013 მარტის ბოლო	განვითარებ წინა სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში (2009 ბოლო- 2012 ბოლო)
ბიზნესის წმინდა კუმულაციური მოცულობა	681	1,453	1,612	1,719	1,802	+€1,038მ
ფასიანი ქაღალდების მიმდინარე პორტფელი	462	731	680	653	634	+€191მ
პორტფელის ოპერაციების რაოდენობა	87	89	84	82	74	-5 პროექტი
მიმდინარე საბრუნავი აქტივები	360	419	513	509	489	+€149მ
% ამოუღებელი	19%	39%	18%	13%	12%	
						<i>Cumulative 2010 – 2012</i>
ბიზნესის წლიური მოცულობა	81	349	187	103	7	+€639მ
ოპერაციების რაოდენობა	15	21	20	15	1	+56 პროექტი
მთლიანი გადახდები	144	92	132	75	11	+€299მ
წლიური გაუქმებები	0.3	24	143	4	1	-€171მ (საქართველოს რკინიგზა 2011 წელს)
აქტიური აქციები მილსადენში	390	149	72	221	191	
კერძო სექტორის წილი (% პორტფელი)	94%	67%	82%	82%	82%	
არასახელმწიფო (% პორტფელი)	94%	83%	82%	82%	82%	

1.2. ქვეყანასთან დაკავშირებული წინა სტრატეგიის განხორციელება

ბანკმა დაასრულა თავისი ამბიციური ვალდებულება სამწლიან პერიოდში 950 მლნ აშშ დოლარის ინვესტირებასთან დაკავშირებით 2008 წლის ოქტომბრის 4.55 მილიარდი აშშ დოლარის დონორის გირაოს შესაბამისად.

როგორც ეს გათვალისწინებული იყო წინა სტრატეგიით, ბანკის მასიურმა მხარდაჭერამ საქართველოს საბანკო სისტემის მიმართ შედეგად მოიტანა სისტემური ბანკების წარმატებული რესტრუქტურისაცია, რომლებსაც ამჟამად უნარი შესწევთ და/ან მომავალში შეეძლებათ გავიდნენ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე. ასევე უზრუნველყოფილ იქნა საბანკო ინდუსტრიის შემდგომი ლიკვიდურობა, უმეტესწილად მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხების გაცემის ხელშესაწყობად. მაგრამ, მოთხოვნა სესხზე, სტრატეგიული პერიოდის ბოლოსათვის სუსტი დარჩა, ხოლო საბანკო სექტორის გაუმჯობესებული ლიკვიდურობა უნდა გარდაიქმნას საბანკო სესხების მნიშვნელოვან ზრდად. საბანკო სისტემის დოლარიზაცია სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, ამასთან, ამ სისუსტის დასაძლევად სსფ და მსოფლიო ბანკმა ერთობლივად განახორციელეს ახალი ძალისხმევა, შედეგებს კი მოგვიანებით ელიან.

ენერგოსექტორში, ბანკმა მიაღწია მნიშვნელოვან ნიშანსვეტებს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის დასრულებით, რომელიც აკმაყოფილებს ქვეყნის ენერგომომხმარებლის დაახლოებით 40 პროცენტს. შავი ზღვის 500 კვ გადამცემი ხაზის დაფინანსებით, რომელიც საქართველოს გავლით დააკავშირებს აზერბაიჯანსა და თურქეთს, რაც სტიმულს მისცემს საქართველოში ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობას, თურქეთის ენერგომომხმარებლის ნაწილობრივი დაკმაყოფილების მიზნით. ტექნიკური მომსახურებისა და

ტრანსპორტის სექტორებში, ბანკის შედეგები მოსალოდნელზე დაბალი იყო, ვინაიდან, სახელმწიფო გარიგებები წყალმომარაგებისა და დასუფთავების სფეროში შეთავაზებულ იქნა დონორებისათვის დაფინანსების შეღავათიანი პირობებით, გარდა ამისა, ფოთის პორტის განვითარების დაფინანსება მცირე აღმოჩნდა და გადაეცა ახალ სპონსორს, რომელიც არ საჭიროებს დაფინანსებას.

საწარმოების სექტორში ბანკმა მნიშვნელოვანი გარღვევა მოახდინა. ამასთან, საგანმანათლებლო ტექნოლოგიების პროდუქციის გამოყენება, კერძოდ კი, MCFF, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა, მისცა რა EBRD-ს მცირე და საშუალო საწარმოების დახმარების პროგრამის შემუშავების შესაძლებლობა. 2008 წლის კრიზისის შემდგომ პირდაპირი უცხოური დაფინანსების შემცირება და მსხვილი შიდა კორპორაციების დეფიციტით შეიძლება აიხსნას ამ სფეროში უფრო დიდი გარიგებების არარსებობა. სუბსუვერენული სესხი EUR 110 მლნ ოდენობით სატრანსპორტო კომპანიისათვის ხელმოწერილ იქნა 2010 წელს. ეს სესხი შემდგომ შეწყვეტილ იქნა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, რადგან სესხის ამღები წარმატებით გავიდა კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე ფიქსირებული განაკვეთის ევროობლიგაციების გამოშვებით.

1.3. გარდამავალი პერიოდის ზეგავლენა ბანკის პორტფელზე

2010 წლის თებერვლიდან, როდესაც წინა სტრატეგია იქნა დამტკიცებული, და 2012 წლის ბოლომდე, 17 ოპერაციას, რომელსაც მიენიჭა გარდამავალის რანგი¹, ხელი მოეწერა საქართველოში. მათგან ექვსი პროექტი მიჩნეულ იქნა საუკეთესო ზემოქმედებითი პოტენციალის მქონედ, სამი სესხის ჩათვლით, რომელთაც ხელი მოეწერა კომერციულ ბანკებთან საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამა (GAFF). GAFF ძირითადი მიზანი გარდამავალი პერიოდისათვის არის საბანკო დაფინანსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უპირველესად ქვეყნის სოფლისმეურნეობისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის აგრობიზნესში, აგრეთვე მდგრადი განვითარების საუკეთესო პრაქტიკის და ფერმერული მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა ტექნიკურ დახმარებასთან ერთად. კიდევ ორი პროექტი საქართველოს საფინანსო სექტორში მიჩნეულ იქნა გარდამავალი პერიოდისათვის საუკეთესო პოტენციალის მქონედ წარმატებული რესტრუქტურის შედეგების გამო, ბანკების სუბსიდიების გარეშე ენერგოეფექტურობაში ინვესტიციების საშუალებით. და ბოლოს, საქართველოში გარდამავალი პერიოდისათვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს კაპიტალდაბანდებით ნულიდან გააჩნია ზემოქმედების საუკეთესო პოტენციალი ახალი პროდუქციისა და განახლებადი ენერჯის ბაზრების გაფართოების აშკარა პოზიტიური ეფექტით, აგრეთვე ამ სექტორში კერძო მესაკუთრეობის განვითარების ხელშეწყობით.


ორი ოპერაცია მიჩნეულ იქნა დამაკმაყოფილებლად. ტრანსფორმაციის ზემოქმედება პორტის მოდერნიზაციის პროექტზე შეჩერდა არსებული ინსტიტუციონალური ნაკლის გამო, პორტის მარეგულირებელი ორგანოს არარსებობის და დაბალი კონკურენტუნარიანობის შედეგად. მაკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) პროექტს აქვს შეზღუდული ზემოქმედების პოტენციალი, მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხის გაცემის მცირე ზრდის და უცხოური ბანკის სახელმწიფო მფლობელობის გამო. ამრიგად, საქართველოში ხელმოწერილი პროექტების 88 პროცენტი 2010 წლის თებერვლიდან 2012 წლის ბოლომდე სავარაუდოდ მიჩნეულ იქნა ზემოქმედების „კარგი“ ან „საუკეთესო“ პოტენციალის მქონედ, რაც აღემატება პროექტების 80

¹ იყო კიდევ 13 დამატებითი ოპერაცია (MCFF, DLF და DIF შესაბამისად), რომელიც არ იქნა შეფასებული განვითარების თვალსაზრისით; მათი შეფასება და მონიტორინგი განხორციელდა სესხების დონეზე.

პროცენტის ინსტიტუციონალურ მიზანს, რომელიც უნდა შეფასდეს, როგორც „კარგი“ ან უკეთესი.

სტრატეგიის პერიოდის განმავლობაში ხელმოწერილი პროექტების მიზნებში გარდამავალი პერიოდისათვის ასახულ იქნა დარჩენილი გამოწვევები, რომლებიც უნდა გადაიჭრას ქვეყანაში ისევე, როგორც საქართველოში ბანკების საქმიანობის სექტორის სპეციფიურობა 2010-2012 წლებში. გარდამავლად მიჩნეულ პროექტების დაახლოებით 60 პროცენტი გავრცელდა ქვეყნის ფინანსურ დაწესებულებებზე, იმ ინსტიტუტების ჩათვლით, რომლებმაც შემოიღეს დაფინანსების სუსტად განვითარებული ტიპები (სასოფლოსამეურნეო და ენერგოეფექტურობის დაკრედიტება), ასევე ზოგადად აღინიშნა MSME სესხების გაცემის ზრდა ფინანსური ინსტიტუტების მიერ, რომლებზეც კრიზისმა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა. ინფრასტრუქტურული და ენერგოპროექტებმა გამოიწვია ახალი პროექტების წილის წარმოქმნა, რომელთა მიზანია, ტრადიციულად, ბაზრების მარეგულირებელი და ინსტიტუციონალური სისტემის გაუმჯობესება. შედეგად, შემუშავებულ იქნა ძირითადი მიზნები ახალი პროექტებისათვის საქართველოში ბაზრის გაფართოების და უნარ-ჩვევების გადაცემის თვალსაზრისით. საქართველოში 2010 წლის თებერვლიდან ხელმოწერილი ყველა ოპერაციის სამი მეოთხედი მიზნად ისახავდა ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ამოცანას, შესაბამისად. პროექტების 20 პროცენტი მიმართული იყო ბაზრების სტრუქტურის გაუმჯობესებასა და კორპორაციული მმართველობისა და საქმისწარმოების უფრო მაღალი სტანდარტების დადგენაზე (ნახ. 1).

ნახ 1. საქართველოში გარდამავალი პერიოდის მიზნობრივი ობიექტები (პროექტების წილი), 2010-2012



პროექტები ქვეყნის პორტფელში კარგად მუშაობს მათი განვითარების მოსალოდნელი ზემოქმედების თვალსაზრისით: ბანკის აქტიური პორტფელის 33 პროექტიდან 31 განვითარების პოტენციალს მიაღწევს 2012 წლის ბოლოსთვის.² ამ პროექტებს შორის შვიდ აქტიურ ოპერაციას

² აღნიშნული მოიცავს ყველა აქტიურ ოპერაციას ხელმოწერიდან 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, რომლის განვითარების მონიტორინგი განხორციელდა სულ მცირე ერთხელ.

საქართველოში მინიჭებული აქვს 1-დან 3-მდე რანგი – სხვაგვარად, მათ უმეტესწილად მიაღწიეს განვითარების სასურველ დონეს.³ 24 ოპერაცია მალე მიაღწევს განვითარების მიზნებს ან ნაწილობრივ მიაღწია გარდამავალ ზემოქმედებას. და ბოლოს, ორმა ოპერაციამ ვერ მიაღწია გარდამავალ პოტენციალს. ერთმა კლიენტმა საკუთრებისა და ტურიზმის სექტორში ვერ შეძლო ძირითადი გათვალისწინებული შედეგების მიღწევა ხარისხის საერთაშორისო თვისებების შემუშავების საშუალებით, ბაზარზე მზარდი კონკურენციის ჩათვლით, ფინანსური კრიზისისა და პოლიტიკური მოვლენების საფუძველზე წარმოქმნილი რთული პირობებიდან გამომდინარე. სხვა ოპერაცია, MSME-ს მხარდაჭერის პროექტი კომერციულ ბანკთან ჩაიშალა, რადგან ვერ შეძლო პორტფელის ზრდასა და ხარისხთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა, ისევე და ისევე ფინანსური კრიზისის ნეგატიური ზემოქმედების გამო.

საქართველოს აქტიური პორტფელის რანჟირება 4.52-ით, 2012 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით, ბანკის ოპერაციების საშუალო მაჩვენებელზე (4.05) დაბალია. აღნიშნული გამოწვეულია ორი ფაქტორით. პირველი, არსებობს ოპერაციების ჩვეულებრივზე მეტი რაოდენობა, რომელთაც მინიჭებული აქვთ სტატუსი დამაკმაყოფილებელი (33-დან 14): უმეტესი მათგანის რეალიზაცია ხორციელდება ფინანსურ სექტორში და მათი რანგის დაწევა მოხდა საბანკო სექტორში ფინანსური კრიზისის ნეგატიური ზემოქმედებიდან გამომდინარე, ხოლო შედეგი იყო განვითარების ეფექტის მხოლოდ ნაწილობრივი მიღწევა. მეორე, პორტფელი მოიცავს ახალი პროექტების დიდ წილს (12 ოპერაციას ხელი მოეწერა 2009 წლის შემდეგ), რომლებიც დაექვემდებარება გარდამავალი პერიოდის შემცირებულ რისკებს. ამგვარად, მიუხედავად შედარებით მაღალი საშუალო რანგისა, ქვეყნის პორტფელის სრული შედეგები მომავალში იქნება მიღებული.

2. საოპერაციო გარემო

2.1. პოლიტიკური კონტექსტი

პარლამენტის 2012 წლის 1 ოქტომბრის თავისუფალმა და სამართლიანმა არჩევნებმა შედეგად მოიტანა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა არჩევნების გზით. არჩევნების შედეგად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აღიარა გაერთიანებული ნაციონალური მოძრაობის (გნმ) დამარცხება ოპოზიციური კოალიციის ქართული ოცნების მიერ, ზიძინა ივანიშვილის მეთაურობით. ორივემ პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ახალმა პრემიერ მინისტრმა ივანიშვილმა განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ ერთად მუშაობა.

ხელისუფლების გადაცემის საწყისი ეტაპი დროული და უმტკივნეულო იყო. მომავალში, ამ ორი ძირითადი მოთამაშის კონსტრუქციულმა კოაბიტაციამ შეიძლება უზრუნველყოს განვითარების არსებული გამოწვევების დაძლევა ეფექტური გზით. გნმ, რომელიც ხელისუფლებაში იყო 2003 წლიდან, უნდა იმოქმედოს საპარლამენტო უმცირესობის სახით; როდესაც ქართული ოცნება, თავისი 85 ადგილით 150 ადგილიანი პარლამენტში, წარმოადგენს კონსტიტუციონალურ

³ რანგი არის კომბინაცია გარდამავალი პერიოდის პოტენციური ეფექტის და მასთან დაკავშირებული რისკების შესაბამისი რანჟირების. ოპერაციების მოსალოდნელი განვითარების მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში ერთხელ და ენიჭება 1-დან 8-მდე რანგი, 1-დან 3-მდე აღნიშნავს რეალიზებულ ეფექტს, 3-დან 6-მდე – ჩვეულებრივ, განვითარების მიზნების მიღწევის გზაზეა და 7-დან 8-მდე – განვითარების მინიმალური ეფექტი ან ზედმეტი რისკები.

უმრავლესობას, ამიტომ მოუწევს კონსტრუქციული მუშაობა გნმ-სთან ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის და კანონის უზენაესობის გზაზე.

ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქართული ოცნების მიერ შექმნილი ახალი მთავრობისაგან ბევრს მოელოან, მათ აგრეთვე მოუწევთ მთელი რიგი გამოწვევების გადაჭრა. მთავრობამ განაცხადა რეფორმების ფართო პროგრამის შესახებ, დასაქმების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის და სოფლის მეურნეობის სფეროში ამბიციური გეგმების ჩათვლით.

საგარეო ურთიერთობებში, მთავრობამ დაადასტურა, რომ საქართველოს ორიენტაცია ევროპისა და ნატოსკენ უცვლელი რჩება, რაც ასევე შეეხება შიდა რეფორმების პროგრამას. ურთიერთობები რუსეთთან გაუმჯობესდა ეკონომიკური კავშირების აღდგენის გზით, მაგრამ აღნიშნული დამოკიდებულება დიპლომატიურ ურთიერთობებზე.

პოლიტიკური კონტექსტის დეტალური შეფასებისათვის იხილეთ დანართი 1.

2.2. მაკროეკონომიკური კონტექსტი

მაკროეკონომიკური შედეგები შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ბოლოს აღინიშნა ტემპის შენელების ნიშნები. გამომუშავება გაიზარდა 7.2 პროცენტით 2011 წელს და 6.1 პროცენტით 2012 წელს. ზრდა უმეტესად განპირობებული იყო წარმოების, ფინანსური მომსახურების და ტურიზმის გაფართოებით ძირითადი სპონსორების დახმარებით. ინფლაციის შესუსტების შედეგად, ცენტრალურმა ბანკმა შეძლო ფულადი პოლიტიკის შერბილება რეფინანსირების განაკვეთის შემცირებით პიკური 8 პროცენტიდან 2011 წლის ივნისში 4.5 პროცენტამდე 2013 წლის მარტში. მიუხედავად ამისა, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი მაღალი დარჩა მშპ-ს 11.5 პროცენტი 2012 წელს, მზარდმა ფულადმა ნაკადმა კერძო სექტორიდან გამოიწვია შეფასების საჭიროება, ხოლო ცენტრალურ ბანკს მიეცა შესაძლებლობა შეესო გარე რეზერვები. მიუხედავად იმისა, რომ დაუბრუნებელი სესხების წილი (NPLs) შემცირდა, იგი 2008-2009 წლების კრიზისის დონეზე მნიშვნელოვნად დაბალია. საერთო სამთავრობო დეფიციტი შემცირდა მშპ-ს 2.9 პროცენტით 2012 წელს. ხელისუფლებამ შეძლო შემცირებინა გარე დაფინანსებაზე დამოკიდებულება, ამასთან, შეინარჩუნა სარეზერვო შეთანხმება სსფ-სთან.

ქვეყნის წარმატებული სტაბილიზაცია და ბოლო შედეგები აღიარებული იქნა ბაზრების მიერ. რამდენიმე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ აამაღლა საქართველოს სახელმწიფო ვალის რეიტინგი. ქვეყნის მიერ გადახდილი რისკის პრემიის შემცირების შედეგად, რკინიგზის ეროვნული კომპანია, საქართველოს ნავთობისა და გაზის კომპანია (GOGC) და საქართველოს ბანკი გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. თუმცა, ეროვნული რკინიგზის აქციების საერთაშორისო განთავსება გადაიდო ფინანსურ ბაზრებზე რთული გარემოს არსებობის გამო.

არამდგრადი გლობალური გარემო მოითხოვს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მუდმივ მონაწილეობას. მოკლევადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი პოზიტიურია, ვინაიდან, მოსალოდნელია ზრდის უფრო სწრაფი ტემპით გაგრძელება, საკრედიტო პოლიტიკის გაფართოების, სახელმწიფო და კერძო ინვესტიციების და ფულადი გადარიცხვების შედეგად. ამავე დროს, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის დონე მაღალია, ხოლო ფინანსური სექტორი დოლარიზებული. გარე ვალეები შედარებით მაღალია განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკისათვის. სსფ-თან სარეზერვო შეთანხმება უზრუნველყოფს დამატებით ბუფერს ქვეყნის მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის მაღალი დონის დაფინანსების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად,

კერძო სექტორიდან ფულადი ნაკადის შემცირების და სავალუტო კურსის რყევის შემთხვევაში ფინანსური სექტორის დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად.

ცხრილი რჩეული ეკონომიკური მაჩვენებლებით იხილეთ დანართში 7.

2.3. სტრუქტურული რეფორმის კონტექსტი

საქართველო ინარჩუნებს რეგიონის ტოპ-რეფორმატორის პოზიციას. ფართომასშტაბიანი და მცირემასშტაბიანი პრივატიზაცია საკმაოდ განვითარებულია, ფასებს დადგენა ხორციელდება ბაზრების მიერ, ხოლო სავაჭრო და უცხოური ვალუტის გაცვლის სისტემები ფაქტობრივად შეუზღუდავი. პირველი რიგის რეფორმებს შორის, ეფექტური კონკურენციული პოლიტიკის გამოყენება, საწარმოების მართვის და რესტრუქტურისაციის გაძლიერება ძირითად გამოწვევად რჩება.

ხელისუფლება მუშაობს ქვეყნის ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებაზე და ბაზრის პრობლემების დარეგულირების მექანიზმების იდენტიფიცირებაზე. შავი ზღვის ენერგოგადაცემის სისტემის მიმდინარე მშენებლობის შედეგად განხორციელდება საქართველოს ინტეგრაცია რეგიონალურ ენერგობაზარზე, მოდერნიზებული მარეგულირებელი სისტემის, კორპორაციული მართვის და საქმისწარმოების უკეთესი სტანდარტების არსებობის პირობით. ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა გამოიწვევს ენერჯის ექსპორტ-იმპორტის ზრდას გადამცემი ხაზით საქართველოსა და თურქეთს შორის. RAKIA-სგან ფოთის პორტის შესყიდვა დანიური კომპანია Maersk-ის შვილობილი კომპანიის მიერ ხელს შეუწყობს საქართველოს შემდგომ ინტეგრაციას სატრანსპორტო ქსელში. ხელისუფლების ძალისხმევა წახალისოს სასოფლოსამეურნეო სექტორის აღდგენა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნობრივი მხარდაჭერა ხელს შეუწყობს შემდგომ ზრდას.


ბოლო სამი წლის განმავლობაში, მთავრობამ გააგრძელა საგადასახადო სისტემის შემდგომი გამარტივება და მოდერნიზაცია. აღნიშნული შეეხო გადასახადების გაუქმებას საჯარო ვაჭრობის საწარმოების დივიდენდებზე, საბანკო დეპოზიტების საპროცენტო შემოსავლებზე და კაპიტალის ზრდით მიღებულ მოგებაზე. საგადასახადო რეჟიმი მცირე და მიკრო საწარმოებისათვის ასევე გამარტივდა. აღნიშნული რეფორმები შეამცირებს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის შემცირებას, კერძოდ კი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მხარდაჭერით.

ცენტრალურმა იმუშავა ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის და ფინანსური სტაბილურობის სისტემის მოდერნიზებაზე. რეფორმები მოიცავდა ცენტრალური ბანკის ფინანსური სახსრების მდგომარეობის აქტივაციას და რეფინანსირების ინსტრუმენტების აქტიურ გამოყენებას, უცხოური ვალუტის კურსის ინტერვენციის სიხშირის შემცირებას და კურსის უფრო მეტ მოქნილობას. ცენტრალურმა ბანკმა გააგრძელა ინფლაციის პროგნოზირების და მოდელირების უნარის გაძლიერება. ფინანსური სექტორის სისუსტის შესაზღუდად, სებ-მა გააძლიერა გონივრული რეგულირება უცხოურ ვალუტაში სესხებზე კაპიტალის მოთხოვნის გაძლიერებით, განახორციელა რა გადასვლა რისკის ზედამხედველობასა და დაიწყო მომხმარებელთა ფინანსური დაცვის პოლიტიკის გატარება.

გარდამავალ პერიოდში სექტორში დარჩენილი გამოწვევების დეტალურად შეფასების მიზნით იხილეთ დანართი 2.

ნახ. 1. EBRD გარდამავალი პერიოდის მაჩვენებლები საქართველოსთვის

გარდამავალი პერიოდის შეფასება სექტორების მიხედვით



წყარო: 2012 წლის ანგარიში გარდამავალი პერიოდის შესახებ.

2.4. საქმიანი გარემო

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღების თვალსაზრისით. 183 ქვეყანას შორის დაიკავა მეცხრე ადგილი, ამით საქართველო მიჩნეულ იქნა საუკეთესო რეიტინგის მქონე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნად რეგიონში მსოფლიო ბანკის 2013 წლის Doing Business-ის მაჩვენებლებში. საქართველოს მოწინავე პოზიცია უკავია 2005 წლიდან, როგორც აღმოსავლეთ ევროპაში, ისე ცენტრალურ აზიაში. 35 ინსტიტუციონალური და მარეგულირებელი რეფორმით 2005 წლიდან, საქართველომ წარმატებას მიაღწია Doing Business-ის მიერ შეფასებულ ყველა სფეროში. საგადასახადო სისტემის ეფექტურობისა და საიმედოობის უზურნველსაყოფად, ხელისუფლებამ განახორციელა ელექტრონული საგადასახადო ფაილინგის დანერგვა, გააუმჯობესა საბაჟო წმენდის პროცედურები, შემოიღო დაბეგვრის თანამედროვე პრინციპები, რომლებიც სავალდებულოა საგადასახადო ორგანოებისათვის და შექმნა საგადასახადო ომბუდსმენის ოფისი. მიუხედავად ამისა, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რეფორმების მიუხედავად საგადასახადო უწყება პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის დონის ინდექსში აღნიშნულია, რომ საქართველო იმ ქვეყნებს შორისაა, რომლებშიც კორუფციის დონე შედარებით დაბალია. 2012 წელს საქართველო იყო 51-ე 176 ქვეყანას შორის. ამ მიმართებით, საქართველოს უკეთესი მაჩვენებლები აქვს პოსტ-საბჭოურ ქვეყნებთან შედარებით. საქართველოს 21-ე ადგილი უკავია 2013 წლის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლებში, ამ ადგილზე გადაინაცვლა 2012 წელს დაკავებული 34-ე ადგილიდან ეკონომიკური თავისუფლების ათი პრინციპიდან ექვსი გაუმჯობესების შედეგად, რაც მოიცავდა სახელმწიფო ფინანსების მენეჯმენტს, ინვესტიციების თავისუფლებას და საკუთრების უფლებებს.

2.5. სოციალური კონტექსტი

საქართველოს ახასიათებს მდგრადი ეკონომიკური ზრდა, აგრეთვე სოციალურად დაუცველი ფენის და მცირე შემოსავლების არსებობა. გასული წლების შთამბეჭდავი ინსტიტუციონალური, ასევე ბიზნეს გარემოს რეფორმები ვერ გადაიქცა ეკონომიკურ შესაძლებლობების წყაროდ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობისთვის. სამუშაო ადგილების შექმნა შრომატევად სექტორებში ან ქალაქიდან მოცილებულ გეოგრაფიულ რეგიონებში მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, რის გამოც მოსახლეობის 57 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე (უმეტესად ნატურალურ მეურნეობაზე) დამოკიდებული დარჩა. ურბანულ ზონებში დაუსაქმებლთა რაოდენობა მეტია, ვიდრე სოფლებში, 26.5 პროცენტი და 6.5 პროცენტი, შესაბამისად. თბილისში დაუსაქმებლთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ძირითად რეგიონებს შორის - 29.3 პროცენტი, მას მოსდევს აჭარის რეგიონი (18 პროცენტი), სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონები (16.5 პროცენტი). მამაკაცთა უმუშევრობის დონე უფრო მაღალია, ვიდრე ქალების 16.7 და 13.1 %, შესაბამისად. მაღალია უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში 34%, სულ დაუსაქმებელთა 15%, რაც ასევე მაღალია სხვა დსთ-ს ქვეყნებთან შედარებით. სოფლის მეურნეობის სფეროში საშუალო მშპ თითოეულ თვითდასაქმებულზე მხოლოდ თვეში 160 აშშ დოლარია, როდესაც თითოეულ დასაქმებულზე სულ მშპ-ს პროცენტი თვეში დაახლოებით 1000 აშშ დოლარია.

ჯინის კოეფიციენტი ფულადი შემოსავლების მიხედვით მაღალია 0.52, ბრაზილიასთან შედარებით. ჯინის კოეფიციენტი საერთო მოხმარების მიხედვით ცოტათი უფრო დაბალია 0.42. მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, გაიზარდა 6.4%-დან 9.2 %-მდე 2008-2011 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის კრიზისთან დაკავშირებული პიკთან - 9.9% შედარებით ონდავ შემცირდა. იგივე პერიოდის განმავლობაში, მოსახლეობის წილი საშუალო მოხმარების 60% ასევე გაიზარდა 21.3-დან 23 %-მდე. საქართველოში არსებობს გენდერული უთანასწორობის ინდექსი, რომელიც 0.418 შეადგენს, 2011 წელს 146 ქვეყანას შორის 73-ე ადგილზე იყო, რაც მიუთითებს გენდერული უთანასწორობის მაღალ დონეზე. 2012 წლის არჩევნებამდე, პარლამენტის ადგილებიდან 6.5% ეკავათ ქალებს, ქალთა 63.8% მიიღო საშუალო ან უმაღლესი განათლება, მამაკაცთა 58.9% შედარებით. ქალთა მონაწილეობა შრომის ბაზარზე შეადგენს 55.1% მამაკაცებთან შედარებით - 73.8%.

EBRD-ს გამოკითხვამ „ცხოვრება გარდამავალ პერიოდში“ (LiTS), რომელიც განხორციელდა 2010 წლის ბოლოს, გამოავლინა, რომ რესპოდენტთა დაახლოებით ერთი მეოთხედი კმაყოფილია ცხოვრების დონით, რომელიც 2006 წლის შემდეგ 2% ზრდის მიუხედავად, ქვეყანა მოაქცია რეგიონის ქვეყნებს შორის ბოლო ადგილებზე. ცხოვრების დონით კმაყოფილების ინდექსი ოდნავ გაიზარდა მოსახლეობის დაბალ და უფრო მაღალ სოციალ-ეკონომიკურ სექტორებში, მაგრამ შემცირდა დაახლოებით ხუთი პროცენტით საშუალო შემოსავლის მქონე რესპოდენტებთან მიმართებით.

არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლითაც აიხსნება სოციალური დაუცველობის მაჩვენებლის ზრდა, არსებითი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად: საბაზრო რეფორმები არ გარდაიქმნა ინოვაციებად და ინვესტიციებად მაღალ-ტექნოლოგიურ მრეწველობებში, რაც აამაღლებდა დასაქმების დონეს და სამართლიანობას შემოსავლების განაწილებაში; ბიზნეს კლიმატის რეფორმებმა მცირე გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაზე, რომელიც ისევ უმსხვილეს დამსაქმებლად რჩება; რუსეთის 2006 წლის ემბარგო საქართველოსთან ვაჭრობასა და ქართულ საქონელზე ერთჯერადი დარტყმა მიაყენა ექსპორტის ზრდას, რომლის კომპენსირებაც დროთა განმავლობაში მოხდა სხვა ბაზრებზე ექსპორტის ზრდის საშუალებით; ვაჭრობის

ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული ძალისხმევა არ იყო გამყარებული კაპიტალდაბანდებით ტრენინგებსა და ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რამაც შედეგად გამოიწვია ის, რომ მრავალმა კომპანიამ ვერ მოახერხა ექსპორტთან დაკავშირებული შესაძლებლობების გამოყენება.

უფრო ფართო საზოგადოებისათვის უკეთესი ეკონომიკური შესაძლებლობების უზრუნველყოფა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი თემა იყო, როგორც ყოფილი, ისე ახალი მთავრობისათვის, ფოკუსირებული დასაქმების, განათლების და სოფლის განვითარების საკითხებზე.

2.6. სამართლებრივი კონტექსტი

საქართველომ ბოლო წლების განმავლობაში გააგრძელა სამართლებრივი სისტემის რეფორმები. აღსანიშნავია ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებთან, საბანკო ოპერაციებთან, საგადასახადო და სხვა სფეროებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების გამარტივება. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სფეროების რეფორმირების საჭიროება ისევ დღის წესრიგშია.

სახელდობრ, კორპორაციული მართვის პრაქტიკა ისევ სუსტია, როგორც კომპანიებში, ისე ბანკებში, ხოლო კორპორაციული მართვის კოდექსის მიღება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება კომპანიებისათვის. უზრუნველყოფილი იპოთეკისათვის არსებული სარეგისტრაციო რეჟიმის მოდერნიზაცია ონ-ლაინ წვდომის უზრუნველყოფითა და შეტყობინებაზე დაფუძნებულ სისტემაზე გადასვლით ასევე გაუმჯობესებად უნდა იქნეს მიჩნეული.

2012 წელს მიღებულმა კანონმა გაკოტრების შესახებ გააუმჯობესა სამართლებრივი სისტემა ამ სფეროში. იგი მოიცავს მექანიზმებს, როგორც გაკოტრებული მევალის ლიკვიდურობის, ისე რეორგანიზაციის თვალსაზრისით; თუმცა, იგი ისევ სუსტად გამოიყურება გარკვეულ სფეროებთან მიმართებით, როგორებიცაა კრედიტორთა უფლებები და გაკოტრებულის ქონების დაცვა. სასამართლო სისტემის გაუმჯობესება აღინიშნა ბოლო წლების განმავლობაში, ამ მიმართებით უფრო მეტი რეფორმებია მოსალოდნელი.

სამართლებრივი გარემოს უფრო დეტალური შეფასებისათვის იხილეთ დანართი 3.

2.7. ენერგოეფექტურობის და კლიმატის ცვლილების კონტექსტი

ევროპული სტანდარტების მიხედვით, საქართველოს ენერგოპოტენციალი მაღალია. რადგან ქვეყანას არ გააჩნია ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი რეზერვები, ბოლო დრომდე იგი ახორციელებდა ენერჯის ორი-მესამედის იმპორტს გარე წყაროებიდან. საქართველომ დაძლია გასული წლების ქრონიკული ენერგოდეფიციტი ჰიდროელექტროსადგურების აღდგენის და ენერგოიმპორტის წყაროების დივერსიფიკაციის საშუალებით.

საქართველოში არსებობს ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი. მიუხედავად ამისა, ენერგოეფექტურობის სფეროში კერძო საფინანსო ინსტიტუტები ცუდად არან გაცნობიერებული, ამიტომ ამ მიმართებით საქართველოს განვითარების ტემპი დაბალია. მიუხედავად მთავრობის წარმატებისა ქვეყანაში ენერგომომარაგების და უსაფრთხოების დარგში, გასაკეთებელი ისევ ბევრი რჩება ენერგეტიკის სფეროში კანონმდებლობის და რეგულირების, ასევე ელექტროენერჯის სექტორში ტექნიკური სტანდარტებისა და საექსპლუატაციო პროცედურების სრულყოფის განხრით.

საქართველოში ელექტროენერგეტიკის სექტორი ლიბერალიზებული და ნაწილობრივ პრივატიზებული, მაგრამ მისი რეგულირების დონე ისევ დაბალია. განაწილება მთლიანად არის პრივატიზებული უცხოელი სტრატეგიული ინვესტორების მიერ. გენერაციის აქტივები კერძო საკუთრებაშია, ენგურის უმსხვილეს ჰიდროელექტროსადგურის გარდა, რომელიც ქვეყნის ელექტროენერჯის მოთხოვნის 40% აკმაყოფილებს. 2006 წლის სექტემბერში შემოღებულ იქნა ფართოდ ლიბერალიზებული საბაზრო სტრუქტურა, რომელიც ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის დაქვემდებარებაშია. თუმცა, ისევ არსებობს რეგულირებული ფასები და ჯვარედინი სუბსიდირების საჭიროება. ტარიფების დადგენის პროცესი ნაკლებად ტრანსპარენტულია, მიუხედავად იმისა, რომ ახალმა მთავრობამ განაცხადა, რომ აპირებს ტარიფების დადგენის პროცესის ტრანსპარენტულობის და საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას.

ელექტროენერჯის წარმოების უმეტესი წილი მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე, რაც საქართველოს განახლებადი ენერჯის თვალსაზრისით მაღალ რეიტინგულს ხდის, ხოლო ემისიის თვალსაზრისით კი მისი რეიტინგი დაბალია. განახლებადი ენერჯის ახალი პროექტებისათვის შემოღებული ტარიფები არ არის ჰარმონიზებული და სუსტია. მცირემასშტაბიანი პროექტებისათვის განახლებადი ენერჯის სფეროში, არ არსებობს შემოღებული ტარიფები, უბრალოდ ისინი დერეგულირებულია, ამასთან უმეტეს შემთხვევაში, ფასი დამოკიდებულია პროექტის მენეჯერის მოლაპარაკების უნარზე. მარეგულირებელი სისტემის ხშირი ცვლილება არ უზრუნველყოფს პროგნოზირებად ამონაგებს ინვესტორებისათვის. დარჩენილი გამოწვევები მოიცავს შემდგომ რეფორმებს ენერგეტიკის სექტორში (ტარიფები, მოსაკრებლები), ენერგოეფექტურობის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სტრუქტურის გაძლიერებას, განახლებადი ენერჯის სისტემის გაუმჯობესებას და გამოცდილების მიღებას ენერგოეფექტურობის დარგში პროექტების განხორციელების მიზნით.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომელიც დაარეგულირებდა განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენებას. 2005 წელს მიღებული საგადასახადო კოდექსი არ ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს განახლებადი ენერჯის ან ენერგოდამზოგი მოწყობილობების წარმოებასა და გამოყენების, იმპორტისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის. თუმცა, დასახულია ძირითადი მიზნები განახლებადი ენერჯის წყაროებისათვის.

წყლის რესურსები საქართველოში დამოკიდებულია კლიმატურ პირობებსა და კლიმატის მომავალ ცვლილებებზე. გაერთიანებული ერების კლიმატური ცვლილებების ჩარჩო ხელშეკრულების (UNFCCC) მეორე ეროვნული კომუნიკაციის (SNC) შესაბამისად, საქართველო უკვე განიცდის მნიშვნელოვან დროებით და სივრცით ცვლილებებს ატმოსფერული ნალექებისა და ზედაპირული ჩადინების თვალსაზრისით, რაც უფრო გაძლიერდება შემცირებული ზედაპირული ჩადინებების შედეგად, კლიმატური ცვლილებების პროგნოზების უმეტესობის შესაბამისად.

გარდა ამისა, გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატური ცვლილება ზემოქმედებას მოახდენს საქართველოს მყინვარებზე, რომლებიც დიდ გავლენას ახდენს წყლის რესურსების მენეჯმენტსა და ჰიდროენერჯიაზე. წყლის რესურსებზე კლიმატური ცვლილებების შედეგების ზემოქმედების მართვისა და შეცვლილ კლიმატურ პირობებთან ადაპტირებისათვის, აუცილებელია

ინსტიტუციონალური და ტექნიკური ღონისძიებები წყლის რესურსების ეფექტური გამოყენების მიზნით. კლიმატური ცვლილებებისადმი მოქნილობისა და ადაპტაციის საკითხები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, განსაკუთრებით აგრობიზნესში, სამთო მრეწველობის და ჰიდროენერგეტიკის პროექტებში. გარდა ამისა, საქართველოს სანაპირო რეგიონებს მოელის ზღვის დონის აწევა და მასთან დაკავშირებული ქარიშხლების და წყალდიდობის რისკი. ეს ზემოქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სანაპიროს ინფრასტრუქტურაში, როგორცაა პორტები, კაპიტალდაბანდების დროს.

3. სტრატეგიული ორიენტირები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა აღდგენილ იქნა ორმაგი კრიზისის შემდეგ 2008-9 წლებში და გაიზარდა სწრაფი ტემპით, მის წინაშე რიგი გრძელვადიანი გამოწვევებია. თუ ქვეყნის წინა სტრატეგია 2009-12 ფოკუსირებული კრიზისის მიმართ ქვეყნის მოკლევადიან რეაგირებაზე, ქვეყნის ახალი სტრატეგია 2012-15 წლებისათვის კონცენტრირებული იქნება საბანკო საქმიანობაზე საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი ძირითადი გამოწვევების დასარეგულირებლად. საქართველოში ბანკის სტრატეგიული პრიორიტეტები ეფუძნება გარდამავალი პერიოდის ძირითად გამოწვევებს და შეესაბამება ხელისუფლების რეფორმებთან დაკავშირებულ პრიორიტეტებს.

ბანკმა განახორციელა სამი ძირითადი გამოწვევის იდენტიფიცირება მომდევნო სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში: (1) კერძო სექტორში კაპიტალდაბანდების ხელშეწყობა, რომელიც შემცირდა კრიზისის შემდეგ; (2) ენერგოსექტორის მოდერნიზაციის დასრულება; და (3) საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოების მასშტაბის ზრდით განპირობებული ეკონომიკიდან სარგებელის მისაღებად. მნიშვნელოვანწილად, ბანკის უნარი მიაღწიოს დასახულ მიზნებს დამოკიდებული რეფორმების წარმატებულ გატარებაზე.

ამ სტრატეგიულ პრიორიტეტებთან ერთად, ბანკი აღიარებს, რომ საქართველოს მიღწევების მდგრადობა გარდამავალ პერიოდში და გრძელვადიანი ზრდის პროგნოზი დამოკიდებულია ხელისუფლების უნარზე უზრუნველყოს აღნიშნული ზრდა. ხელისუფლება აცნობიერებს განვითარების გაღრმავების მნიშვნელობას, ეკონომიკური ეფექტის გაფართოებასთან ერთად. უმუშევრობის დონე და შემოსავლების არათანაბრობა ძალიან მაღალია. როდესაც მოსახლეობის უმეტესობა ვერ იღებს სარგებელს ეკონომიკური რეფორმებიდან და მასთან დაკავშირებული ზრდიდან, არსებობს გარდამავალი პერიოდის სტაგნაციის ან უკუქცევის რისკი. საბაზრო ეკონომიკაზე მდგრადი გადასვლის მიღწევა შესაძლებელია გადასვლის პროცესის მხარდაჭერით მოსახლეობის ფართო ფენების მხრიდან. EBRD მიზნად დაისახავს წარმოების დონის ამაღლებას ისეთ სექტორებში, რომლებიც მრავალ მუშახელს საჭიროებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობაში, წარმოებასა და მშენებლობაში, კონცენტრირებული იქნება მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებაზე, დაფინანსების ხელმისაწვდომობითა და სასაქონლო ჯაჭვში ინტეგრაციის საშუალებით. ბანკი მხარს დაუჭერს ახალი მთავრობის მიზნებს, რომლებიც მიმართულია ქართველი ხალხის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე, იმ მუნიციპალურ პროექტებში ჩართულობის საშუალებით, რომლებიც მომგებიანი იქნება, დიზაინის, განხორციელების, დონორებისაგან გრანტებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ხარჯზე.

3.1. კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა

ძირითადი გამოწვევები

კრიზისის განმავლობაში, კერძო კაპიტალდაბანდებები შემცირდა მშპ-ის დაახლოებით 8%. წინა ხელისუფლების რეაგირება დაკავშირებული იყო ინვესტიციების ხელშეწყობის აქტიურ კამპანიასთან, სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამის შემუშავებასთან და სახელმწიფოს მხარდაჭერით საპარტნიორო ფონდის შექმნასთან, სახელმწიფო კომპანიების გამოყენების მიზნით მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და სხვა ინვესტიციების მოსაზიდად. ხელისუფლების ძალისხმევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) მოსაზიდად უნდა გაფართოვდეს ინვესტორებისა და სექტორების უფრო ფართო სპექტრის მოსაცვლად. ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, რომელიც კრიზისამდე FDI ძირითადი წყარო იყო, ფაქტობრივად დასრულებულია. მიუხედავად ამისა, კურსი ფოკუსირებული უნდა იყოს შიდა და უცხოურ ინვესტიციებზე ნულოვანი განაკვეთიდან. შიდა დანაზოგების სტიმულირება, კერძო დაფინანსების საპენსიო სისტემის საშუალებით, ასევე მხარს დაუჭერს კერძო ინვესტიციებს. პოლიტიკა ფინანსურ სექტორში ფოკუსირებული უნდა იყოს ფოკუსირებული უნდა იყოს ინფლაციის პროგნოზირებაზე გადასვლაზე და ზედამხედველობის შემდგომ გაძლიერებაზე.

გარდამავალი პერიოდის სპეციფიური სექტორული გამოწვევები, რომლებიც მნიშვნელოვანია კერძო ინვესტიციებისათვის, მოიცავს:

- კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის გაძლიერებას, კორპორაციული მართვის ხელშეწყობა და ბიზნეს სტანდარტების დანერგვას პროდუქციის ხარისხის, გარემოსა და ჯანდაცვის, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროებში.
- ადეკვატური კაპიტალური და ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობას მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა (MSMEs) და დამწყები საწარმოებისათვის სოფლის მეურნეობის სფეროში, კერძოდ, კი საქართველოს რეგიონებში.
- სოფლის მეურნეობის სექტორის ლიბერალიზაციას, სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებით, აგრეთვე ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების შემოღებით პროაქტიური პოლიტიკის გატარების ხარჯზე. საცალო გაყიდვების სექტორში კონკურენციისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლებას.
- საბანკო სექტორისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერებას და ფინანსური შუამდგომლობის მხარდაჭერას, განსაკუთრებით MSME სექტორსა და რეგიონებში, რაც ითვალისწინებს საბანკო სექტორის მზადყოფნას დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების შემდგომი საინვესტიციო სტრატეგიის მხარდასაჭერად.
- ბანკების დაფინანსებასთან დაკავშირებული გადასახადების ვადის გაგრძელებას (ეროვნულ ვალუტაში), სესხების გასაცემად ეროვნულ ვალუტაში, ფოკუსირებით არაჰეჯირებულ SME-სა და საცალო მსესხებლებზე, უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის რისკის შესამცირებლად და პორტფელის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად.
- გრძელვადიანი დანაზოგების გაძლიერებას ადგილობრივ ვალუტაში, ინფლაციის დონის და ცვალებადობის შემცირებით, აგრეთვე არასაბანკო ფინანსური საქმიანობის განვითარებით, როგორცაა ლიზინგი, დაზღვევა და საპენსიო ფონდი.

ბანკის ოპერატიული რეაგირება

კერძო ინვესტიციების ხელშესაწყობად, ბანკი გააგრძელებს ოპერაციებს კერძო სექტორის კლიენტებთან, პირდაპირ და არაპირდაპირ, საქართველოში მოქმედი კერძო ბანკების საშუალებით. ბანკი ფოკუსირებული იქნება პროექტებზე მრეწველობისა და აგრობიზნესის სფეროებში, ასევე ფინანსურ სექტორში, გაზრდის ყურადღებას მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართ დაფინანსების ხელმისაწვდომობითა და მათი ინტეგრაციით სასაქონლო ჯაჭვში. კერძოდ, EBRD დაეხმარება წარმოების სექტორს, დამამუშავებელი კომპანიების საწარმოო ტექნოლოგიების გაუმჯობესების გზით თანამედროვე სტანდარტების, აგრეთვე გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დანერგვის საშუალებით.

ბანკი განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს საშუალო და მცირე საწარმოებს, ბანკის ადაპტირების ინსტრუმენტების გამოყენებით საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებში ცვლილებების ასახვის მიზნით, საშუალო თანადაფინანსების პროგრამის (MCFF) გამოყენებით, საშუალო საწარმოების მხარდაჭერის გასაძლიერებლად ბანკის მხრიდან. საჭიროების შემთხვევაში, ბანკი ასევე გამოიყენებს პირდაპირი დაკრედიტების პროგრამას (DLF) მაშინ, როდესაც პირდაპირი ინვესტირების პროგრამა (DIF) ფოკუსირებული იქნება სუბორდინირებული ვალის რეზერვირებაზე SME კლიენტთა ბალანსის გასაძლიერებლად. The ბანკი ასევე ფოკუსირებული იქნება უფრო დიდი პროექტების მცირე რაოდენობაზე, რათა კომერციული ბანკები დაბრუნდნენ B კრედიტორების პოზიციაზე.

ბანკი დაეხმარება სოფლის მეურნეობის სექტორს მიწოდების ადგილობრივი ქსელის განვითარებით, ეფექტური წარმოების გასაზრდელად და მაღალი სტანდარტების დასაწერად, ხელს შეუწყობს რა თანამედროვე ტექნოლოგიების შემოღებას, ნოუ-ჰაუს გადაცემას და ხარისხის გაუმჯობესებას. ახლად დაფუძნებული აგრობიზნესის დაფინანსების პროგრამა საქართველოში (GAFF) ძლიერი იარაღი იქნება კაპიტალის ქრონიკული დეფიციტის აღმოსაფხვრელად ამ სექტორში. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლის მეურნეობის სფეროში დამწყები საწარმოების მხარდაჭერას (მათ, რომლებიც გადადიან ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო წარმოებაზე).

ფინანსური შუამდგომლობის გასაღრმავებლად ბანკი მხარს დაუჭერს საბანკო სექტორის მოდერნიზაციას მიზნობრივი სესხის, აგრეთვე წილობრივი ან სუბორდინირებული სესხის უზრუნველყოფით სელექციურ საფუძველზე, საჭიროებისდა მიხედვით. ბანკი პრიორიტეტს მიანიჭებს დაფინანსებასა და სესხის გაცემას ეროვნულ ვალუტაში მყარ საფუძველზე. ცენტრალური ბანკის მუდმივი მხარდაჭერა გააუმჯობესოს ინფლაციის კონტროლი, ხელს შეუწყობს ინფლაციის შემცირებასა და ნდობის ამაღლებას ეროვნულ ვალუტაში დანაზოგების გასაკეთებლად. პროდუქცია ეროვნულ ვალუტაში, რომელიც შეთავაზებული იქნება სუბსიდირებული სისტემის ფარგლებში, დაეხმარება სოფლის მეურნეობის სფეროს (GAFF-ის შესაბამისად) და მიკროდაფინანსებას, სეგმენტებს, რომლებიც განსაკუთრებით ექვემდებარება სავალუტო რისკს, რომელთა მომსახურების დონე დაბალია საბანკო სექტორში. ბანკი პრიორიტეტს მიანიჭებს ღონისძიებებს, რომლებიც გაამყარებს სესხის გაცემის მექანიზმებს ეროვნულ ვალუტაში. ეს მოიცავს ქართული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში ობლიგაციების გამოშვებას, მათი საფინანსო ბაზის გასაძლიერებლად, აგრეთვე EBRD ობლიგაციების გამოშვებას ლარში ფასწარმოქმნის ხელშესაწყობად.

ბანკის საქმიანობა არასაბანკო საფინანსო სექტორში დამოკიდებულია მარეგულირებელ და პოლიტიკურ სისტემებზე. სადაზღვევო სექტორზე ზეგავლენა იქონია მოთხოვნამ დაებანდებინათ რეზერვები საავადმყოფოების მშენებლობაში, რაც განსაკუთრებულად სარისკოა ამ სექტორში. შერჩევის საფუძველზე ბანკი დახმარებას გაუწევს ლიზინგისა და არასაბანკო მიკროსაფინანსო დაწესებულებებს. ინსტიტუციონალური დანაზოგების გაძლიერება და დაფუძნება ხანშიშესულთა პენსიებისთვის პრიორიტეტული იქნება, რაც დაეხმარება კაპიტალის ბაზრის განვითარებას, ეროვნულ ვალუტაში გრძელვადიან ინსტრუმენტებზე მდგრადი მოთხოვნის შექმნით. EBRD-ს შეუძლია დახმარება გაუწიოს ამ რეფორმებს სათანადო საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაში დახმარებით, რაც მორგებული იქნება კაპიტალის ადგილობრივი ბაზრის განვითარების დაჩქარებაზე.

ბანკი აწარმოებდა დიალოგს საქართველოს ხელისუფლებასთან აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო (E5P) პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე, რომელსაც საქართველო აპირებს რომ მიუერთდეს.

პოლიტიკური დიალოგი და ტექნიკური თანამშრომლობა

ბიზნესგარემო საქართველოში, ზოგადად, ძალიან კარგია, მაგრამ ახალი მთავრობის ეკონომიკური პრიორიტეტები შემდგომ დადგენას საჭიროებს. ამ სფეროში პოლიტიკურ დიალოგთან დაკავშირებული აქტივობები ფოკუსირებული იქნება რეფორმის დღის წესრიგის შეუსრულებელ საკითხებზე: მართვის, კანონის უზენაესობის, კონკურენციული პოლიტიკის სფეროებში, სადაც ახალ მთავრობას შეუძლია გადასინჯოს თავისი პრიორიტეტები. ბანკი შესაძლებლად მიიჩნევს სიმდიდრის სუვერენული ფონდის თანადაფინანსებას, რომელიც საპარტნიორო ფონდის მემკვიდრე გახდება იმ პირობით, რომ ახალი სტატუსი გააძლიერებს კორპორაციულ მმართველობას და იმ პროექტებში, რომლებიც შეესაბამება ბანკის სტრატეგიულ პრიორიტეტებს, ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მონაწილეობას. ბანკი მხარს დაუჭერს სტაბილური სამართლებრივი და მარეგულირებელი სისტემის შექმნას ეროვნულ ვალუტაში დაფინანსების განვითარების მიზნით, დონორებისა და სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან მუშაობის საფუძველზე.

3.2. ენერგოსექტორის სრული მოდერნიზაცია

ძირითადი გამოწვევები

ქვეყნის ენერგოსექტორმა, რომელიც ფაქტიურად დანგრეული იყო გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია ბოლო წლების მანძილზე, ჰიდროენერგეტიკის რეაბილიტაციისა და გადამცემი ქსელების მშენებლობის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ქვეყნის ინტეგრაცია ენერგობაზრებზე არ დასრულებულა, ქვეყანა ისევ მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის განაწილების და სეზონური მიწოდების მოდელის შედეგად, რაც დამახასიათებელია საქართველოს ჰიდროლოგიისათვის.

ენერგოსექტორის გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დარჩენილი გამოწვევები შეეხებოდა:

- FDI-ს მოზიდვას ჰიდროენერჯის გენერირების მსხვილი პროექტებისათვის, რომლებიც საჭიროებს რთულ მოწყობილობებს და მენეჯმენტს ისევე, როგორც გარემოს დაცვის მაღალ სტანდარტებს;

- შიდა და რეგიონალურ ენერგობაზრებზე შემდგომ ინტეგრაციას, ადეკვატური გადამცემი სტრუქტურის შექმნის დასრულებით, რომელიც დააკავშირებს რეგიონის ქვეყნებს საქართველოს გავლით;
- ენერგოსისტემის ეფექტურობის გაუმჯობესებას, გადაცემის და განაწილების ქსელებში დანაკარგების შემცირების და გეოგრაფიული არეალის გაფართოების გზით;
- ენერგოეფექტურობის და ქვეყნებს შორის ენერგოვაჭრობის გაუმჯობესებას, ტარიფების განსაზღვრის მეთოდოლოგიის სრულყოფისა და ჯვარედინი სუბსიდირების აღმოფხვრის საშუალებით, ენერჯის რეგიონალური საბაზრო ფასის დადგენის მიზნით.

ბანკის ოპერატიული რეაგირება

ენერგოსექტორის მოდერნიზაციის მხარდასაჭერად, ბანკი დაასრულებს იმ პროექტებს ენერგოსექტორში, რომლებიც დაიწყო გასული სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში, იმ პროექტების ჩათვლით, რომელთა მიზანია ენერჯის წარმოების გაზრდა და ექსპორტის ბაზრებზე გასვლა. იგი ასევე გააგრძელებს გადამცემი სისტემის გაძლიერებას, რომელიც შემუშავებული იყო შავი ზღვის გადამცემი ხაზის სახით, დამატებითი ინვესტიციებით ჰიდროელექტროსადგურების განვითარებაში, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის რეგლამენტებს ელექტროენერჯის გადაცემაზე ქვეყნებს შორის. მომავალი პროექტების პრივილეგია იქნება კერძო სექტორის მონაწილეობა.

FDI-ს მოსაზიდად ჰიდროენერჯის გენერირების მსხვილი პროექტების დასაფინანსებლად, ბანკი მხარს დაუჭერს საერთაშორისო კერძო მოთამაშეების მონაწილეობას ქვეყნის გამოუყენებელი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის შემდგომი ათვისების მიზნით. ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად ბანკი მხარს დაუჭერს რეზიდენტულ სესხებს ამ სფეროებში და არაენერგოეფექტური მრეწველობების (მაგალითად, ცემენტის) შემდგომ მოდერნიზაციას, ენერგოეფექტურობის საკრედიტო ხაზების დახმარებით.

პოლიტიკური დიალოგი და ტექნიკური თანამშრომლობა

ბანკის დაფინანსება ენერგოსექტორის შემდგომი მოდერნიზაციისათვის დაეფუძნება პოლიტიკურ დიალოგს, რომლის მიზანია შიდა ბაზრის შემდგომი რეფორმირების ხელშეწყობა და თანამედროვე მარეგულირებელი სისტემის შემოღება. კერძოდ, ბანკი იმუშავებს საქართველოს ხელისუფლებასთან, სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორებთან სათანადო სახელმწიფო მხარდაჭერის შესაქმნელად ჰესების მსხვილი პროექტების დაწყების ხელშეკრულებების დასადებად, მსხვილი საერთაშორისო დეველოპერებისა და ოპერატორებისაგან სტრატეგიული ინვესტიციების სტიმულირების, ასევე ასეთი მხარდაჭერი ზემოქმედების შესამცირებლად ქვეყნის მიმდინარე ვალდებულებებზე. პოლიტიკური დიალოგის მიზანი აგრეთვე იქნება ენერგოტარიფების განსაზღვრაში მთავრობის ჩარევის შემცირება, რაც ახალი ინვესტორებისათვის განახლებადი ენერჯის მცირე და მსხვილი პროექტებში კაპიტალდაბანდების მიმართ პოტენციური ხელის შემშლელი ფაქტორი იქნება.

3.3. საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერა

ძირითადი გამოწვევები

ქვეყნის შედარებითი სიმცირის მიუხედავად, სარგებელის მიღება შესაძლებელია მხოლოდ რეგიონალური პროექტებიდან, რომლებსაც შეუძლია ფართომასშტაბიანი დაფინანსების მოზიდვა. ქვეყნის მდებარეობა და, ზოგადად, ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი უნდა გახდეს საფუძველი ქვეყნის სტრატეგიული სატრანზიტო კორიდორიდან რეგიონალური ლოჯისტიკურ პლატფორმად გარდაქმნისათვის. ეს საჭიროებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომ გაუმჯობესებას, ლოჯისტიკური საშუალებებსა და მრეწველობებში ინვესტირებას, ქვეყნის გავლით გადაზიდულ საქონელს კი დამატებით ღირებულებას შემატებს. წარმატების პროგნოზირება შესაძლებელია მხარდაჭერის პოლიტიკის საფუძველზე, რომლის მიზანი იქნება რეგიონალური და უფრო ფართო საერთაშორისო ბაზრების გახსნა; ფართო და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის გახსნაზე ევროკავშირთან მიმდინარე მოლაპარაკების ფონზე.

საქართველოს რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული სპეციფიური სექტორული გამოწვევები შეეხება:

- საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის გამოყენებას სატრანზიტო კორიდორის სახით ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის, ეკონომიკაში დამატებითი ღირებულების შესაქმნელად. ლოჯისტიკის სექტორი განუვითარებელია, არსებობს რამდენიმე სასაწყობო საშუალება, რომელიც აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს.
- კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში, ეფექტურობის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების, მოშორებული ზონების წვდომის, კომუნიკაციების და გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით, მარეგულირებელი სფეროს რეფორმირებასთან ერთად.
- ქვეყნის ძლიერი ტურისტული პოტენციალის შემდგომ განვითარებას თბილისსა და რეგიონებში ტურისტული ადგილების შექმნით, რომლებიც მოსახერხებელი და ხელსაყრელი იქნება ტურისტებისათვის, უფრო დივერსიფიცირებული მდებარეობებითა და შემოსავლების დონით.

ბანკის ოპერატიული რეაგირება

საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშესაწყობად, ბანკი ფოკუსირებული იქნება პროექტებზე სხვადასხვა სფეროებში, ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტელეკომუნიკაციების და ფინანსური სექტორების ჩათვლით, რათა მხარი დაუჭიროს ქვეყნებს შორის აქტივობებს. ამ პროექტების მიზანია უნდაარების გადაცემა ქართული კომპანიებისათვის, რათა მათ შეძლონ სავაჭრო უპირატესობებით სარგებლობა და უფრო კონკურენტუნარიანი გახდნენ უფრო ფართო რეგიონალურ და საერთაშორისო კონტექსტში.

საქართველოს რეგიონალური სატრანსპორტო პლატფორმის როლის გასაძლიერებლად, ბანკი დასახავს პრიორიტეტებს კერძო სექტორის სფეროში, როგორცაა პორტის ინფრასტრუქტურის გაფართოება და ქვეყნის აეროპორტის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია. სატრანსპორტო ლოჯისტიკასთან დაკავშირებულ სფეროში ბანკი დახმარებას გაუწევს ლოჯისტიკურ და

სასაწყობე კომპანიებს, რომლებიც მოემსახურებიან უფრო ფართო რეგიონალურ ბაზრებს, მისცემენ ქვეყანას საშუალებას ისარგებლოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობის უპირატესობით, სამხრეთ კავკასიას, ცენტრალურ აზიასა და ევროპას შორის მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კავშირის სახით.

ქვეყნის დადებითი საინვესტიციო კლიმატის საფუძველზე, ბანკი დაეხმარება კერძო კაპიტალის ფონდებს, რომლებიც უფრო ფართო რეგიონს მოიცავს. ეს ხელს შეუწყობს და სტიმულს მისცემს უფრო ფართო რეგიონიდან კერძო კაპიტალის ინვესტორებს განახორციელონ კაპიტალდაბანდებები საქართველოში, დააბალანსებენ თანამშრომლობას ინვესტიციების სეგმენტებს შორის, საქართველოს რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად.

კომუნიკაციის თანამედროვე ქსელები არსებითია საქართველოსთვის, რეგიონალური სატრანსპორტო და ლოჯისტიკური პლატფორმის სახით მისი როლის გასამდიერებლად. ბანკი დაეხმარება საქართველოს კომუნიკაციების და ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარებაში, კონკურენტული გარემოს შექმნაში, რათა საქართველოში ყველა რეგიონი, ქალაქიდან მოცილებული ადგილების ჩათვლით, დაკავშირებული იყოს.

საქართველოს დასახმარებლად გახდეს რეგიონალური და ნამდვილად გლობალური ტურისტული ქვეყანა, ბანკი მხარს დაუჭერს ტურისტული სექტორის გაფართოებას და დაეხმარება საცალო ვაჭრობის ობიექტებს სელექციური ინვესტირების საფუძველზე, პოტენციური მულტიეროვნული მოთამაშეებითა და კონკურენტული გარემოს შექმნით.

პოლიტიკური დიალოგი და ტექნიკური დახმარება

სახელმწიფო მონაწილეობის ხარისხის შემცირებასთან ერთად, ბანკი ახალ მთავრობასთან განიხილავს სათანადო სფეროს შერჩევაში, რათა ერთობლივი ძალისხმევით ხელი შეუწყონ კერძო ინვესტიციების მოზიდვას, რეგიონალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად. გააგრძელებს თუ არა სიმდიდრის სუვერენული ფონდი ფუნქციონირებას ისევე, როგორც საპარტნიორო ფონდი, აღნიშნულთან დაკავშირებით პოლიტიკური დიალოგის მიზანი იქნება კორპორაციული მართვის გაძლიერება, ფინანსური აუდიტის ჩათვლით. ბანკი ასევე განიხილავს ახალი მთავრობის პროექტებს *ad hoc* ფონდების გასაზრდელად იმდენად, რამდენადაც ასეთი ინვესტიციები მოზიდული და გამოყენებული იქნება კერძო სექტორის მხარდასაჭერად.

3.4. ბანკის შეთავაზებული აქტივობების ზემოქმედება გარემოს და დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე

EBRD პროექტები საქართველოში ექვემდებარება 2008 წლის გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკის პრინციპებსა და მასთან დაკავშირებული საექსპლუატაციო მოთხოვნებს. პირდაპირი ინვესტიციებისათვის, პოლიტიკა მოითხოვს, რომ პროექტები აკმაყოფილებდეს ევროკავშირისა და ქართულ ეროვნულ მოთხოვნებს გარემოს დაცვის სფეროში. EBRD იმუშავებს კლიენტებთან, რათა პროექტებმა, რომლებიც ამჟამად არ აკმაყოფილებს ევროკავშირის კრიტერიუმებს გარემოს დაცვის სფეროში, მომავალში სრულად დააკმაყოფილოს ევროკავშირის სტანდარტები.

A კატეგორიის პროექტებისათვის პოლიტიკის დანართი 1-ის შესაბამისად, ბანკმა გამოაცხადა ინფორმაციის გახსნისა და საზოგადოებასთან კონსულტაციების პერიოდი გარემოსდაცვითი და

სოციალური ზემოქმედების შესაფასებლად (60 და 120 დღე კერძო და სახელმწიფო პროექტებისათვის შესაბამისად), რომელიც აღმატება ინფორმაციის გახსნის 30-დღიან პერიოდს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების კომენტარები, EBRD-ს მიერ ინფორმაციის გახსნის პერიოდში, გათვალისწინებული იქნება საქართველოში ნებართვების გაცემის პროცესის დროს, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის გახსნა და დაგეგმვა კარგად იყოს კოორდინირებული ისეთნაირად, რომ ხელისუფლებას ქონდეს ყველა კომენტარის განხილვის შესაძლებლობა გადაწყვეტილების მიღებამდე.

საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად, რომელზეც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა და სამშენებლო სამუშაოებმა, ბანკი კლიენტებს მოსთხოვს კონსულტაცია გაიარონ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან, მდგომარეობის შემუშავების და პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების ან შემცირების მიზნით.

საქართველოს გეგმასთან დაკავშირებით განავითაროს ჰიდროენერგეტიკა, შეთავაზებული იქნება მრავალი ახალი პროექტი მდინარეებზე, რომლებიც არ შეეხება წინა პერიოდის პროექტებს. ასეთი პროექტებისათვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბიომრავალფეროვნებას, ასევე ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე, რაც შეიძლება გავრცელდეს დაუცველ ფენებზეც. მდინარეების აუზებში, სადაც უნდა მოხდეს ახალი პროექტების რეალიზაცია, ბანკი მოითხოვს კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებას. გასულ წლებში ბანკმა შეიმუშავა გარემოს დაცვის მდგომარეობის სტრატეგიული შეფასება ჰიდროენერგეტიკული პროექტებისათვის მდინარე მტკვარსა და მდინარე ფარავანზე, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება დეველოპერებისა და მარეგულირებელი ორგანოებისათვის ამ მდინარეების აუზში მომავალი პროექტებისათვის.

ფინანსურ შუამავალთა (FI) ინვესტირებისათვის, რომელთა მიზანია კერძო სექტორში კაპიტალდაბანდების გაზრდა, ბანკი გააგრძელებს კლიენტის შუამავლების მონიტორინგს, რათა მათ განახორციელონ შეთანხმებული კვლევა გარემოს დაცვისა და სოციალურ სფეროებში, ასევე პროცედურების მონიტორინგს გარემოს და სოციალური დაცვის რისკების ადეკვატური მენეჯმენტისათვის. საჭიროების შემთხვევაში, ბანკი გააგრძელებს 2012 წლის FI ტრენინგს დამატებითი კურსებით, რათა FI შტატი იცნობდეს ბანკის მოთხოვნებს გარემოსა და სოციალურ სფეროებზე ზემოქმედების კვლევასთან დაკავშირებით.

მოსახლეობა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში საუბრობს სხვა ენაზე. პროექტებისათვის ამ რეგიონში ბანკი უზრუნველყოფს, რომ კლიენტმა შეინარჩუნოს საზოგადოების მონაწილეობის მაღალი დონე ადგილობრივ ენაზე, როგორც კვლევის, ისე ოპერაციების ეტაპზე, რათა პროექტის მონაწილეთა პრიორიტეტები და ამოცანები აღქმული და გაგებული იქნეს. პროექტებმა, რომლებსაც აქვს საზღვრებს გარე ზემოქმედება უნდა დააკმაყოფილოს UNECE Espoo კონვენციის მოთხოვნები. ზოგ რეგიონში, ინფორმაციის მოპოვება და ადგილობრივ მონაწილეებთან კონსულტაციები შეიძლება გართულებული აღმოჩნდეს სადავო საზღვრების გამო.

ჰიდროენერგეტიკული და სხვა პროექტებისათვის შეიძლება საჭირო გახდეს მიწის ნაკვეთების შეძენა, კერძოდ კი, ხაზოვანი პროექტებისათვის, როგორებიცაა გადამცემი ხაზები და გზები. ბანკი იმუშავებს კლიენტებთან, მიწის საკუთრების რეგისტრაციის და ექსპროპრიაციის, აგრეთვე კომპენსაციის პროცესების განსახორციელებლად, ბანკის საექსპულუატაციო მოთხოვნების შესაბამისად.

ადრეულ პროექტებში ბანკმა გამოავლინა, რომ სამშენებლო პრაქტიკა საქართველოში ყოველთვის არ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს გარემოს დაცვის კონტროლის, საწარმოო ჰიგიენისა და უსაფრთხოების (EHS) სფეროში. აღნიშნულის გამოსასწორებლად, ბანკი უზრუნველყოფს ტექნიკური თანამშრომლობის ფონდებს პილოტური პროექტებისათვის საქართველოში, პრაქტიკული დირექტივების შესამუშავებლად სამშენებლო მოედნებზე და OHS მენეჯმენტისათვის.

გენდერი

ბანკის გენდერული სამოქმედო გეგმის განხორციელებასთან ერთად პერიოდში, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ პერიოდს, ბანკი იმუშავებს კლიენტებთან საქართველოში რიგ სექტორებსა და სფეროებში. მრეწველობის, კომერციის და აგრობიზნესის სექტორში კლიენტმა უნდა უზრუნველყოს თანაბარი შესაძლებლობები დასაქმების სფეროში, საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს დახმარება. MEI ახალ პოლიტიკის შესაბამისად, პროექტების შემუშავება და რეალიზაცია უნდა განხორციელდეს ისეთნაირად, რომ მომსახურება აკმაყოფილებდეს, როგორც მამაკაცებს, ისე ქალების მოთხოვნებს. ენერგეტიკასა და ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ბანკი გააგრძელებს საშუალებების იდენტიფიცირებას კლიენტებთან მუშაობის საფუძველზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად დასაქმების დარგში. EBRD იმუშავებს კლიენტებთან გენდერული უთანასწორობის გამოსავლებად შრომის ანაზღაურებაში, აღნიშნულის აღმოსაფხვრელად და თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი გადახდის პრინციპის უზრუნველსაყოფად.

გენდერული თანასწორობის შეფასების მიზნით იხილეთ დანართი 8.

4. დაფინანსების ხელმისაწვდომობა

4.1. კაპიტალის კერძო წყაროები

საქართველოს საბანკო სექტორმა გაუძლო მძიმე კრიზისს და დაიბრუნა შემოსავლიანობა. ფინანსური პენეტრაციის მაჩვენებლები დაბალია ბოლო წლებში განუხრელი ზრდის მიუხედავად, საბანკო აქტივები/მშპ შეადგენდა მხოლოდ 53%, ხოლო დეპოზიტები/მშპ რჩებოდა დაბალ 29%. 2011 წლის ბოლოსთვის კერძო სექტორზე გაცემულმა კრედიტებმა მშპ-სთან პროცენტულად შეადგინა 32%. 2008-2009 წლებში გაცემულმა კრედიტებმა შეადგინა 13%, გააგრძელა რა ზრდა 2010 წელში, რაც თავიდან ფოკუსირებული იყო სასაქონლო-მატერიალური მარაგების გადაფასებაზე, შემდეგ ამას მოყვა ზრდა საცალო ვაჭრობის სესხებში და ფიქსირებულ ინვესტიციებში. წლიდან წლამდე კერძო სექტორზე გაცემულმა კრედიტებმა შეადგინა 23.5 % 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ხოლო ოქტომბერში მიაღია 29% კი.

კერძო სექტორზე გაცემული ეროვნული საკრედიტო ხაზის მხოლოდ დაახლოებით 35.8% მოდის MSME, რადგან მსხვილი ბანკები, რომლებიც დომინირებენ ბაზარზე ფოკუსირებული არიან მსხვილი საწარმოების დაფინანსებაზე. დაფინანსების ხელმისაწვდომობა უფრო შეზღუდული გახდა კრიზისის პერიოდში, 2009 წელს ფირმების ნახევარზე მეტი ამას მიიჩნევს მთავარ წინააღმდეგობად, 2008 წლის მესამედთან შედარებით BEEP-ის მიმოხილვის შესაბამისად. კარგად

განვითარებული ქსელის და ინსტიტუციონალური სტრუქტურის მიუხედავად MFI-ს აკლია ფინანსური კაპიტალი მიკროსესხებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

არასაბანკო საფინანსო სექტორი მცირე რჩება. მის განვითარებას შეიძლება ხელი შეუწყოს ახლადგამოცხადებულმა საპენსიო რეფორმებმა. ქართული კომპანიები, რომლებიც ეძიებენ კაპიტალის წვდომას საერთაშორისო ბირჟაზე ლისტინგის საშუალებით, ვინაიდან კაპიტალის ადგილობრივი ბაზრები ძალიან მწირია.

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ატარებს მოქნილ პოლიტიკას სავალუტო კურსთან მიმართებით და თანდათან ცდილობს ინფლაციის რეგულირებას, ეროვნული ვალუტის კაპიტალის ბაზარი შეზღუდულია და ლარში დაფინანსება ხელმისაწვდომია მხოლოდ მოკლევადიანი სესხებისათვის.

4.2. MDB-ს დაფინანსება და თანამშრომლობა IFI-სთან

ბანკი ახორციელებდა საქართველოში თავისი საქმიანობის ინტენსიურ კოორდინაციას სხვა IFI-სთან და განვითარების პარტნიორებთან, კერძოდ, ქვეყანაში 2008-9 წლებში ორმაგი ეკონომიკური და უსაფრთხოების კრიზისის განმავლობაში და მას შემდეგ. მაშინ, საერთაშორისო გაერთიანებამ გამოყო საშუალოვადიანი დაფინანსების პაკეტი, რომლის ღირებულება შეადგენდა 4.6 მილიარდ აშშ დოლარს, საიდანაც 950 მლნ EBRD-ს წილი იყო. პაკეტი ამჟამად, უმეტესწილად, ათვისებულია, დარჩენილი თანხის გამოყოფა მოხდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)

2006 წლიდან ფონდი ეხმარება საქართველოს მთავრობას ეკონომიკური რეფორმის პროგრამის განხორციელებაში, რომლის რესურსები მიმართულია სიღარიბის დაძლევისა და ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამასა (PRGF) და საერთო სახსრების ანგარიშზე (GRA). 2008 წლის ზაფხულში, რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, საქართველო დადგა უცხოური კაპიტალდაბანდების მოულოდნელი შემცირების წინაშე, რამაც იძულებული გახადა ხელისუფლება ეთხოვა სარეზერვო ხელშეკრულების დადება (SBA). 2008 წლის 15 სექტემბერს დადებულ იქნა SBA SDR477.1 მლნ-ს ოდენობით (დაახლოებით \$748.3 მლნ აშშ დოლარი), რომელიც დამტკიცებულ იქნა IMF-ს აღმასრულებელი საბჭოს მიერ, საქართველოს ხელისუფლების დასახმარებლად მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში, მთლიანი საერთაშორისო რეზერვებისა და ინვესტორების ნდობის აღდგენაში. 2009 წლის აგვისტოში, IMF-ის აღმასრულებელმა საბჭომ დაამტკიცა დანამატი SBA SDR 270 მლნ ოდენობით (დაახლოებით \$423.5 მლნ აშშ დოლარი), ხოლო SBA-ს მოქმედების ვადა გააგრძელე 2011 წლის 14 ივნისამდე. დანამატმა და SBA-ს ვადის გაგრძელებამ ხელი შეუწყო მწვავე სახელმწიფო და გარე დეფიციტის დაძლევის. 2006 წლიდან, ფონდმა ასევე გაუწია ტექნიკური დახმარება საგადასახადო ადმინისტრირების, ბიუჯეტის კლასიკვიცირებისა და აღრიცხვის, მონეტარული პოლიტიკის და ფულადი და სავალუტო კურსთან დაკავშირებულ ოპერაციებში, საბანკო ზედამხედველობისა და რეგულირების და სტატისტიკის სფეროებში.

2012 წლის აპრილში, IMF-ს საბჭომ დაამტკიცა ახალი 24-თვიანი სარეზერვო შეთანხმება (SBA) და 24-თვიანი შეთანხმება (კონცესიური) სარეზერვო საკრედიტო პროგრამის შესაბამისად (SCF). ამ პროგრამის შესაბამისად, საქართველოს აქვს IMF კრედიტის წვდომა SDR 250 მლნ-ს

ოდენობით (კვოტის 250 პროცენტი ანუ დაახლოებით \$386 მლნ აშშ დოლარი), რომელიც თანაბრად იქნა გაყოფილი ორ შეთანხმებას შორის. ამ დრომდე ხელისუფლება ამ პროგრამის განიხილავდა, როგორც სარეზერვოს და არ გამოუყენებია ამ პროგრამის შესაბამისად არსებული სახსრები.

მსოფლიო ბანკი

საქართველო მიუერთდა WB-ს 1992 წელს და საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (IDA) 1993 წელს. ამ დრომდე მსოფლიო ბანკის დახმარებამ საქართველოსადმი შეადგინა \$1.22 მილიარდი. მიმდინრე პორტფელი მოიცავს 11 პროექტს სულ \$295.3 მლნ-ს ოდენობით. მსოფლიო ბანკის ქვეყანასთან პარტნიორობის სტრატეგია (CPS) 06–09 ფინანსური წლების განმავლობაში ეფუძნებოდა მთავრობის ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას (EDPRP), ასევე განვითარებადი ქვეყნის ხელისუფლების დახმარებას სტრატეგიული მოსაზრების შემუშავებაში ქვეყნის განვითარების სტრუქტურასთან დაკავშირებით და უზრუნველყო დახმარება 336.7 მლნ აშშ დოლარის ოდენობით საკრედიტო ხაზებისა და სესხების საშუალებით. CPS პროგრამას სამი ნიშანსვეტი ჰქონდა: (i) შემოსავლების ზრდა და სამუშაო ადგილების შექმნა; (ii) ადამიანური რესურსების განვითარება და სოციალური დაცვა; და (iii) სახელმწიფო მომსახურების ეფექტურობის ამაღლება. კორუფციისა და მართვის საკითხები მიჩნეულ იქნა ყოვლისმომცველ თემად, რომლის გადაჭრას ემსახურებოდა სამი ნიშანსვეტიდან თითოეული. CPS-ის დასრულების შესახებ ანგარიშის შესაბამისად, შედეგები აღნიშნული სამივე საკითხის მიხედვით დამაკმაყოფილებელი იყო.

ქვეყანასთან პარტნიორობის ახალი სტრატეგია (CPS) საქართველოსთვის, რომელიც მოიცავდა 10-13 ფინანსურ წლებს მომზადებული იქნა ორმაგი კრიზისის ფონზე - აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთთან, რომელსაც მოჰყვა გლობალური ეკონომიკური ვარდნა. შედეგად, მსოფლიო ბანკის/IFC ერთობლივი სტრატეგია ფოკუსირებულია ომის შემდგომ მოკლევადიან მტკივნეულ საკითხებზე, ასევე საფუძველის გაძლიერებაზე საშუალოვადიან პროექტებისათვის კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. პირველი საკითხი შეეხებოდა იდენტიფიცირებულ მტკივნეულ პრობლემებს მაკრო-სტაბილურობის, დასაქმების, სოციალური მომსახურების და ფინანსური სექტორის ჩათვლით. მეორე საკითხი შეეხებოდა საქართველოში სტრუქტურული რეფორმის პროგრამის მხარდაჭერის გაგრძელებას საშუალოვადიან პერსპექტივაში კერძო სექტორში გარემოს გაუმჯობესების, სატრანზიტო კორიდორის სახით ქვეყნის როლის შექმნის, სახელმწიფო რესურსების გამოყენებაში ეფექტურობის, გამჭვირვალების და ანგარიშგების ამაღლების მიზნით. IDA-სა და IBRD-ს ახალი სესხი შეფასებულ იქნა მინიმუმ \$396 მლნ დოლარად, \$130 მლნ დოლარი გამოყო IDA და \$266 მლნ დოლარი შეადგინა IBRD-ს ინდიკაციური დაფინანსება. IFC დაფინანსება მოსალოდნელია დაახლოებით \$210-360 მლნ დოლარის ოდენობით, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც დამოკიდებულია კრიზისის დაძლევის დონეზე.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია IFC

საქართველო IFC-ს აქციონერი და წევრი გახდა 1995 წელს. ამ დროიდან მოყოლებული, IFC-მა განახორციელა USD 449 მლნ დოლარზე მეტის ინვესტირება 30 პროექტში ფინანსურ, ენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის, უძრავი ქონებისა და წარმოების სექტორებში. 2008 წლის აგვისტოს კრიზისის შემდეგ, IFC ფოკუსირებული იყო საინვესტიციო საქმიანობაზე, რაც დაკავშირებული იყო ფინანსური სექტორის სტაბილიზაციასთან, კაპიტალისა და

ლიკვიდურობის უზრუნველყოფით სისტემატურად მწშივნელოვანი ბანკებისათვის EBRD და IFI-სთან პარტნიორობისათვის. IFC-მა ასევე შეიტანა წვლილი საქართველოს განვითარებაში ტექნიკური დახმარების საშუალებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა კორპორაციული მმართველობა, საგადასახადო, მარეგულირებელი და ლიცენზირების რეფორმა, ფინანსურ სექტორში კრიზისის მენეჯმენტი. მომავალში IFC თავისი ძალისხმევის ფოკუსირებას მოახდენს ინვესტიციებზე განახლებად ენერჯიაში, წარმოებასა და აგრობიზნესში.

აზიის განვითარების ბანკი

საქართველო ADB-ს შეუერთდა 2007 წელს, მისი სათაო ოფისი დაფუძნებულ იქნა 2008 წლის დეკემბერში. შუალედური ოპერაციული სტრატეგიაში 2008–2009 წლებისათვის იდენტიფიცირებული იყო სამი პრიორიტეტული სფერო: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ეკონომიკაზე საავტომობილო გზებით ტრანსპორტირების შეზღუდვების შემცირება და ენერჯეტიკის დარგში ინფრასტრუქტურის აღდგენა და განვითარება. დონორთა კონფერენციის დროს ბრიუსელში 2008 წლის ოქტომბერში, ADB გამოყო 300 მლნ აშშ დოლარი მომდევნო სამი წლის მანძილზე საქართველოს განვითარების დასახმარებლად. ამ დროის შემდეგ ADB-მ მნიშვნელოვნად გადააჭარბა ამ თანხას, გამოყო რა USD 500 მლნ აშშ დოლარი საგზაო კორიდორის შვიდწლიანი პროგრამისათვის, რომელიც დამტკიცდა 2009 წელს; USD 300 მლნ დოლარი საქალაქო ტრანსპორტის განვითარების რვაწლიანი პროგრამისათვის 2010 წელს; და USD 500 მლნ აშშ დოლარი უსაფრთხო წყლოსა და სანიტარული კონტროლის რვაწლიანი პროგრამისათვის 2011 წელს.

4.3. თანამშრომლობა ევროკავშირთან

ორმხრივი ურთიერთობები ევროკომისიასა (EC) და საქართველოს შორის დამყარდა 1992 წელს, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს (EU) შორის ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობის და EU თანამშრომლობის პროგრამების კოორდინაციის განხორციელების მიზნით საქართველოში. 2004 წელს საქართველო შეტანილ იქნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP), რომელიც შემუშავებული იყო EU და მის მეზობლებს შორის ახლადწარმოქმნილი გამყოფი ხაზების თავიდან ასაცილებლად და ყველა მონაწილის კეთილდღეობის, სტაბილურობის და უსაფრთხოების გასაძლიერებლად.

ENP სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია უფრო მჭიდრო კავშირების დამყარება პოლიტიკური, გეოგრაფიული და ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით, EU-სა და საქართველოს შორის. პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა დამოუკიდებლობამ ორ პარტნიორს შორის წარმოქმნა მათი ურთიერთობების ხელშეწყობის საჭიროება სტაბილურობის, უსაფრთხოების და კეთილდღეობის მიზნით. ENP-ს სამოქმედო გეგმის შეთანხმებით, საქართველომ და EU ივალდებულეს ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავება და ორმხრივი პოლიტიკური თანამშრომლობის გაძლიერება შემდეგი სფეროების ჩათვლით: 1) საგარეო პოლიტიკა; 2) იუსტიცია; 3) ენერჯეტიკა; 4) ტრანსპორტი; 5) სიღარიბის დაძლევა; 6) თავისუფლება და უსაფრთხოება, განსაკუთრებით საზღვრების მენეჯმენტისა და მიგრაციის სფეროებში; 7) გარემოს დაცვა.

საქართველო ისარგებლა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის პროგრამით (ENPI), €180.7 მლნ ევროს ოდენობით 2011-2013 წლებში. ამ ეროვნული პაკეტით, იდენტიფიცირებული იყო ოთხი მიზნობრივი სექტორი: i) დემოკრატიული განვითარება, კანონის უზენაესობა, კარგი

მმართველობა; ii) ვაჭრობა და ინვესტიციები, მარეგულირებელი სისტემა და რეფორმა; iii) რეგიონალური განვითარება, მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარება, სიღარიბის დაძლევა; და iv) კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის მხარდაჭერა. ეს ფინანსური პაკეტი მოიცავს ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამების დიდ სექტორს, რომელიც ეხმარება საქართველოს ხელისუფლებას რეფორმების გატარებაში, მაგალითად, სისხლის სამართლის, სახელმწიფო ფინანსების მართვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა და იმ თემების დახმარების სფეროებში, რომლებზეც ზეგავლენა მოახდინა კონფლიქტმა, ბოლო დროს კი შეეხო სოფლის მეურნეობას და რეგიონალურ განვითარებას. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში პროგრესის აღიარებით, საქართველომ მიიღო დამატებითი დაფინანსება €22 მლნ ევროს ოდენობით 2012 წელს.

საქართველოსათვის ეროვნული დახმარების გარდა, ხორციელდება თანამშრომლობის სხვა ფორმები, კერძოდ რეგიონალური პროგრამები ENPI-ის შესაბამისად, რომლებიც მოიცავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ყველა ქვეყანას და ფოკუსირებულია მომიჯნავე სექტორებზე, როგორებიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და გარემოს დაცვა, აგრეთვე საზღვრების ინტეგრირებული მენეჯმენტი. გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია ისარგებლოს პროექტებით, რომლებიც ფინანსდება მეზობელი ქვეყნების საინვესტიციო პროგრამით (NIF), რომლის მიხედვითაც EU გრანტები უერთდება ევროპული ფინანსური ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა EBRD, მიღებულ დაფინანსებას, კაპიტალდაბანდებების მხარდასაჭერად და ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა წყლის გაწმენდა და სანიტარული ზედამხედველობა, ენერგოეფექტურობა და გარემოს დაცვა.

გარდა ამისა, საქართველო აგრძელებს EU მაკრო-ფინანსური დახმარებით (MFA) სარგებლობას, ეს არის პოლიტიკაზე დაფუძნებული ინსტრუმენტი მესამე ქვეყნებისათვის საგადასახადო ბალანსების მხარდასაჭერად. რუსეთთან 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, EU დონორების კონფერენციაზე ითხოვა ორი პოტენციური MFA პროგრამა ქვეყნისათვის, რომელთა ოდენობამ შეადგინა EUR 46 მლნ ევრო. მათ შეადგინეს EU პოსკონფლიქტური დახმარების უფრო დიდი პაკეტის ნაწილი, რომლის ოდენობა იყო EUR 500 მლნ ევრო. პირველი MFA პროგრამა წარმატებულად დასრულდა 2009-2010 წლებში, როდესაც EU საქართველოსთვის უზრუნველყო EUR 46 მლნ ევრო გრანტების სახით. მეორე MFA პროგრამისათვის, კომისიამ მიიღო წინადადება 2011 წლის იანვარში. ძირითადი მიზანი იყო EUR 46 მლნ ევროს MFA დაფინანსების პაკეტი (რომელიც თანაბრად უნდა განაწილებულიყო სესხებისა და გრანტების სახით) საქართველოს გარე დაფინანსების საჭიროების დასაფარად და საბიუჯეტო დაფინანსების საჭიროების შესამსუბუქებლად, დაეხმარა რა ქვეყნის ფისკალურ კონსოლიდაციას და სტაბილიზაციის გარე ძაღისხმევას, სტრუქტურული რეფორმების სტიმულირების გზით.

EU საქართველოს ახალ მთავრობასთან თანამშრომლობის პრიორიტეტები მომდევნო სამუალოვადიანი ბიუჯეტისათვის (2014-2020) შეეხება იუსტიციას, სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებასა და სახელმწიფო სექტორის რეფორმას.

ევროპის საინვესტიციო ბანკი EIB

EIB და EBRD მჭიდროდ თანამშრომლობენ ოპერაციების საერთო ქვეყნებში, საქართველოს ჩათვლით, ურთიერთგაგების შესახებ სამმხრივი მემორანდუმის შესაბამისად, რომელსაც ხელი მოეწერა 2006 წელს და მოქმედების ვადა გაგრძელდა 2011 წელს. მემორანდუმი ფოკუსირებულია თითოეული დაწესებულების რესურსების კომპლემენტარულობაზე, დამატებითობასა და

ეფექტურ გამოყენებაზე. EIB საქართველოში თავისი ოპერაციები დაიწყო 2007 წელს, თავიდან გადარიცხული თანხით, რომლის მიზანი იყო ეკონომიკური ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები და გარემოს დაცვა) განვითარებაზე, რაც თანდათან გაფართოვდა და მოიცვა SME-ს, განათლებისა და ჯანდაცვის სექტორების მხარდაჭერა. EIB და EBRD შეინარჩუნეს ახლო კონტაქტი პოტენციური ერთობლივი ოპერაციების იდენტიფიცირების მიზნით, შეაფასეს სამი ერთობლივი ოპერაცია და დღეის მდგომარეობით განახორციელეს ორი პროექტის თანადაფინანსება: მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების პროექტი და ვარდნილჰესების კასკადის და ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი. ორი დაწესებულება ახორციელებს მჭიდრო დიალოგის მხარდაჭერას და მიზნად ისახავს შემდგომი საპასუხისმგებლო ოპერაციების იდენტიფიცირებას საქართველოში თანადაფინანსების განსახორციელებლად.

დანართი 1- პოლიტიკური შეფასება

საქართველო ერთგულია მრავალპარტიული დემოკრატიის, პლურალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისა, ბანკის დაარსების შესახებ შეთანხმების I მუხლის შესაბამისად; თუმცა ამ პრინციპების შესრულება არათანმიმდევრული იყო.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებდა რეფორმას, რომლის მიზანიც საქართველოს ევროპული დემოკრატიის მქონე სახელმწიფოდ გარდაქმნა იყო. არსებობს შესამჩნევი მიღწევები ამ გზაზე, ძალაუფლების არჩევნების შედეგად გადაცემის ჩათვლით, რაც უპრეცედენტოა რეგიონალურ კონტექსტში.

თუმცა, ბევრი სირთულე კვლავ არსებობს. მნიშვნელოვანია, ოპოზიციასთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ინკლუზიური დიალოგის უზრუნველყოფა, რათა მოხდეს მათი სრული ინტეგრაცია პოლიტიკურ პროცესში. შეშფოთებას იწვევდა ხელისუფლების არაპირდაპირი კონტროლი მედიაზე. საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისათვის აუცილებელია კანონის უზენაესობის სფეროში ვალდებულებების განხორციელების გაძლიერება და ადამიანის უფლებების პატივისცემა.

წარმომადგენლობითი და ანგარიშვალდებული მთავრობა

თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტული არჩევნები

კონსტიტუცია მოქალაქეებს უფლებას აძლევს შეცვალონ ხელისუფლება პერიოდული არჩევნების გზით, რაც დაფუძნებულია საარჩევნო უფლებაზე.

ძირითადი საარჩევნო კანონმდებლობა მოიცავს კონსტიტუციას, საარჩევნო კოდექსს, ორგანულ კანონს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (პოლიტიკური გაერთიანებების კანონი), სახელმწიფო აუდიტის სამსახურის კანონს და სისხლის სამართლის კოდექსს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი წლით ადრე, საარჩევნო საკანონმდებლო ჩარჩომ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ოპოზიციის მიერ გააკრიტიკებული იყო მიუკერძოებლობის ნაკლებობის გამო.

ბოლო საპრეზიდენტო არჩევნები 2008 წლის 5 იანვარს ჩატარდა. არჩევნებზე მონიტორინგს აწარმოებდა არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია (IEOM), რომელიც შედგება OSCE / ODIHR, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და ევროპარლამენტისაგან. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის (IEOM) დასკვნაში ნათქვამია, რომ არჩევნები შეესაბამებოდა ეუთოსა და ევროპის საბჭოს ვალდებულებების უმეტესობას, მაგრამ ამასთანავე გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები; მათ შორის: დაშინების და ზეწოლის შესახებ ბრალდებები, სახელმწიფო საქმიანობასა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანიას შორის ზღვარის მოშლა, ხარვეზები ხმების დათვლისა და შეჯამებისას; ასევე არჩევნების შემდგომი საჩივრების პროცედურები.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მოხდა ძალაუფლების გადაცემა დემოკრატიული გზით - ქვეყანაში პირველად დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. არჩევნების მონიტორინგს აწარმოებდა OSCE / ODIHR, ევროპარლამენტი და ეუთოს, ნატოს და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეები. მათ დაასკვნეს, რომ არჩევნები მნიშვნელოვან

ნაბიჯს წარმოადგენდა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში. არჩევნები კონკურენტუნარიანი იყო-მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობით მთელი კამპანიის მანძილზე, მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩათვლით. რეგისტრირებული იყო თოთხმეტი პოლიტიკური პარტია, ორი საარჩევნო ბლოკი და ოთხი დამოუკიდებელი კანდიდატი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში- ინკლუზიური და გამჭვირვალე ფორმით, რამაც უზრუნველყო ფართო არჩევანი ამომრჩეველთათვის.

არჩევნების შედეგად პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სცნო ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დამარცხება ოპოზიციურ კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ხელმძღვანელობდა. ახალი პარლამენტის უფლებამოსილება მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებების თანახმად, რომლებიც ძალაში შევა 2013 წელს, შემცირდა პრეზიდენტის უფლებამოსილება პრემიერის და მთავრობის სასარგებლოდ, რითაც ქვეყნის პოლიტიკური სისტემა საპარლამენტო მოდელზე გადავიდა.

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებისას, 2011 წლის დეკემბერში, მიღებულ იქნა ახალი საარჩევნო კოდექსი . იგი აერთიანებს ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის და OSCE / ODIHR -ის მრავალ რეკომენდაციას; მათ შორის-კანდიდატებისათვის რეზიდენტობის მოთხოვნის შემცირებას , პარტიების ფინანსური წახალისების გაზრდას საპარლამენტო სიებში ქალი კანდიდატების წარდგენისას და პოლიტიკური მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების აკრძალვას. თუმცა, საარჩევნო კოდექსში არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის მთავარი რეკომენდაცია-საარჩევნო ხმის თანასწორუფლებიანობის შესახებ, რაც ერთმანდატიანი ოლქებისათვის საარჩევნო ოლქების ზომის გათანაბრებას მოითხოვდა.

სერიოზული საკონსტიტუციო ცვლილება განხორციელდა 2013 წლის მარტის ბოლოს, როდესაც პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები, რითაც გააუქმა პრეზიდენტის უფლება დაენიშნა ახალი მთავრობა პარლამენტის თანხმობის გარეშე. თანამშრომლობის წესი, რომლის გამოყენებითაც ეს ცვლილება დამტკიცდა, მოწონებულ იქნა , როგორც საქართველოში დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ გაკვალული გზა.

ხელისუფლების დანაწილება და ეფექტური კონტროლი და დაბალანსება

მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკურ სისტემაში დომინირებს აღმასრულებელი შტო. საკანონმდებლო ან / და სასამართლო ხელისუფლების უნარი იმოქმედოს, როგორც ეფექტურმა საპირწონემ - შეზღუდულია პრეზიდენტის ხელში კონცენტრირებული გადაჭარბებული უფლებამოსილებით.

პრეზიდენტი აირჩევა მაჟორიტარული სისტემით ხუთი წლის ვადით და შესაძლოა არჩეულ იქნას ზედიზედ ორი ვადით. პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ მინისტრს და აძლევს თანხმობას მინისტრების დანიშვნისას. საქართველოს პარლამენტი 150 წევრისაგან შედგება და აირჩევა ოთხი წლის, ვადით შერეული საარჩევნო სისტემის საფუძველზე- სამოცდაჩვიდმეტი წევრი აირჩევა სიაზე დაფუძნებული პროპორციული სისტემით ქვეყნის მასშტაბით და დარჩენილი სამოცდაცამეტი აირჩევა ერთმანდატიან ოლქებში. ახალი საარჩევნო კოდექსი ითვალისწინებს, რომ გარდა პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისა, მაჟორიტარულ ოლქში არჩევნებში ასევე შეიძლება მონაწილეობდეს დამოუკიდებელი კანდიდატი.

2010 წლის ოქტომბერში მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებები შეამცირებს პრეზიდენტის უფლებამოსილებას და მნიშვნელოვნად გააძლიერებს პრემიერ მინისტრის თანამდებობას. კონსტიტუციის მიხედვით, ეს ცვლილებები ძალაში შევა მხოლოდ მაშინ, როცა ამჟამინდელი პრეზიდენტი პოსტს დატოვებს 2013 წელს. ვენეციის კომისიამ, რომელიც წარმოადგენს ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ორგანოს საკონსტიტუციო საკითხებზე, ცვლილებებს უწოდა "ნაბიჯი სწორი მიმართულებით", მაგრამ პარლამენტის შეზღუდულ გავლენა ხარვეზად ჩათვალია.

არჩეული წარმომადგენლების მიერ ეფექტურად მართვის შესაძლებლობა

საქართველოს არჩეულ ოფიციალურ პირებს აქვთ ეფექტური მართვის შესაძლებლობა შეზღუდვების გარეშე.

სამხედრო წრეები სამოქალაქო კონტროლის ქვეშაა და არ ასრულებენ მნიშვნელოვან როლი ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის გავლენა საზოგადოებასა და პოლიტიკაზე დიდია, რაც ასახავს ქვეყანაში ეკლესიის განსაკუთრებულ როლს და სტატუსს.

სამოქალაქო საზოგადოება, მედია და ჩართულობა

სამოქალაქო საზოგადოების მასშტაბი და დამოუკიდებლობა

ადგილობრივი და საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, უმეტეს შემთხვევაში, რეგისტრირდებიან და მუშაობენ ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვების გარეშე; თავისუფლად აქვთ კვლევის ჩატარების და მათი დასკვნების გამოქვეყნების შესაძლებლობა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაფინანსება პრობლემატურია, განსაკუთრებით პატარა და ნაკლებად გამოცდილი ორგანიზაციებისათვის. მიუხედავად ბევრი დადებითი თვისებისა, საქართველოს სამოქალაქო სექტორი არ არის გაწევრიანებაზე ორიენტირებული და მოსახლეობის ნაწილი მათ თავისი ყოველდღიური საფიქრალიდან მოწყვეტილად მიიჩნევს.

დამოუკიდებელი პლურალისტური მედია, რომელიც ცენზურის გარეშე მუშაობს

საქართველოში მედია ფორმალური სახელმწიფო ცენზურის გარეშე მუშაობს. კონსტიტუცია უზრუნველყოფს პრესის თავისუფლების გარანტიებს; ბეჭდური მედია პოლიტიკური შეხედულებების სპექტრს სთავაზობს მკითხველს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ მიერ 2011 წელს ჩატარებული ეროვნული სისტემის შეფასების თანახმად, მედია ორგანიზაციების შექმნისა და მუშაობის განმსაზღვრელ სფეროში ქვეყანას- ძირითადად- პროგრესული და ლიბერალური კანონმდებლობა აქვს.

მოქალაქეების დიდი უმრავლესობისათვის ტელევიზია ყველაზე გავლენიანი და პირველადი საინფორმაციო წყაროა; ქვეყნის ყველაზე დიდი სატელევიზიო მაუწყებლები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობენ ფორმალურად დამოუკიდებელნი არიან; მაგრამ, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირები აქვთ მთავრობასთან. ოპოზიციაზე ორიენტირებული ბეჭდვით მედიას შედარებით შეზღუდული გავრცელების არეალი აქვს. მედია მრავალფეროვანია, მაგრამ ზოგიერთი სატელევიზიო არხს ქვეყნის შიგნით შეზღუდული დაფარვა აქვს, რაც შესაბამისად,

ვერ უზრუნველყოფს ინფორმაციის სრულ ხელმისაწვდომობას საქართველოს მოქალაქეებისთვის.

ოპოზიციისა და სამოქალაქო საზოგადოების მზარდი კრიტიკის საპასუხოდ, 2012 წლის ივნისში „სავალდებულო ჩართვის, სავალდებულო შეთავაზების“ დებულებები შევიდა საარჩევნო კოდექსში. ეს დებულებები საკაბელო ქსელების ოპერატორებს ავალდებულებს, უზრუნველყონ ყველა იმ ეროვნული მედია საშუალებების ჩართვა, რომლებსაც სატელიტური მაუწყებლობის ლიცენზია აქვთ და მოსახლეობის 20 %-ს მიეწოდება. ეს დაეხმარა ტელევიზიებს გაეზარდათ ჩართვა საკაბელო ქსელების მეშვეობით.

OSCE / ODIHR-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საპარლამენტო არჩევნებამდე მედია გარემო იყო პოლარიზებული და იცავდა პოლიტიკურ ან მფლობელთა ინტერესებს. შემფოთება გამოიწვია ძირითადი, წამყვანი მაუწყებლების მიერ ოპოზიციის საქმიანობის დაუბანალანსებელმა გაშუქებამ.

ბევრი მიესალმა მედიის გამჭვირვალობის შესახებ კანონის მიღებას, რომელმაც ხელი შეუწყო ინფორმაციის გამჭვირვალობის და ხელმისაწვდომობის გაზრდას.

ოქტომბერის არჩევნების შემდეგ, მედია-ლანდშაფტის შეცვლა დაიწყო. არსებითად შემცირდა მთავრობის პირდაპირი გავლენა და ყოფილი პრო-სამთავრობო სადგურები უფრო ნეიტრალური გახდნენ.

სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის მრავალფეროვანი გზები

მთელი გასული წლის განმავლობაში ხელისუფლებას, ოპოზიციური პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის მიმდინარეობდა კონსულტაციები საარჩევნო რეფორმის შესახებ, რათა გაუმჯობესებულიყო 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლებრივი ბაზა.

პროცესი, რომელიც წინ უძღოდა მედია საშუალების მფლობელობის გამჭვირვალობის კანონის მიღებას, რომელიც ძალაში შევიდა 2012 წლის იანვარში, სამოქალაქო საზოგადოების მიერ აღირებულ იქნა როგორც ხელისუფლებას და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის კარგი მაგალითი. ოქტომბერის არჩევნების შემდეგ, პოლიტიკის შემუშავებისას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ხმა უკეთ ისმის, რადგან ხელისუფლება ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კომენტარებს ახალი კანონმდებლობის შემუშავებისას.

პოლიტიკური პარტიის შექმნის თავისუფლება და ორგანიზებული ოპოზიციის არსებობა

პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებისას არ არსებობს არანაირი შეზღუდვა, გარდა რეგისტრაციის მოთხოვნისა; 2011 წლის დეკემბერში მიღებული საარჩევნო კოდექსი საშუალებას აძლევს უპარტიო პირებს წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურა არჩევნებში.

ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტის პროგნოზირებადობაზე, სადაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მხარდამჭერები დომინირებდნენ, გავლენა მოახდინა შიდა პოლიტიკურ არენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ, რომლის პარტიამაც მტოქეობა გაუწია მმართველ

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (UNM). ფრაგმენტირებული ოპოზიცია იბრძოდა იმ სტაბილური ალიანსის შესაქმნელად, რომელიც წარმატებით გაუწევდა წინააღმდეგობას „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“. ივანიშვილმა ახალი ბიძგი მისცა ოპოზიციის ძალისხმევას კონსოლიდაციისათვის, რის შედეგადაც მათ მოიპოვეს უმრავლესობა ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებში.

კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

კანონის უზენაესობა

ქვეყნის უზენაესი კანონი კონსტიტუციაა და ამას ყველა პოლიტიკური ძალა აღიარებს.

სამართლიანი სასამართლოს უფლება გათვალისწინებულია კანონმდებლობით, თუმცა, პროკურორის დიდი უფლებამოსილება და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაძლიერების აუცილებლობა, ზღუდავს ამ უფლებას.

სასამართლოს დამოუკიდებლობა

სასამართლოს დამოუკიდებლობას სჭირდება შემდგომი გაძლიერება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ცნობს სასამართლოს დამოუკიდებლობას, არსებობს გარედან ზემოქმედების პრობლემა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ ეროვნული სისტემის შეფასების 2011 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ სასამართლო "განიცდის გაუმართლებელ ზემოქმედებას პროკურატურიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან როგორც სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას, ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც საქმე პოლიტიკური ხელმძღვანელობის ინტერესებს ეხება" და რომ სასამართლოს "არასაკმარისი დამოუკიდებლობის დონე" ძირს უთხრის მის უნარს, განახორციელოს ზედამხედველობა აღმასრულებელ შტოზე.

საქართველომ უნდა უზრუნველყოს სისხლის სამართლის პოლიტიკისა და პრაქტიკის შემდგომი ლიბერალიზაცია ევროპის საბჭოს სტანდარტების შესაბამისად, გადახედოს ადმინისტრაციული პატიმრობის შესახებ დებულებებს, და პოლიტიკის შემუშავებისას ასახოს სახალხო დამცველის აპარატის რეკომენდაციები.

2013 წლის აპრილში პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელშიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო (HCOJ) რეფორმირება არის ცენტრალური საკითხი. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია დანიშნოს ან დაითხოვოს მოსამართლეები, დაიწყოს დისციპლინური დევნა მოსამართლეების წინააღმდეგ. ცვლილებების მიზანია, რომ კანონი დაუახლოვდეს ევროპულ სტანდარტებს და, ვენეციის კომისიის დასკვნის თანახმად, წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. პრეზიდენტმა ვეტო დაადო კანონს იმ არგუმენტით, რომ არ იქნა გაზიარებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამჟამინდელი წევრების უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ; პარლამენტმა დაძლია პრეზიდენტის ვეტო 2013 წლის მაისში.

მთავრობისა და მოქალაქეების თანასწორობა კანონის წინაშე

კონსტიტუციით გარანტირებულია ყველა მოქალაქის თანასწორობა კანონის წინაშე.

მიუხედავად სამართლის სფეროში გარკვეული პროგრესისა, მთელი რიგი პრობლემები კვლავ არსებობს. მთავარი პრობლემა ეხება პროკურორის დიდ უფლებამოსილებას და სასამართლოს დამოუკიდებლობის გაზრდის აუცილებლობას. ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლებიც ძალაში შევიდა 2011 წლის ნოემბერში, მიზნად ისახავს სასამართლოს კონტროლის გაძლიერებას საპროცესო შეთანხმების მიღწევის პროცესზე, რაც მოსამართლისაგან მკაფიოდ მოითხოვს შეაფასოს ბრალდების მხარესა და ბრალდებულს შორის შეთანხმების არა მხოლოდ კანონიერება, არამედ სამართლიანობაც.

კორუფციის თავიდან აცილების ეფექტური პოლიტიკა

ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველომ აირჩია "ნულოვანი ტოლერანტობის" მიდგომა საჯარო სექტორში მექრთამეობის მიმართ და კორუფციის შეფასების სხვადასხვა ინდიკატორების საფუძველზე, აღიარებულ იქნა ქვეყნის პროგრესი ამ მიმართულებით; ამან განაპირობა მისი მოხვედრა მოწინავე ევროპულ ქვეყნებს შორის.

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ სავარაუდო კორუფციის ინდექსის (CPI) მიხედვით, 2012 წელს საქართველოს 51-ე ადგილი მიენიჭა 176 ქვეყანას შორის. სავარაუდო კორუფციის დონე საქართველოს მეზობელ ქვეყნებში ბევრად უფრო მაღალია-სომხეთი 105-ე, რუსეთი 133-ე და აზერბაიჯანი 139-ე ადგილებზე არიან.

საქართველომ კარგი შედეგები აჩვენა ანტიკორუფციული რეფორმებთან დაკავშირებულ რეიტინგებში. ქვეყანაში არსებობს ანტიკორუფციული საბჭო, რომელიც შექმნილია „ინტერესთა კონფლიქტისა და საჯარო სამსახურში კორუფციის შესახებ“ კანონის საფუძველზე. საბჭოს ფუნქციები მოიცავს ანტიკორუფციული ღონისძიებების კოორდინაციას, ანტიკორუფციული სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის განხორციელებას და შესაბამისი კანონმდებლობის ინიცირებას.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ბევრი პრობლემა კვლავ გადასაწყვეტია; მათ შორის, ინსტიტუციური რეფორმის დაუმთავრებელი პროცესი. რეფორმის დიდი ნაწილი შეეხო აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში მისი მდგრადობისათვის საჭიროა კონტროლისა და ბალანსის მნიშვნელოვნად გაძლიერება; საჭიროა სასამართლოს რეფორმა, მედია უნდა გაძლიერდეს და გაიზარდოს საზოგადოების მონაწილეობა და ზედამხედველობა.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური გარანტიები

გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოს წევრმა და ევროკავშირთან აღმოსავლეთ პარტნიორობის აქტიური მონაწილემ, საქართველომ, შეიმუშავა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვის ძლიერი იურიდიული ბაზა, მოახდინა რა გაეროს ადამიანის უფლებათა კონვენციებისა

და „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ფუნდამენტური კონვენციების რატიფიცირება. თუმცა, ამ სფეროში ვალდებულებების განხორციელება არათანმიმდევრული იყო.

მთავრობის მხრიდან შეკრების თავისუფლების საკითხის აღიარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მას შემდეგ, როდესაც ხელისუფლებამ დაარბია რამდენიმე საპროტესტო აქცია. კონსტიტუცია იცავს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, მაგრამ ამის განხორციელება იყო შერჩევითი. ბოლო ერთი წლის განმავლობაში იყო ფაქტები, როდესაც პროფკავშირების და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები გახდნენ შერჩევითი, გამიზნული დევნის ობიექტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

ქვეყნის შრომის კოდექსი უფლებას აძლევს ყველა მუშაკს, შექმნან და გაწევრიანდნენ დამოუკიდებელ პროფკავშირებში; ასევე, იცავს მათი გაფიცვის და კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების უფლებას.

კონსტიტუცია იცავს რელიგიურ თავისუფლებას; პრაქტიკაში, მთავრობა, ძირითადად, პატივს სცემს ამ უფლებას.

არ არსებობს ინფორმაცია მთავრობის მიერ ინტერნეტით სარგებლობის შეზღუდვაზე ან იმის შესახებ, რომ ხელისუფლება აკონტროლებს ელ.ფოსტასა და ინტერნეტ-ჩატს.

ქალების, ეთნიკური და სხვა უმცირესობების პოლიტიკური ჩართულობა

2010 წლის „გენდერული თანასწორობის კანონი“ ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას, ქალთა უსაფრთხოების გაზრდას, თანასწორობის უზრუნველყოფას შრომის ბაზრზე, და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის განმტკიცებას.

„გენდერული სამოქმედო გეგმა“ თანამიმდევრულად ხორციელდება. ოჯახში ძალადობის პრობლემები კვლავ არსებობს. ქალები მცირე რაოდენობით არიან წარმოდგენილი საჯარო სამსახურში. 150 ადგილიან პარლამენტში ცხრა ქალია. ეუთოს ანგარიშის თანახმად, 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ქალების მცირე რაოდენობა იყო წარდგენილი ლიდერის პოზიციებზე როგორც საარჩევნო ადმინისტრაციაში, ისე ქალაქის საკრებულოს კანდიდატებსა და წევრებს შორის. ეუთოს მისიამ დაადგინა, რომ ბევრ პარტიას წამოყენებული ჰყავდა კანდიდატები ეროვნული უმცირესობებიდან, საარჩევნო მასალები ხელმისაწვდომი იყო ეროვნული უმცირესობების ენებზე, მაგრამ არა ყველგან, სადაც ეროვნული უმცირესობები სახლობენ.

ეთნიკური უმცირესობები სუსტად არიან წარმოდგენილნი სახელმწიფო მმართველობაში. საქართველოს ხელი არ მოუწერია „რეგიონული ან უმცირესობის ენების ევროპული ქარტიისათვის“. საქართველოს პარლამენტში ეთნიკური სომხების და აზერბაიჯანელების შეზღუდული წარმომადგენლობაა.

დევნის, დაშინებისა და წამებისაგან თავისუფლება

კონსტიტუცია და კანონი კრძალავს წამებას და სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასა და დასჯას. თუმცა, არსებობს ინფორმაცია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები განაგრძობენ მათ გამოყენებას პასუხისგების გარეშე. ადამიანის უფლებათა დამცველების

თანხმად, ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად პატიმართა და დაკავებულთა დამცირება და სტანდარტებთან შეუსაბამო ციხის პირობები რჩება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CPT) და სახალხო დამცველის უწყებამ (PDO) გააკრიტიკეს გაჭიანურებული გამოძიება და არასაკმარისი დისციპლინური სასჯელები; მათ ხელისუფლებას რეკომენდაცია მისცეს, რომ ძლიერი, მკაფიო პოზიცია დაიკავოს "სასტიკი მოპყრობის მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის" საკითხზე.

2011 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სახალხო დამცველის უწყებამ აღწერეს პოლიციის მხრიდან დაკავებულებისადმი ცუდად მოპყრობის ფაქტები. ასევე, ცნობილი გახდა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, სადაც წინასწარ დაკავებაში მყოფი პირები და მსჯავრდებულები იმყოფებიან, მათ მიმართ არასათანდო მოპყრობის შესახებ. დაზარალებულებმა, ხშირ შემთხვევებში, ვერ შესძლეს ძალადობის შესახებ ჩივილი, რადგან ანგარიშსწორების ეშინოდათ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციის თანხმად, 2011 წელს ხელისუფლებამ დაიწყო გამოძიება წამების ოცი, არაადამიანური მოპყრობის ცხრა და ძალის გამოყენებით მტკიცებულების მოპოვების ერთ ფაქტზე.

დანართი 2 - გარდამავალი ეტაპის სირთულეების შეფასება

ქვემოთ მოცემული ცხრილი და ტექსტი გვიჩვენებს გარდამავალი პერიოდის პრობლემების შეფასებას სექტორების მიხედვით; ეს ეფუძნება 2012 წლის ანგარიშს “გარდამავალი პერიოდის“ შესახებ; თითოეული სექტორისათვის მოცემულია ორი განსხვავებული ქულა, რომლითაც ფასდება საბაზრო სტრუქტურები და ბაზარის მხარდამჭერი ინსტიტუციები.

საქართველო: დარგობრივი გარდამავალი ინდიკატორები

სექტორი	საბაზრო სტრუქტურა	ბაზრის მხარდამჭერი ინსტიტუტები
კორპორატიული სექტორები		
აგრობიზნესი	საშუალო	საშუალო
ზოგადი ინდუსტრია	საშუალო	საშუალო
უძრავი ქონება	დიდი	პატარა
ტელეკომუნიკაციები	საშუალო	პატარა
ენერჯეტიკა		
ბუნებრივი რესურსები	დიდი	დიდი
მდგრადი ენერჯეტიკა	საშუალო	დიდი
ელექტრული დენი	პატარა	საშუალო
ინფრასტრუქტურა		
წყალი და ჩამდინარე წყლები	დიდი	დიდი
საქალაქო ტრანსპორტი	დიდი	დიდი
გზები	დიდი	საშუალო
რკინიგზა	საშუალო	საშუალო
ფინანსური სექტორები		
საბანკო	საშუალო	საშუალო
დაზღვევა და ფინანსური მომსახურება	დიდი	საშუალო
მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება	საშუალო	საშუალო
კერძო/პირდაპირი ინვესტიციები	დიდი	დიდი
კაპიტალის ბაზარი	დიდი	დიდი

წყარო: Transition Report 2012

აგრობიზნესი

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

საქართველომ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა რეიტინგი 2005 წლიდან, ფასების ლიბერალიზაციის და მიწის რეფორმის შედეგად. მთავრობის ინტერვენცია ამ სფეროში მინიმალურია და ფასები ლიბერალიზებულია, დაბალი ტარიფებით ნედლეულზე და სასოფლო-სამეურნეო წარმოების საშუალებებზე. თუმცა, პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნაყოფიერების დონე არსებულ პოტენციალზე გაცილებით დაბალია. მიწის ბოლო

რეფორმამ შექმნა კერძო მიწის ბაზრის ფუნქციონირებისათვის საჭირო ინსტიტუციონალური ჩარჩო; რის შედეგადაც, სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდი ნაწილი უკვე პრივატიზებულია (შესაძლებელია უცხოელის საკუთრებაში მიწის არსებობა). სექტორმა მაინც ვერ შეძლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საგრძნობი რაოდენობით მოზიდვა. აგრო - გადამამუშავებელ სფეროში პრივატიზაციის შედეგად გარკვეული პროგრესია, მაგრამ რესტრუქტურისაცა ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა და ახალი მფლობელებს ჯერ კიდევ აქვთ ეფექტიანობის გაუმჯობესების პრობლემა;მათ სჭირდებათ ჰიგიენური და ხარისხის სტანდარტებს სრულყოფა, რათა გახდნენ საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანები. ამ სექტორში, ასევე საჭიროა, ზოგიერთი ძირითადი და მოწინავე მოთამაშის კონსოლიდაცია, რათა შეიქმნას საერთაშორისო მასშტაბით პოპულარიზაციისა და გაყიდვების ძალისხმევის შესაბამისი წარმოება. რუსეთის მხრიდან დაწესებულმა სავაჭრო ემბარგომ შეზღუდა საქართველოს სოფლის მეურნეობის საექსპორტო პოტენციალი, ღვინის ინდუსტრიის ჩათვლით. საბანკო სისტემის მიერ ამ სექტორის დაკრედიტება შეზღუდულია- ეს ძირითადად მოკლევადიანი სავაჭრო დაფინანსებაა; ამიტომ, სოფლის მეურნეობის სესხების გაცემა უკიდურესად დაბალია „ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის“ სხვა ქვეყნებთან შედარებითაც კი.

წარმოება და მომსახურება

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

სექტორი ლიბერალიზებულია და ღიაა საერთაშორისო ვაჭრობისათვის, რაც გამყარებულია საქართველოს ვმო-ში წევრობით. ბოლო წლების განმავლობაში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციისა და ბიზნესის დასაწყებად საჭირო ადმინისტრაციული პროცედურების გასაუმჯობესებლად. შესაბამისად, სექტორმა მოიზიდა დიდი ოდენობით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები; მაგალითად, ცემენტის (გერმანული „ჰაიდელბერგ ცემენტი“) და ფოლადის ქარხანები (ინდოელი / დიდი ბრიტანელი ინვესტორები), 2008 წლის კრიზისამდე. ყოველივე ამის შედეგად გაუმჯობესდა წარმადობა და გარკვეულად გაუმჯობესდა ბიზნესის სტანდარტები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება სექტორში, რომელიც მკვეთრად დაეცა პოსტკრიზისულ პერიოდში, სწრაფი ნაბიჯებით უმჯობესდება ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების პარალელურად. კორპორაციული მართვა და ბიზნესის წარმოებაც ასევე გაუმჯობესდა. საწარმოთა ანგარიშები შემოსავლების შესახებ უფრო გამჭვირვალე გახდა, რაც ანტიკორუფციული ღონისძიებებისა და საგადასახადო სისტემის გამარტივების ერთობლივი შედეგია. ამ რეფორმებმა ასევე შეამცირა ბიზნესის წარმართვის ხარჯები, განსაკუთრებით, მცირე კომპანიებისათვის. ევროკომისიის ინფორმაციით, 2010 წლიდან დამოუკიდებელი აუდიტი აუცილებელი მოთხოვნაა საფონდო ბირჟაზე დაშვებული კომპანიებისათვის და იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ლიცენზირებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. კონკურენციის პოლიტიკა რეფორმა დაიწყო 2010 წლის დეკემბერში, კონკურენციის პოლიტიკის ახალი ყოვლისმომცველი სტრატეგიის მიღებით. ამ რეფორმის ნაწილი იყო, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ახალი სააგენტოს შეიქმნა 2010 წლის თებერვალში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მისი ეფექტურობა გაურკვეველია, კონკურენციის სააგენტოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოყოფა წარმოადგენს მეტი დამოუკიდებლობისაკენ გადადგმულ ნაბიჯს.

უძრავი ქონება

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: მცირე

უძრავი ქონების ბაზარი არის განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე და არსებობს თანამედროვე კომერციული ფართობის შეთავაზების ნაკლებობა კომერციული ფართობის ბაზრის ყველა ქვე-სეგმენტში. ყველაზე დიდი ნაკლებობა არსებობს სასაწყობო და ლოგისტიკური ფართობის ბაზარზე, სადაც თითქმის არ არსებობს დასავლური ტიპის A კლასის ობიექტები. იპოთეკური ბაზარი ჯერ კიდევ განუვითარებელია. საქართველოში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ბიზნესგარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ბოლო დროს; უძრავი ქონების რეგისტრაციის პროცესის ახლა განიხილება, როგორც სამაგალითო (1 ადგილი 185 ქვეყანას შორის მსოფლიო ბანკის Doing Business 2012 წლის ანგარიშში). არსებითად გაუმჯობესდა სასამართლო პროცედურების ეფექტურობა და სამართლიანობა, მაგრამ დასახვეწია სასამართლო სისტემის უნარი დაიცვას კერძო საკუთრება და კონტრაქტები. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი უძრავი ქონების მდგრადობის ხელშემწყობი (ენერჯო ეფექტურობა, გარემოზე ზემოქმედება) თანამედროვე კანონმდებლობის შესამუშავებლად.

ტელეკომუნიკაციები

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: მცირე

სატელეკომუნიკაციო სექტორი რეგულირდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ (GNCC), რომელიც მოქმედებს დამოუკიდებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფი რეგულაციების საფუძველზე. საკანონმდებლო ჩარჩო შედარებით კარგადაა დამუშავებული, ძირითადად შეესაბამება ევროკავშირის მოთხოვნებს (ევროკავშირის 2003 მარეგულირებელ ჩარჩოს); მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები (მაგალითად, იმის უზრუნველყოფა, რომ მარეგულირებელს ჰქონდეს ბაზარზე დაშვების მოთხოვნების აღსრულებისათვის ან უნივერსალური მომსახურების სფეროში რეგულირების საკმარისი უფლებამოსილება). ფიქსირებული და მობილური ტელეფონის ნომრის პორტირების შესაძლებლობა დაინერგა 2011 წელს. ციფრულზე გადასვლის პროცესი უკვე დაიწყო და, სავარაუდოდ, დასრულდება 2015 წელს. ფიქსირებული ხაზების სეგმენტში მოქმედ „სილქნეტს“ (ყოფილი „საქართველოს გაერთიანებული ტელეკომი“, რომელიც ხელისუფლებამ ყაზახურ-ქართულ კონსორციუმს მიჰყიდა 2006 წელს) კიდევ აქვს ბაზრის დიდი წილი. მობილურ სეგმენტში არსებობს კონკურენცია სამ ოპერატორს შორის. არ არსებობენ ვირტუალური მობილური ქსელის ოპერატორები (MVNOs). სახელმწიფოს აღარ აქვს შემორჩენილი საკუთრების რაიმე წილი რომელიმე ფიქსირებული ან მობილური ქსელის ოპერატორ კომპანიაში. მობილური ქსელის ფარავს პრაქტიკულად მთელ საქართველოს და მობილური კავშირგაბმულობის სისტემები სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი ხდება, რადგან ფიქსირებული ქსელები ბევრგან მოძველებულია, განსაკუთრებით კი მთიან ადგილებში. ინტერნეტის გავრცელება ფერხდება არასაკმარისი ინფრასტრუქტურისა და მათ სრულყოფაში ინვესტიციების ნაკლებობის გამო. ფიქსირებული საკაბელო ინტერნეტის გავრცელების დონე ჯერ კიდევ ძალიან დაბალია.

ბუნებრივი რესურსები

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

საქართველო ნავთობისა და გაზის მეტად მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზაა, თუმცა რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტმა ექვქვემ დააყენა ენერგომატარებლების სტაბილურობა და უსაფრთხოება. ქვეყნის სამთო სექტორს გააჩნია განვითარების პოტენციალი და ცოტა ხნის წინ გაიკა მოპოვების ლიცენზიები. არსებობს რამოდენიმე კერძო ინვესტორი (Frontera, კანარგო, Jindal Petroleum და სხვები) ნავთობისა და გაზის მოპოვების სექტორში, რომლებიც PSA ხელშეკრულებების საფუძველზე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ (GOGC)ერთად მოქმედებენ, თუმცა მოპოვების მასშტაბი უმნიშვნელოა. ნავთობისა და გაზის კორპორაციის შეიქმნა 2006 წელს, ნავთობისა და გაზის ბიზნესში არსებული ყველა სახელმწიფო აქტივის გაერთიანების შედეგად, რომლის მიზანიც ენერგეტიკის ეროვნული „ჩემპიონის“ შექმნა იყო. ეს არის მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ნავთობისა და გაზის საძიებო და მომპოვებელ სამუშაოებზე პასუხისმგებელი კომპანია, რომელიც დომინირებს გაზის იმპორტ / ექსპორტის და ტრანსპორტირების და დისტრიბუციის შიდა ბაზარზე. საქართველოში პრივატიზებულია გაზის სადისტრიბუციო კომპანიები, ისევე როგორც ლიცენზირებული მსხვილი იმპორტიორები, რომლებიც მოიხმარენ გაზს სამრეწველო მიზნებისათვის. საქართველოს მთავარი გაზგამანაწილებელი კომპანიები დღეს პირდაპირ თუ ირიბად კონტროლდება ყაზახეთის და აზერბაიჯანის ეროვნული კომპანიების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ გაზის სექტორში ნომინალურად მიმდინარეობს ლიბერალიზაცია, კონკურენცია ამ სფეროში კვლავ ლიმიტირებულია, რადგან ნავთობისა და გაზის ეროვნული კორპორაცია ინარჩუნებს კონტროლს გაზის იმპორტზე. ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო ქვე-სექტორი ღიაა კონკურენციისათვის და ზოგიერთი რეგიონალური მოთამაშე ბაზარზე მონაწილეობს. საქართველოს ზრდის თავის როლს, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზა, არსებული პროექტებისა და ახალი ძალისხმევით, რასაც დამატებითი შემოსავალი შეაქვს სახელმწიფო ბიუჯეტში. მიუხედავად იმისა, რომ BTC / SC მილსადენებისათვის დაწესებული სატრანზიტო გადასახადები გამოქვეყნებულია- რაც პროექტების დაფინანსებაში EBRD-ის ჩართვას უკავშირდება, საჭიროა შემდგომი ნაბიჯები შემოსავლების ნაკადის სახელმწიფო ბიუჯეტში სრული ინტეგრაციისა და GOGC მმართველობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებისათვის. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიას (სემეკი) აკლია სრული დამოუკიდებლობა და გადახდის დისციპლინა კვლავ დაბალია.

მდგრადი ენერგეტიკა

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

ელექტროენერჯის და გაზის საფასური ჯერ კიდევ არ შეიცავს გარემოს დაცვის ხარჯებს. 2006 წლიდან დანაკარგები ენერგეტიკაში საგრძნობლად შემცირდა და ამოღების მაჩვენებელი გაიზარდა. სამშენებლო კოდექსში მოცემული ენერჯის სტანდარტების დაცვა პრაქტიკაში იშვიათად ხდება. ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილი იწარმოება დიდ ჰესებზე, რაც საქართველოს ანიჭებს მაღალ ადგილს განახლებადი ენერჯის მიხედვით და დაბალ ადგილს გამონახობლუქის მიხედვით. მასტიმულირებელი ტარიფები განახლებადი ენერჯის ახალი პროექტებისათვის არ არის ჰარმონიზებული და სუსტია. განახლებადი ენერჯის მცირე მასშტაბის პროექტებისათვის არ არსებობს მასტიმულირებელ ტარიფი, არამედ ხდება მარტივი

დერეგულაცია და ხშირ შემთხვევაში, ფასი დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის დეველოპერის მოლაპარაკებების წარმოების უნარზე. არსებობს შემფოთება, რომ საქართველოს კანონში ბოლო დროს შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს საშუალებას აძლევს, ახალი ჰესების მიერ წარმოებული ელ.ენერგია შეიძინოს გრძელვადიანი უცვლელი ტარიფით ზამთრის სამი თვის განმავლობაში, ხელს შეუშლის ინვესტიციებს. ხშირად ცვალებადი ნორმატიული ბაზა ინვესტორებს ვერ სთავაზობს პროგნოზირებად მოგებას. საქართველომ მოახდინა UNFCCC-ის და კიოტოს ოქმის რატიფიცირება, სადაც მას დანართ 1-ს არმიერთებული მხარის სტატუსი აქვს. არ დანერგილა „სათბურის გაზების“ ემისიის მისაღები დონე ან მასთან დაკავშირებული პოლიტიკა. ქვეყანაში არსებობს „სუფთა განვითარების მექანიზმის“ (CDM) 1 პროექტი. დარჩენილი პრობლემები მოიცავს ენერგეტიკის სფეროში შემდგომ რეფორმებს (ტარიფები, ამოღება), ელ.ენერგიის ეკოლოგიურად ეფექტური მოხმარებისათვის სამართლებრივი და ინსტიტუციური ბაზის გაძლიერებას, განახლებადი ენერგიის პროექტებისათვის კანონდებლობის გაუმჯობესებას და ენერგოეფექტურობის საკითხებზე ცოდნის ათვისებას.

ელ.ენერგია

საბაზრო სტრუქტურა: მცირე

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

საქართველოს ელექტროენერგიის სექტორი ლიბერალიზებული და ნაწილობრივ პრივატიზებულია, თუმცა სუსტად რეგულირდება. სადისტრიბუციო ქსელი სრულად პრივატიზებულია უცხოელ სტრატეგიულ ინვესტორებზე. ელ.ენერგიის გამომუშავება არის კერძო მფლობელობაში, გარდა უმსხვილესი ენგურჰესისა, რომელიც ამარაგებს ქვეყნის ელექტროენერგიის საჭიროებების დაახლოებით 40%-ს. 2006 წლის სექტემბერში შეიქმნა ფართოდ ლიბერალიზებული საბაზრო სტრუქტურა ელექტროენერგიის სისტემის კომერციული ოპერატორის უფლებამოსილების ქვეშ. თუმცა, რეგულირებული ფასები და მნიშვნელოვანი სუბსიდირება ჯერ კიდევ არსებობს. ბუნდოვანია ზღვარი სამინისტროსა და მარეგულირებელი ორგანოების უფლებამოსილებებს შორის და ხშირია პოლიტიკური ჩრევა რეგულირების პროცესებში. სუსტია ტარიფების განსაზღვრის პროცესის გამჭვირვალობა. 2006 წლიდან არსებითად შემცირდა ქსელის დანაკარგები, მაგრამ ეს მაჩვენებელი მაინც შედარებით მაღალი დონეზე (12-14 პროცენტი) რჩება. 2009- 2010 წლებში ამოღების მაჩვენებელი თითქმის 100 პროცენტამდე გაიზარდა. ქვეყანას აქვს დიდი პოტენციური განახლებადი და განსაკუთრებით ჰიდრო რესურსების. „მწვანე ენერჯის“ გამომუშავებისათვის გაღებული ხარჯები დიდწილად ანაზღაურდება თურქეთში ექსპორტით, რაზეც საქართველო აქტიურად მუშაობს. ექსპორტის მოცულობა მომგებიანი იქნება რეგიონულ დონეზე, რადგან ხელს შეუწყობს ვაჭრობას და ქვეყნებს შორის ურთიერთობას.

წყალი და ჩამდინარე წყლები

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

წყლის / კანალიზაციის სექტორში დეცენტრალიზაცია ცოტა ხნის წინ შეიძვალა, როცა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოახდინა წყლის / კანალიზაციის სისტემების მომსახურების რეორგანიზაცია რეგიონალურ სტრუქტურებად. წყლის ბაზარზე მომუშავე კომპანიების უმრავლესობა გაერთიანდა ერთ ეროვნულ კომპანიაში, რომელსაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია (UWSCG) ეწოდა, რომელიც ემსახურება

დაახლოვებით 1,5 მილიონ ადამიანს. გარდა ამისა, არსებობს პრივატიზებული თბილისი / რუსთავი / გარდაბნის წყლის კომპანია (ემსახურება 2 მილიონ ადამიანს) და აჭარის წყლით მომარაგების კომპანიები (400,000 ადამიანზე). UWSCG-ის მომსახურების არეალში, ყოფილი ადგილობრივი წყლის კომპანიები გარდაიქმნა მომსახურების ცენტრებად, რომელთა პასუხისმგებლობაა დაანგარიშება, გადასახადის შეგროვება და ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემის გადაუდებელი შეკეთებები. ამ კომპანიების უმეტესობას აქვს ძალიან ცუდი ფინანსური მდგომარეობა, ტარიფები ვერ ანაზღაურებს დანახარჯებს, სამუშაო დაბალ დონეზე სრულდება და ქსელის დანაკარგები მნიშვნელოვანია. აღრიცხვის დონე დაბალია, მაგრამ 2011 წელს დაიწყო გამრიცხველიანება ქვეყნის მასშტაბით, რაც ამჟამად მიმდინარეობს. მარეგულირებელი პრეროგატივა (მაგალითად ტარიფების დადგენა) მუნიციპალიტეტებიდან გადაეცა დამოუკიდებელ მარეგულირებელს- საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას; არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, მაგრამ მარეგულირებლის შესაძლებლობა სუსტია და შესაბამისად, წყალმომარაგებელი კომპანიების უმრავლესობა ისევ ზარალიანია. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გაცემული გრანტების დახმარებით მოხერხდა მომსახურების დონის / ხარისხის გაუმჯობესება ზოგიერთ რაიონში.

საქალაქო ტრანსპორტი

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

კერძო სექტორი აქტიურია საქალაქო ტრანსპორტის სფეროში, ძირითადად დერეგულირებული კონკურენციის საფუძველზე. თუმცა, ცუდი რეგულაციები დაბალი ხარისხის მომსახურებას განაპირობებს. მუნიციპალური ტრანსპორტი საქართველოში ძირითადად წარმოდგენილია მუნიციპალური ავტობუსის და მეტროს კომპანიებით. ტრამვაის და ტროლეიბუსების ხაზების არსებობა 2006 წელს შეწყდა. თბილისში არსებობს საწყის სტადიაში მყოფი ელექტრონული ბილეთების სისტემა. 2009 წლის ივლისში თბილისის ავტობუსისა და მეტროს კომპანიები გაერთიანდა ერთ- "თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში". კომპანია ამჟამად ზარალიანია.

გზები

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი შეიქმნა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ეგიდით. სამშენებლო და ტექნიკური სამუშაოები გარე კონტრაქტორის მიერ სრულდება და გარემო კონკურენტუნარიანია. კონცესიის უზრუნველმყოფი კანონმდებლობა 2006 წელს იქნა მიღებული, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ არსებობს სამთავრობო -კერძო პარტნიორობით შექმნილი პროექტი გზების სფეროში. გზის მოხმარების გადასახადი საკმარისია მომსახურებისა და რეაბილიტაციის ხარჯების ასანაზღაურებლად.

რკინიგზა

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

2005 წლიდან, ნაწილობრივ მნიშვნელოვანი საერთაშორისო თანამშრომლობის წყალობით,

საქართველოს მთავრობამ დააჩქარა სარკინიგზო რეფორმის პროცესი, განსაკუთრებით კი სექტორის პრივატიზაციისათვის მომზადების სამუშაოები. თუმცა, რკინიგზა კვლავ მუშაობს, როგორც სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია, რომელიც აკონტროლებს სარკინიგზო ბიზნესის (ინფრასტრუქტურა, სამგზავრო, სატვირთო და სხვ.) ძირითად ნაწილს. მესამე მხარის დაშვება ნებადართულია და არსებობს რამდენიმე კერძო ოპერატორი, რომლებიც აწარმოებენ რკინიგზის ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ბიზნესს.

საბანკო საქმიანობა

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

საქართველოს საბანკო სექტორმა გამართული მდგომარეობა შეინარჩუნა მძიმე კრიზისის დროს და დაუბრუნდა მომგებიან ფაზას. თუმცა, ფინანსური შეღწევის ინდიკატორები დაბალია. ფინანსური შეღწევის მდგრად გაღრმავებას სჭირდება სესხის დაფარვის პეროდის გაზრდა და რეგიონალური და დარგობრივი საჭიროებების მომსახურება. ორიენტირებული პროდუქტების, სადისტრიბუციო არხებისა და საკრედიტო შეფასების უნარის გარდა, ამ მიზნების მიღწევას დასჭირდება ვალუტის კურსსა და გადახდის ვადებს შორის შეუსაბამობის დაძლევის ინსტრუმენტები, მათ შორის გრძელვადიანი დაფინანსებისთვის, განსაკუთრებით კი - ადგილობრივ ვალუტაში; ასევე საჭირო იქნება უცხოურ ვალუტაში ინფლაციის გამო დანაკარგების დაზღვევის ინსტრუმენტები; უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების თანხლები რისკი კვლავ მაღალია და დე-დოლარიზაციის შემდგომი მიღწევებს უნდა ახლდეს ახალი პროდუქტის შექმნა და რისკის შემცირების მიდგომები. საბანკო სისტემაში კონცენტრაცია შედარებით მაღალია, სადაც პირველ ხუთეულში შემავალი ბანკები აქტივების 80 %-ს აკონტროლებენ. შენატანების და სესხების დოლარიზაცია ძალიან მაღალია. ეროვნული ბანკი „ბაზელ II“-ის განხორციელების პროცესშია და აპირებს „ბაზელ III“-ის მიღებას. რისკის შეფასებაზე დაფუძნებულ ზედამხედველობაზე გადასვლის პერიოდში ხელის შეწყობისათვის, 2010 წელს, ეროვნული ბანკში დაიწყო შიდა რეორგანიზაცია, შემუშავდა შეფასების პროცედურები. ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილებამ 2011 წლის ივნისში წარმოადგინა მომხმარებელთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო. ბანკებს მოეთხოვებათ, რომ მსესხებლებს გააცნონ ინოფრმაცია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო საკრედიტო რისკის, ხელშეკრულების შეცვლის უფლებების, და სხვა საკითხების შესახებ. ბანკის მომხმარებელს შეუძლია ეროვნულ ბანკს მიმართოს საჩივრით, რომელსაც ევალება საჩივრების მონაცემების გაანალიზება, რათა გააძლიეროს ზედამხედველობა.

დაზღვევა და სხვა ფინანსური მომსახურება

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

სადაზღვევო ბაზარი კვლავ შედარებით მცირეა (პრემია-მშპ თანაფარდობა 1.74%-ია, რაც თითქმის მთლიანდ-95 პროცენტი-არის არა-სიცოცხლის დაზღვევა). ბაზარზე სთავაზობენ რამდენიმე კომპლექსურ პროდუქტს და ძალიან ცოტა სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტს; სადაზღვევო ინდუსტრიას აკლია ადეკვატური ცოდნა. რისკების უმეტესობა გადაზღვეულია ოფშორებში, რის გამოც ადგილზე ინვესტირებისათვის მცირე შიდა კაპიტალი გროვდება. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი კიდევ უფრო კონცენტრირებული გახდა; 13 აქტიური კომპანიიდან, პირველ სამეულს ეკუთვნის ბაზრის თითქმის 70 პროცენტი. საქართველო-

არასაბანკო ფინანსურ სექტორში რეგულირების მხრივ- საწყის ეტაპზე რჩება და ხელისუფლება არ აპირებს საკანონდებლო ბაზის მნიშვნელოვნად გაზრდას ამ ეტაპზე. მიუხედავად ამისა, სადაზღვევო სექტორმა გამოხატა მზადყოფნა ხელი შეუწყოს კანონმდებლობის და ზედამხედველობის მეთოდების ჰარმონიზაციას, რასაც „გადახდისუნარობის შესახებ I / II“ ევროპულ დირექტივებთან დაახლოვების მცდელობა განაპირობებს. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა IAIS-ის წევრია, კანონმდებლობა და რეგულაციები IAIS სტანდარტებს არ შეესაბამება. საქართველო საერთაშორისო აქტუარული ასოციაციის ასოცირებული წევრია. კერძო საპენსიო ფონდების ოპერაციების მასშტაბი ძალიან შეზღუდულია. მოქმედებს პატარა „მე -3 საყრდენი“ , მაგრამ მომავალში გასატანი თანხების დაბეგვრის წესები დადგენილი არ არის, რაც სავარაუდო მონაწილეებში დაურწმუნებლობას წარმოშობს. „მე -2 საყრდენის“ კანონმდებლობა განხილვის სტადიაშია, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპენსიო რეფორმას უახლოეს მომავალში პოლიტიკური მხარდაჭერა ექნება . სალიზინგო ოპერაციები თანდათან განვითარდა, მაგრამ ძალიან დაბალი საბაზო დონიდან. სალიზინგო სექტორის მარეგულირებელი ჩარჩო რჩება განუვითარებელი. არანაირი შეზღუდვა არ არსებობს უცხოელების არასაბანკო საფინანსო სექტორში შესვლაზე.

მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები

საბაზრო სტრუქტურა: საშუალო

საბაზრო ინსტიტუციები: საშუალო

მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი წარმოადგენს ეკონომიკის დამატებითი ღირებულების პატარა, მაგრამ მზარდ წილს. 2011 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორზე საქართველოში მოდიოდა დამატებითი ღირებულების 21,8% და საერთო ბრუნვის 19,9 %, ხოლო 2011 წელს, წილი შეადგენდა ბრუნვის 14.4%-ს-„საქსტატის“ მონაცემების თანახმად. საბანკო დაკრედიტება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში სწრაფად გაიზარდა, სადაც „პროკრედიტ ბანკის“ მონაწილეობამ დიდი წვლილი შეიტანა კონკურენტული სიტუაციის შექმნაში; ამჟამად რამდენიმე ბანკი აწვითარებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას. მიუხედავად ამისა, მხოლოდ რამდენიმე ფინანსურ შუამავალს აქვს შემუშავებული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მდგრადი, მნიშვნელოვანი პორტფელი, რამაც აიძულა ბიზნესის ეს სექტორი ძირითადად მათი მფლობელების ქონებას დაყრდნობოდა და დაეტოვებინა მოგება. შიდა დაკრედიტება/ მშპ შეფარდება 32.8 %-ია 2011 წელს. შიდა დაკრედიტების მხოლოდ 35.8 % მოდის მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესზე, რადგან დიდი ბანკები დომინირებენ, რომლებიც აქცენტს დიდი საწარმოების დაფინანსებაზე აკეთებენ. დაფინანსების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო შეზღუდული გახდა კიზისის დროს და ნახევარზე მეტი ფირმები ამას მნიშვნელოვან დაბრკოლებად აღიქვამდნენ 2009 წელს, მაშინ როდესაც 2008 წელს ასეთი კომპანიები დაახლოვებით ერთი მესამედი იყო; კარგად განვითარებული ქსელისა და ინსტიტუციონალური სტრუქტურების არსებობის მიუხედავად, მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს არ გააჩნიათ მიკრო სესხებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებელი ფინანსური კაპიტალი. საქართველოში ამჟამად მოქმედებს სამოცდაათი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. მიკროსაფინანსო საინფორმაციო ბირჟის (MIX) თანახმად, მიკროსაფინანსო დაკრედიტებამ მშპ-ს 4% შეადგინა 2010 წლის ბოლოსთვის. მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის დასახმარებლად შემუშავდა რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა; თუმცა, ძირითადად, საერთაშორისო მხარდაჭერით. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ბაზა ხელს უწყობს მცირე და საშუალო ბიზნესისათვის სესხის გაცემას; უძრავი ქონების კადასტრი სრულად ფუნქციონირებს; უზრუნველყოფის ცენტრალური რეგისტრი და კრედიტის საინფორმაციო სისტემები არსებობს და მოქმედებს, შესაძლებელია კრედიტორების უფლების დაცვის

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა; არსებობს საკრედიტო საინფორმაციო კერძო ბიურო „კრედიტინფო საქართველო“ - ელექტრონული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ინტერნეტში. ფიზიკურ პირებს ხელი მიუწვდებათ საკუთარ საკრედიტო ისტორიაზე, შეუძლიათ შეიტყონ მასში შესულ ნებისმიერ ცვლილებაზე - საფასურის გადახდის შემდეგ. მოძრავ ქონებაზე ვალდებულებების რეგისტრაციის სისტემა შეიქმნა 2009 წელს და ავტორიზებულ მომხმარებლებს შეუძლია ასეთი ვალდებულება ელექტრონული ფორმით დაარეგისტრიროს. ეს ელექტრონული რეესტრი ცენტრალიზებულია და მოქმედებს ქვეყნის მასშტაბით. ცოტა ხნის წინ, საქართველოში განახლდა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც ახლა საშუალებას იძლევა გაფართოვდეს უზრუნველყოფაში ჩადებული აქტივების სპექტრი.

კერძო კაპიტალი

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

რთული ბიზნეს გარემო და შეზღუდული საინვესტიციო შესაძლებლობები ამ სექტორის განვითარების ხელისშემშლელია. ადგილობრივი კომერციული კერძო ინვესტირების სექტორი ჯერ კიდევ უნდა განვითარდეს და დღემდე ქვეყანას არ მოუზიდავს საერთაშორისო კერძო საინვესტიციო ფონდების სახსრები. იდენტიფიცირებულია ამ ქვეყნაზე ფოკუსირებული მხოლოდ ერთი ფონდის მენეჯერი და ხუთზე ნაკლები ისეთი რეგიონალური ფონდების მენეჯერები, რომელთა ინტერესში შედის საქართველო; თუმცა რეგიონალური ფონდის არც ერთ მენეჯერს ჯერ არ მოუხდენია ინვესტირება საქართველოში. აქტიური კაპიტალის და სავარაუდოდ ხელმისაწვდომი კაპიტალის წილი შეადგენს მხოლოდ მშპ-ს 0.17 და 0.12 %-ს შესაბამისად 2011 წლისათვის. ჩადებული კაპიტალის ძირითადი წილი კონცენტრირებულია მცირე კაპიტალის სეგმენტში, ძალიან მცირე თანხები ზრდის ფონდებში და ინფრასტრუქტურის საინვესტიციო სტრატეგიაში. სხვა კერძო ინვესტირების სტრატეგიები არ არსებობს. მცირე ადგილობრივი ინვესტორის მონაწილეობა. მეტიც, საქართველო გვიჩვენებს დაბალ შესაბამისობას „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ კორპორაციული მართვის პრინციპებთან და ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზრი ვერ უზრუნველყოფს ეფექტურ შედეგებს.

კაპიტალის ბაზრები

საბაზრო სტრუქტურა: დიდი

საბაზრო ინსტიტუციები: დიდი

საქართველოში IOSCO პრინციპებთან დაბალი შესაბამისობაა და არსებობს მნიშვნელოვანი პრობლემები კანონის განხორციელებაში, როგორც კანონმდებლობის ეფექტურობის, ასევე ხარისხის კუთხით. მიუხედავად ამისა, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემთხვევების ადგილობრივ სასამართლოებში განხილვა ეფექტურია, კერძო სააღსრულებო მექანიზმის გამოყენებით. საქართველოს ფულის ბაზარს აკლია ორივე - ინფრასტრუქტურაც და ლიკვიდურობაც. საპროცენტო განაკვეთის ინდექსი ჯერჯერობით გამოიყენება მხოლოდ სესხებისათვის რეფერალური ფუნქციით. ბანკთაშორის ბირჟის საქმიანობას ზრდის პოტენციალი აქვს - ეროვნული ბანკის მიერ ერთდღიან სესხებსა და დეპოზიტებზე (+ / - 1.5ppს ფარგლებში) პროცენტის დიაპაზონის შემცირების ხარჯზე. ეს ნაბიჯი ბანკთაშორის ბირჟას აქცევს უფრო ეფექტურ ინსტრუმენტად კომერციული ბანკების ლიკვიდურობის მართვაში. არსებობს გარკვეული აქტივობა ბანკთაშორის ბირჟის საქმიანობაში, თუმცა ის შეზღუდულია. 2010 წელს საქართველოს ეროვნული ბანკმა შემოიტანა ძირითადი „repo“ შეთანხმება, რათა

ხელი შეეწყო ბანკთაშორის გარიგებათა დაცვისათვის. მაგრამ ჯერჯერობით არ არსებობს ელექტრონული სავაჭრო პლატფორმა. ბანკები მოკლევადიან ლიკვიდურობას „დეპოზიტების გაცვლის“ მექანიზმით მართავენ, რაც იმაში მდომარეობს რომ მოკლევადიან დეპოზიტებს დოლარში დებენ მეორე ბანკში ლარის დეპოზიტების სანაცვლოდ. „დეპოზიტების გაცვლა“ ზრდის ბანკების საბალანსო ღირებულებას ლიკვიდური აქტივებით და შესაბამისად, სრულყოფს ლიკვიდური აქტივების საერთო წილს. არსებობს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების საბაზრო ინფრასტრუქტურა როგორც პირველადი, ისე ფასიანი ქაღალდების არასაფონდო მეორადი ბაზრისათვის, თუმცა მისი ლიკვიდურობა უმნიშვნელოა. 2009 წლის აგვისტოდან საქართველოს ხელისუფლება გამოსცემს 6 თვიან და 1 წლიან სახაზინო ვალდებულებებს. შემდეგში გამოშვებულ იქნა ორი, ხუთი და ათი წლიანი სახაზინო ვალდებულებებიც. ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯები შემოსავლების რეფერალური მრუდის შესაქმნელად. საქართველოს საფონდო ბირჟას („GSE“) აქვს ელექტრონული ვაჭრობის ინფრასტრუქტურა, რომელიც რვა რეგისტრირებულ საბროკერო ფირმას საშუალებას აძლევს წარმართოს ვაჭრობა ადგილზე და დისტანციურადაც; თუმცა, იმის გამო, რომ ვაჭრობის მოცულობა დაბალია, ვაჭრობა მხოლოდ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს იმართება- 13.00 დან 14.15 საათამდე. 2010 წლის ბოლოს, საფონდო ბირჟაზე 135 კომპანიის აქციებით ვაჭრობა ხდებოდა; ბაზრის ჯამური კაპიტალიზაცია იყო მშპ-ს 6,2% და ბრუნვის მაჩვენებელი უდრიდა 0,0016-ს.

დანართი 3 - იურიდიული გადასვლა

ეს დანართი ასახავს საქართველოს სტატუსს გარდამავალ ეტაპზე მთელ რიგ შერჩეულ იურიდიული სფეროებში, ქვეყნისათვის EBRD-ის ახალი სტრატეგიის შესაბამისად. ეს სფეროებია- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო მხარდაჭერა (დაცული ტრანზაქციები, კორპორატიული მმართველობა, გადახდისუუნარობა), ინფრასტრუქტურა (სახელმწიფო- კერძო პარტნიორობა) და ენერჯო ეფექტურობა. ბანკის გარდამავალი იურიდიული პროგრამის მიერ ჩატარებული შეფასების შედეგად მიღებული მონაცემები გვაჩვენებს, რომ შემდგომი რეფორმები საჭიროა ყველა ამ სფეროში.

უსაფრთხო ტრანზაქციებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის არსებული რეჟიმის მოდერნიზაცია -კონკრეტულად, სასურველია არსებულ ჩანაწერებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის შექმნა. კორპორაციული მართვის პრაქტიკა სუსტია, როგორც კომპანიებში, ისე ბანკებშიც. გადახდისუუნარობის სექტორში, გადახდისუუნარობის შესახებ კანონში 2012 წელს შეტანილი ცვლილებები გარკვეული წინსვლაა. გაკოტრების შესახებ კანონი შეიცავს მექანიზმებს როგორც გადახდისუუნარო მოვალის ლიკვიდაციის, ისე რეორგანიზაციისათვის; თუმცა კვლავაც რჩება სუსტი წერტილები კრედიტორების უფლებებთან დაკავშირებით . ახალი ელექტრონული სისტემების დანერგვა, ყველაფრის მიუხედავად, დაეხმარება გაკოტრების პროცესის უფრო ეფექტურად და კრედიტორებისათვის გამჭვირვალედ წარმართვას. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სექტორში, მიუხედავად მრავალი პოზიტიური მომენტის არსებობისა, კანონი ვერ ქმნის პროექტების განვითარებისათვის საკმარისად მყარ საფუძველს. გარდა ამისა, საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ენერჯოეფექტურობისადმი მიძღვნილი სპეციფიური კანონმდებლობა. დადებითი მომენტია სასამართლო სისტემის გაუმჯობესება, რაც ბოლო წლებში შეინიშნება.

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშემწყობი კანონმდებლობა

დაცული ტრანზაქციები

ბანკის მიზანი -მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს დააფინანსება, მოითხოვს მყარად უზრუნველყოფილი გარიგებების რეჟიმს. მოძრავი ქონების საშუალებით უზრუნველყოფილი გარიგებების თანამედროვე იურიდიული ჩარჩოს შემოტანა მოხდა 2005 წელს სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით. ახალი დებულებებით შეიქმნა მოქნილი, ეფექტური და თანამედროვე სამართლებრივი საშუალებები ვალდებულებების აღების , სრულყოფის და აღსრულებისათვის . მას შემდეგ სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე შესწორება შევიდა, რომლებიც არეგულირებს ვალდებულებების აღებას როგორც უძრავი, ისე მოძრავ ქონების უზრუნველყოფით; უკანასკნელი ცვლილება 2011 წელს მოხდა.

შედეგად მივიღეთ კარგად განვითარებული და თანამედროვე სამართლებრივი ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს დაცულ ვალდებულებებს. თუმცა, რეგისტრირებულ ინფორმაციაზე შეზღუდული ელექტრონული ხელმისაწვდომობა და რეგისტრაციის გარკვეულწილად მოძველებული და ხანგრძლივი პროცედურები (საჭიროა დოკუმენტების წარდგენა რეგისტრატორთან) მაინც იწვევს ტრანზაქციების შეფერხებებს და ზრდის ხარჯებს. ეს

შეიძლება მხარეებისათვის მძიმე ტვირთი იყოს, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რის გამოც სისტემის მოდერნიზაცია მისასაღმებელი იქნება.

კორპორაციული მართვა

ძირითადი დებულებები ასახულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონში, რომელიც მიღებულია 1994 წელს. კანონი არეგულირებს სააქციო საზოგადოებების -ბანკების ჩათვლით -ფორმირების, ორგანიზების და დაშლის პროცედურებს. კანონი განსაზღვრავს კორპორაციული მართვის საფუძვლებს, სადაც აღწერილია კომპანიების მმართველობის ორგანოები და მათი პასუხისმგებლობა. ბანკებთან დაკავშირებულ დამატებით დებულებებს შეიცავს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“. არსებობს ასევე კორპორაციული მართვის კოდექსი კომერციული ბანკებისათვის, რომელიც 2009 წელს გამოსცა ბანკების ასოციაციამ; ბანკებს მოეთხოვებათ მისი დაცვა ე.წ. "შეასრულე ან ახსენი" მექანიზმის თანახმად, თუმცა პრაქტიკაში ასეთ ანგარიშგებას ადგილი არა აქვს.

2007 წელს EBRD-ის მიერ ჩატარებულმა კორპორაციული მართვის შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოში შესაბამისობა კორპორაციული მართვის OECD პრინციპებთან ძალიან დაბალია; რაც გარკვეული რაოდენობის ხარვეზებზე მიუთითებს ყველა განსახილველ სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ ამოქმედა კორპორაციული მართვის მარეგულირებელი ზოგირთი ინსტრუმენტი, მან ხელიდან გაუშვა კომპანიისა და ბანკის მმართველობის ზოგიერთი ძირითადი საკითხის დეტალურად განსაზღვრის შესაძლებლობა. კომერციული ბანკების კორპორაციული მართვის კოდექსის ამოქმედება სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია, იმ პირობით, რომ კოდექსის რეკომენდაციები მხოლოდ ქაღალდზე არ დარჩება.

გაკოტრება

გაკოტრების განმსაზღვრელი ძირითადი კანონმდებლობა არის კანონი „გადახდისუუნარობის ცნობის პროცედურები შესახებ“, რომელიც 2007 წლის 28 მარტს იქნა მიღებული და შესწორებები დაემატა 2012 წლის 29 ივნისს; ის ეხება კორპორაციებს და მეწარმე ფიზიკურ პირებს. პროცესი შეიძლება იყოს ინიცირებული მოვალეთა მიერ, რომლებიც ფულადი სახსრების უკმარობა აქვთ ან იმყოფებიან გარდაუვალი გაკოტრების საფრთხის წინაშე. რამდენიმე ახალი ცვლილება ამ კანონში, რომლებიც დაკავშირებულია გადახდის უუნარობის საქმის მართვის ახალი ელექტრონული სისტემების დანერგვასთან, ძალაში მხოლოდ 2014 წლის 1 იანვრიდან შედის.

გადახდისუუნარობის სექტორის EBRD-ის მიერ 2009 წელს ჩატარებულ შეფასებაში ყურადღება გაამახვილდა გადახდისუუნარობის შესახებ ქართულ კანონებში იმხანად არსებული სუსტი მხარეების შესახებ. 2012 წელს შეტანილი ცვლილებების მიუხედავად, რომლებმაც გარკვეულად გააუმჯობესეს კანონი, გადაუჭრელი საკითხები ჯერ კიდევ არსებობს. მაგალითად, მორატორიუმი მოვალის წინააღმდეგ სამართლებრივ მოქმედებაზე ჩნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დაიწყებს საქმის წარმოებას გადახდისუუნარობის შესახებ, და არა განაცხადის შევსების შემდეგ. სუსტია დებულებები გაკოტრების პროცესში რეორგანიზაციის შესახებ: რეორგანიზაციის გეგმა დამტკიცებული უნდა იყოს ყველა უზრუნველყოფილი კრედიტორის მიერ. თანხმობის გამოთხოვით კრედიტორებს შეუძლიათ შეიძინონ განსხვავებული აზრის მქონე კრედიტორს სარჩელი ან ნება დართონ მას, რომ აღასრულოს მისი უზრუნველყოფა რეორგანიზაციის გეგმის გარეშე, მაგრამ არ არსებობს შესაძლებლობა, რომ

შეთანხმებული კრედიტორების კვალიფიციურმა უმრავლესობამ თავს მოახვიოს რეორგანიზაციის გეგმა განსხვავებული აზრის მქონე კრედიტორების უმცირესობას. ეს ამცირებს მოვალის ბიზნესის რეორგანიზაციის ალბათობას. გარდა ამისა, გადახდისუნარიობის შესახებ კანონის დებულებები თავის არიდების შესახებ, რომელიც ეხება კრედიტორებისათვის მოვალის მიერ ზარალის მიყენებას გაკოტრებამდე, კვლავ შეზღუდული და საკმაოდ ბუნდოვანია.

კანონმდებლობა საჯარო და კერძო სტრუქტურების პარტნიორობის შესახებ

EBRD მიზნის მიღწევას- მხარი დაუჭიროს ამ პარტნიორობას სატრანსპორტო და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის სფეროში- შესაბამისი სამართლებრივი რეჟიმი სჭირდება. ამ კონტექსტში, EBRD-ის მიერ 2012 წელს ჩატარებულმა შეფასებამ აჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა დაბალია. მთავარი დოკუმენტი არის კანონი "უცხო ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გადაცემის შესახებ", მიღებულია 1994 წელს. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ კანონი არსებით გაუმჯობესებას საჭიროებს, მისი გამოყენების სფეროდან გამომდინარე. კერძოდ, კონცესიები განსაზღვრულია როგორც "გრძელვადიანი ლიზინგის ხელშეკრულებები" და როგორც ჩანს, შემოიფარგლება ბუნებრივი რესურსებითა და მათთან დაკავშირებული საქმიანობით. ფაქტობრივად, ზუსტად რომ ვთქვათ, ამ კანონის გამოყენება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებისათვის საკმაოდ შეზღუდულია. ამასთან, კანონი ნათლად არ განსაზღვრავს ხელშეკრულების დამდებ ორგანოს და როგორც სათაურიდან ჩანს, ის დისკრიმინაციულია ადგილობრივი ინვესტორების მიმართ. კანონი ითვალისწინებს იმ ობიექტების ჩამონათვალის შემუშავებას, რომლებზეც შეიძლება ან არ შეიძლება კონცესიის გაცემა, მაგრამ ასეთი სია ვერ მოიძებნა.

გარდა ამისა, კანონი შეიცავს ძალიან ცოტა დებულებას კონცესიონერის შერჩევის შესახებ და მიუთითებს რეგულაციებზე ამ კუთხით. თუმცა, ამგვარი რეგულაციების მოძიება ვერ მოხერხდა. გარდა ამისა, კანონი გულისხმობს კონცესიების რეესტრის შექმნას, მაგრამ ასეთი რეესტრიც ვერ მოიძებნა. ამდენად, შერჩევის პროცედურა არასაკმარისად რეგულირდება. კანონი შეიცავს ძალიან ცოტა ელემენტს პროექტის შეთანხმების, სახელმწიფო მხარდაჭერის და ფინანსური უსაფრთხოების კუთხით. გარდა ამისა, მკაფიოდ გამოკვეთილი არ არის საერთაშორისო საარბიტრაჟო განხილვის შესაძლებლობა.

ენერგოეფექტურობა

საქართველოში არ არსებობს ენერგოეფექტურობის შესახებ სპეციალური კანონი. ქვეყანამ მიიღო ტექნიკური დახმარება 2007 წელს ენერგოეფექტურობის კანონპროექტის შედგენაში, მაგრამ ეს პროექტი საჯაროდ არ გავრცელებულა და არც კონსულტაციებისათვის ყოფილა წარდგენილი.

დღეისათვის საქართველოს არ აქვს განახლებადი ენერჯის შესახებ კანონმდებლობაც; თუმცა, განახლებად წყაროებთან დაკავშირებული ასპექტები მოიძებნება საზოგადოდ ენერგეტიკულ კანონმდებლობაში, რადგანაც ჰიდროელექტროენერჯია უკვე დიდი ხანია ქვეყანის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა. ფაქტიურად, საქართველოში არის ჰიდროელექტრო სიმძლავრეების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოტენციალი მსოფლიოში; ეს დაახლოებით 32 ტვტ.სთ-ია წელიწადში. საქართველოს პოტენციური ჰიდრო ელექტრო წარმოება დაახლოებით 7.27 მგვტ.სთ-ია ერთ სულ მოსახლეზე, რაც მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე მსოფლიოში ყველაზე დიდი ჰიდროელექტრო რესურსების მქონე ნორვეგიასა და კანადაში.

საჭიროა უფრო გააზრებული პოლიტიკა და მიდგომა ენერგოეფექტურობის ხელშეწყობასთან დაკავშირებით; მათ შორის ზოგადი ენერგოეფექტურობის კანონმდებლობისა და ინსტიტუციონალური გარემოს, ადეკვატური გარემოსდაცვითი სტანდარტების დანერგვის პროცედურებისა და ნარჩენების მართვის რეგულირების საკითხებში. საქართველოში უნდა მოხდეს ენერგეტიკის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოს ჰარმონიზაცია, კერძო სექტორისათვის გარემოს გაუმჯობესებით და თანამედროვე და განახლებად ენერგიაზე ფოკუსირებული კანონის შემოტანით.

სასამართლო ხელისუფლება

EBRD -ის მიერ 2011 წელს ჩატარებული შეფასებისას, აღმოჩნდა რომ საქართველოს სასამართლოში კომერციული სამართლის საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, ერთ-ერთი საუკეთესოა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, საქართველოსა და მონღოლეთს შორის. ფაქტორები, რომლებიც ჯერ კიდევ უარყოფით ზეგავლენას ახდენენ სასამართლო გადაწყვეტილებების ხარისხზე, მოიცავს როგორც გარკვეულ ხარვეზებს კონკურენციის შესახებ კანონში, ასევე მოსამართლეთა დატვირთულობას. გარდა ამისა, მოსალოდნელი იყო, რომ მოსამართლეებისათვის სასარგებლო იქნებოდა შემდგომი ტრენინგები კომერციულ სამართალსა და საბაზრო პრაქტიკაში. კომერციული სამართლის გადაწყვეტილებების განხორციელება ყველაზე ეფექტურია დასახელებულ ქვეყნებს შორის. მიუხედავად ამისა, არსებობს აღსრულებელი გადაწყვეტილებების ჩამონათვალი და გარკვეული არაეფექტიანობა აღსრულების ორგანოების ფუნქციონირებაში. ბოლო დროს დანერგილი კერძო და სახელმწიფო აღმასრულებელთა ორმაგი სისტემა მიზნად ისახავს აღსრულების სტანდარტების ამაღლებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასამართლო სისტემაში ბოლოდროინდელი გაუმჯობესება განეკუთვნება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის სფეროს. ეს ნაწილობრივ აისახა სასამართლო გადაწყვეტილებების EBRD -ის მიერ ჩატარებულ შეფასებაში, რომლის თანახმადაც საქართველო კარგად შეფასდა წერილობითი გადაწყვეტილებებს მიუკერძოებლად აღქმის მიხედვით. თუმცა, როგორც ჩანს არსებობს კონსენსუსი, რომ რეალურად ამაღლდა სასამართლოს ქცევის და მიუკერძოებლობის დონე გადაწყვეტილების მიღებისას. ეს განპირობებულია იმ კონცენტრირებული და მრავალ-დონიანი ანტიკორუფციული კამპანიით, რომელიც საქართველოს მთავრობის ინიციატივით დაიწყო 2003 წელს. სასამართლოს კუთხით, ეს მოიცავდა მოსამართლეების გადამზადებას, ტესტების გავლის შემდეგ მათი უფრო გრძელი ვადით დანიშვნას და მაღალ ანაზღაურებას. გარდა ამისა, დაინერგა რეფორმა, რომელიც კრძალავს კომუნიკაციებს სასამართლოს თანამშრომლებსა და ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს შორის. მნიშვნელოვანი ჯარიმები ვრცელდება ამ დებულებების ნებისმიერ დარღვევაზე.

ანტიკორუფციულმა კამპანიამ დადებითი შედეგები გამოიღო, რასაც ადასტურებს საზოგადოების გაზრდილი ნდობა სასამართლოს მიმართ. ბევრი ადგილობრივი ადვოკატი დარწმუნებულია, რომ ქრთამის აღება მოსამართლეთა მიერ უკვე ლიკვიდირებულია საქართველოში, როგორც მინიმუმ, პირველი ინსტანციის დონეზე. ეს გამოიხატება გაუმჯობესებულ შეფასებაში, რომელსაც საქართველო იღებს კორუფციის დონესთან დაკავშირებული კვლევებში, როგორცაა EBRD / მსოფლიო ბანკის კვლევა- *ცხოვრება გარდამავალ პერიოდში*, სადაც აღმოჩნდა, რომ საქართველოში კორუფციის სავარაუდო დონე

არის ისეთი დაბალი, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.შემდგომი მნიშვნელოვანი ფაქტორი ის არის, რომ ხელისუფლება ძალიან აქტიურად ავრცელებდა ინოფრმაციას მისი ანტიკორუფციული კამპანიის შესახებ.

თუმცა, სასამართლოს სრულფასოვან დამოუკიდებლობას შემდგომი ძალისხმევა სჭირდება. როგორც ითვლება, სასამართლოები დღემდე უპირატესობას სახელმწიფოს ინტერესებს ანიჭებენ იმ საქმეებში, სადაც სახელმწიფო ინტერესები ფიგურირებს. სისხლის სამართლის საქმეებზე, ახალგაზრდა მოსამართლეები ხშირად იზრდილებიან რესურსების მქონე და ძლიერი პროკურატურის მიერ; ამ დისბალანსის დარეგულირება განზარახულია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებით. გარდა ამისა, სრული სასამართლო ვადის ნაკლებობა და სხვაგან გადაყვანის პოტენციალი საფრთხეს უქმნის სასამართლოს დამოუკიდებლობას . ხელისუფლება აგრძელებს თავის ძალისხმევას სასამართლოს გასაძლიერებლად. ყველაზე აღსანიშნავი სიახლეა,რომ 2013 წლიდან, მოსამართლეები დაინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე , განახლებადი ვადის მაგივრად.

დანართი 4 - მცირე ბიზნესის მხარდაჭერა

მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გუნდი ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემის გარდაქმნას პოტენციურად ეფექტური მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSMEs) დახმარების გზით; ასევე ხდება ადგილობრივი ბიზნესისათვის მდგრადი საკონსულტაციო ინფრასტრუქტურის შექმნა. ეს მიიღწევა ორი კომპლიმენტარული პროგრამის განხორციელებით- საწარმოთა ზრდის (EGP) და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების (BAS).

SBS გამოცდილება საქართველოში

დღეისათვის საქართველოში 2.86 მილიონი ევროა დახარჯული დონორების მიერ 1997 წლიდან EGP პროექტების უმსხვილესი დონორები ევროკავშირი, EBRD აქციონერთა სპეციალური ფონდი (SSF), ნიდერლანდები, იაპონია და სხვა ორმხრივი დონორები არიან. EGP - მ განხორციელა 38 პროექტი, რომელთაგან 7 ამჟამად გრძელდება. ეს პროექტები განხორციელდა ინდუსტრიის სხვადასხვა დარგებში; მათგან პირველ სამეულშია საკვების და სასმელის წარმოება და ქიმიური წარმოება. ჯერჯერობით, დასრულების შემდეგ 21 პროექტი შეფასდა; მათგან 48 % შეფასდა, როგორც "უაღრესად წარმატებული", და 48 %, როგორც "წარმატებული". დახმარების მიმღები საწარმოების 77 % ცნობით, გაიზარდა მათი ბრუნვა, 44 % ინფორმაციით გაიზარდა მათი დასაბეგრი მოგება, 60 %-ში გაიზარდა დასაქმებულების რიცხვი; დახმარების მიმღები საწარმოების 69%-ის ცნობით პროდუქტიულობა გაიზარდა EGP პროექტის განხორციელების შემდეგ, ხოლო საწარმოების 38 %-ში გაუმჯობესდა მოგების ზღვარი.

2003 წელს, დაწყების დღიდან, **BAS საქართველოში** მიიღო სულ € 6 მილიონი დაფინანსება. ამას უკვე ემატება 2,6 მილიონი კლიენტების შეტანილი წვლილი. 2012 წლის მესამე კვარტლის დასასრულს, პროგრამამ დააფინანსა სულ 682 პროექტი 225 კონსულტანტის საქმეში ჩართვით. პროექტები, რომლებიც მიზნად ისახავდა როგორც ბაზარზე საქმიანობის, ისე მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესებას იყო ყველაზე გავრცელებული ტიპის; დახმარების მიმღები საწარმოები წარმოადგენდნენ ინდუსტრიის ფართო სპექტრს, როგორცაა სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და საცალო და საბითუმო დისტრიბუცია- როგორც ყველაზე გავრცელებული სექტორები. დღეისათვის, საქართველოში უკვე შეაფასეს 580 პროექტი, რომლის 47 % შეაფასდა როგორც წარმატებული ან ძალიან წარმატებული.

BAS ეხმარება მცირე საწარმოებს ; პროექტების 76 %-ზე მეტი ეხება საწარმოებს, რომელსაც 50-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს. BAS საქართველოს ასევე კონცენტრირებულია სოფლის განვითარების ხელშეწყობაზე. პროექტის 50%-ზე მეტი თბილისის გარეთ მდებარეობს. 2011 წელს, BAS-მა ასევე დაიწყო ახლად წარდგენილი ETC საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების პროგრამის (AIP) განხორციელება, რომლის მიზანი საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკის და სტანდარტების ამაღლებაა მათთან EBRD-ის პოტენციური ინვესტიციების თვალსაზრისით ETC ქვეყნებში; დღემდე განხორციელდა 2 პროექტი. *BAS საქართველოში* ასევე დანერგა სპეციფიური პროგრამა „ქალები ბიზნესში“, რომელიც ქალ მეწარმეებს ეხმარება მათი ბიზნესის გაძლიერებაში სასწავლო და საკონსულტაციო მომსახურების მეშვეობით. გარდა იმისა, *BAS საქართველოში* ასევე ჩაატარა ბაზრის განვითარებისათვის (MDAs) მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო ადგილობრივი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების მენეჯმენტისა და კონსულტანტების ცოდნის სრულყოფაზე.

მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები და საკონსულტაციო სექტორი საქართველოში

MSME სექტორი და ბიზნეს გარემო

საქართველოს ხელისუფლება სისტემატურად არ აღრიცხავს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში ან მათ საერთო რაოდენობას. თუმცა, ზოგადად ითვლება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი ჯერ კიდევ ნაკლებად ეფექტურია დამატებითი ღირებულების შექმნის თვალსაზრისით. 2010 წელს, მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორზე საქართველოში დამატებული ღირებულების მხოლოდ 19.3 % და საერთო ბრუნვის 16.1 % მოდიოდა; ხოლო 2011 წელს ბრუნვაში მათი წილი შეადგენდა 14.4%-ს, სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის თანახმად. რეგიონული ეკონომიკური განვითარება ძალიან არაპროპორციულია- ბიზნესის ნახევარზე მეტი კონცენტრირებულია თბილისში. და ბოლოს, მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების მიერ ბრუნვასა და დასაქმებაში შეტანილ წვლილს შორის დიდი სხვაობა მიუთითებს, რომ ბევრია გასაკეთებელი ბიზნესის პროდუქტიულობისა და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლებს დადებითი ტენდენცია ახასიათებს, ხოლო გაურკვეველი გლობალური გარემო იძლევა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გარანტიას. ამავე რეიტინგში 183 ქვეყანას შორის მე-9 ადგილით, საქართველო არის საუკეთესო ადგილზე გარდამავალი რეგიონში მსოფლიო ბანკის 2013 Doing Business ინდექსის მიხედვით, რომელიც ზომავს თითოეული ქვეყნის შედეგებს მარეგულირებელი და ინსტიტუციური რეფორმების სფეროში. 2008/09 ბიზნეს გარემოსა და საწარმოთა პროდუქტიულობის (beeps) კვლევის მიხედვით, კომპანიების უფრო მეტმა რაოდენობამ დაასახელა ტრანსპორტი და ხელმისაწვდომი ფინანსების არარსებობა, როგორც დაბრკოლებები ბიზნესის კეთებაში, წინა -2005 წლის კვლევასთან შედარებით. თუმცა, საქართველოს ფირმების თითქმის 80 % beeps უახლეს კვლევაში ხელის შემშლელად პოლიტიკური არასტაბილურობას ასახელებს; ეს, ალბათ, რუსეთ-საქართველოს შორის 2008 წლის ომის გავლენაა.

საბანკო დაკრედიტება MSME სექტორში გაიზარდა „პროკრედიტ“ ბანკის წვლილის ზრდის შესაბამისად, რაც მნიშვნელოვან კონკურენტულ ზეწოლას ქმნის ამ სეგმენტში; რამდენიმე ბანკი ანვითარებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას. მიუხედავად ამისა, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის ფინანსურმა შუამავლებმა შექმნეს მდგრადი MSME დაკრედიტება, რაც მათ აიძულებს დაეყრდნონ მათი მფლობელების ქონებას და შეინახონ მოგება. შიდა კრედიტი მშპ-თან შედარებით 32.8% იყო 2011 წელს. ადგილობრივი კრედიტის მხოლოდ 35.8 % მოდის მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე, რადგან დიდი ბანკები, რომლებიც ბაზარზე დომინირებენ აქცენტს დიდი საწარმოების დაფინანსებაზე აკეთებენ. ფინანსების ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო შეზღუდული გახდა კრიზისის დროს და კომპანიების ნახევარზე მეტი ამას აღქვამდა როგორც მნიშვნელოვან დაბრკოლებას 2009 წელს, როდესაც 2008 წელს მათი რაოდენობა ერთ მესამედს შეადგენდა; მიუხედავად კარგად განვითარებული ქსელის და ინსტიტუციონალური სტრუქტურების არსებობისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს (MFIs) არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური კაპიტალი მიკრო სესხებზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოების მზარდი საჭიროებებისათვის. საქართველოში ამჟამად ორმოცდაჩვიდმეტი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოქმედებს. მიკროსაფინანსო საინფორმაციო ბირჟის (MIX) თანახმად, მიკროსაფინანსო დაკრედიტებამ მშპ-ის 4%-ს მიაღწია 2010 წლის ბოლოსათვის.

საკონსულტაციო ბაზარი

საქართველოს საკონსულტაციო სექტორის წინაშე გარდამავალი ეტაპის დიდი გამოწვევებია, რომლებიც დაკავშირებულია მცირე და საშუალო ბიზნესთან. გარდა საბაზისო ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურებისა, მოთხოვნა საკონსულტაციო მომსახურებაზე შედარებით სუსტია და შესაძლოა შეთავაზებული სპექტრისა და ხარისხის სრულყოფა. კონსულტანტების დიდი უმრავლესობა სპეციალიზირებულია ფინანსური მართვისა და კომპიუტერიზებული ფინანსური სისტემების სფეროში, ბაზრის ანალიზსა და დაგეგმვაში; ასევე განვითარების დაგეგმვაში. ამასთანავე, არსებობს რეორგანიზაციასა და რესტრუქტურისაციის სფეროში გამოცდილი კონსულტანტების ნაკლებობა; ასევე საინჟინრო კვლევების სფეროშიც. საბაზრო შეღწევა არაადეკვატურია, რაც ხაზს უსვამს ხელის შეწყობა საჭიროებას; მრეწველობა ისევ ფრაგმენტირებულია. საქართველოში იმყოფება ზოგიერთი, მეორე რანგის საერთაშორისო საკონსულტაციო ფირმა, მაგრამ, როგორც წესი, არ ემსახურებიან მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორს. არ არსებობს მართვის კონსულტანტების პროფესიული ასოციაცია, რომელიც იაქტიურებდა ადგილობრივი საკონსულტაციო ინდუსტრიის გასაძლიერებლად; ამიტომაც ბაზარი ძირითადად დონორების დახმარებას ეყრდნობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ინფრასტრუქტურა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო პასუხისმგებელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პოლიტიკის შემუშავებაზე. მათი განვითარება და მხარდაჭერა გაწერილია "მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის" შესახებ კანონში, რომელიც 1999 წელს მიიღეს.

საქართველო სავაჭრო და სამრეწველო პალატა აერთიანებს ყველა რეგიონულ პალატას და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს ქართულ ბიზნეს საზოგადოებას. პალატის ძირითადი მიზანია საქართველოში ბიზნეს-პირების წარმომადგენლობა და მათი ინტერესების დაცვა. საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია და საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია ასევე ასრულებენ თავის ფუნქციას მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერაში. ქვეყანაში 30-ზე მეტი კერძო ბიზნესს მომსახურების მიმწოდებელი კომპანია მოქმედებს. უმრავლესობა საფასურის სანაცვლოდ ბიზნესის მომსახურებას უზრუნველყოფს, მცირე და საშუალო და დამწყები ბიზნესების ჩათვლით; თუმცა, არსებობს ინსტიტუციური მხარდაჭერის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საჭიროება.

საქართველოში SBS პროგრამების გაგრძელება

ბანკის SBS პროგრამები ქვეყანაში გააგრძელებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას, საწარმოს პირდაპირი მხარდაჭერით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში კონკურენტუნარიანი და მდგრად კერძო სექტორის განვითარებას. პროგრამები ყურადღებას გაამახვილებს საქმიანობის პრიორიტეტული დარგებზე, როგორცაა სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, წარმოება, ტრანსპორტი და ლოგისტიკა, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიები.

პროგრამები ხელს შეუწყობს კლიენტს ფინანსებზე წვდომაში EBRD-ის და მისი პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით. ასევე ყურადღება მიექცევა სოფლის განვითარებას, გენდერული თანასწორობის და გარემოს დაცვის გაუმჯობესების საკითხებს.

EGP გეგმავს, მხარი დაუჭიროს მართვის უნარების გადაცემას. EGP იმუშავებს საწარმოებთან, რომლებსაც ზრდის მაღალი პოტენციალი აქვთ ექსპორტისა და მშპ-ში წვლილის შეტანის თვალსაზრისით. გარდა ამისა, იგი ყურადღებას გაამახვილებს ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიებზე და დაეხმარება მათ პროდუქციის ინტერნაციონალიზაციასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობაში. EGP ყურადღებას გაამახვილებს კონკრეტული სახის რჩევებზე, როგორცაა ორგანიზაციისა და მართვის ჩვევები, სტრატეგიული დაგეგმვა, გაყიდვები და მარკეტინგი, ასევე ბიზნესის დაგეგმვა.

BAS გეგმავს, საშუალება მისცეს მცირე და საშუალო ბიზნესებს ისარგებლონ საკონსულტაციო მომსახურებით- მიამაგრებს რა ადგილობრივი კონსულტანტებს პროექტებზე. გამოყენებული იქნება მოქნილი საგრანტო სქემა, რის მეშვეობითაც ყოველწლიურად განახლებადი მატრიცის საშუალებით თავიდან აცილებული იქნება ძალისხმევის დუბლირება საერთაშორისო დონორ და სამთავრობო ორგანიზაციებთან. როგორც წესი, დიდი ოდენობის გრანტები იქნება გამოყოფილი მცირე საწარმოების, დიდი ქალაქების გარეთ მდებარე საწარმოების, კომპლექსური საკონსულტაციო მომსახურებისათვის (მაგ. ენერგოეფექტურობა) და ისეთი პროექტებისათვის, სადაც ბაზრის მოთხოვნა ნაკლებია, განსაკუთრებით კი გარემოსდაცვითი მენეჯმენტში.

საბაზრო დონეზე, SBS ხელს შეუწყობს პრიორიტეტული დარგებში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვას, წარმატებული მაგალითებისა პოპულარიზაციითა და ტრენინგების საშუალებით. ამგვარად, ამ პროცესში, ასევე შეიქმნება პლატფორმა მცირე და საშუალო ბიზნესებს, საკონსულტაციო ფორმებსა და კერძო ბიზნესის განვითარების ორგანიზაციებს შორის დიალოგისთვის. SBS ხელს შეუწყობს ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების გამოყენებას, რათა მოხდეს მოთხოვნის სტიმულირება და გააძლიეროს ადგილობრივი საკონსულტაციო სექტორის პროფესიონალიზმი რეგიონებში. SBS შეეცდება განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერი მდგრადი ინფრასტრუქტურა, ადგილობრივი კონსულტანტების დახმარებისა და განვითარების მეშვეობით.

გარდა ამისა, BAS საქართველო გააგრძელებს ETC საბუღალტრო აღრიცხვის გაუმჯობესების პროგრამის (AIP) განხორციელებას, იმ მიზნით რომ გაუმჯობესდეს საწარმოს ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკა და ამაღლდეს სტანდარტები, EBRD-ის პოტენციური ინვესტიციებისათვის მოსამზადებლად. BAS ასევე შეეცდება, კლიენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს დაფინანსება EBRD-ის პარტნიორი ბანკების და სხვა ფინანსური ინსტიტუტების საშუალებით.

დანართი 5 - ტექნიკური თანამშრომლობა

დონორის TC ვალდებულებები EBRD, 2010-2012

დონორი	TC ვალდებულებები(€)
ადრეულ გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნების ფონდი	235,683
EBRD აქციონერთა სპეციალური ფონდი	3,368,038
ევროკავშირი	6,277,502
ფინეთი	494,075
გერმანია	17,140
ირლანდია	57,000
ნიდერლანდები	91,631
სლოვაკეთის რესპუბლიკა	254,000
შვედეთი	1,226,886
ტაიპეი, ჩინეთი	55,886
საერთო ჯამი	12,077,841

TC ვალდებულებები სექტორის მიხედვით EBRD, 2009-2011

სექტორი/ჯგუფი	TC ვალდებულებები (€)	
მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება*	SBS	2,272,099
	აგრობიზნესი	32,944
	საწარმოების მხარდაჭერა	31,449
E2C2	E2C2	291,516
გარემოს დაცვა	გარემოს დაცვა	149,159
ფინანსური ინსტიტუტები	ფინანსური ინსტიტუტები	3,226,439
LTT	LTT	748,075
ინფრასტრუქტურა	MEI	5,326,160
საერთო ჯამი	12,077,841	

შენიშვნა: ვალდებულების რაოდენობა წლის ბოლოს ან პერიოდის ბოლოს მიხედვით ყოველწლიურად.

*ეს სექტორი მოიცავს მცირე და საშუალო ბიზნესის პირდაპირ დახმარებას და არაპირდაპირი დახმარებას პოლიტიკის განსაზღვრაზე EBRD-ს, ხელისუფლებასა და კომერციული / ბიზნეს ასოციაციებს შორის დიალოგის საშუალებით (მაგალითად, საინვესტიციო საბჭოები).

დანართი 6 - ზოგიერთი ეკონომიკური მაჩვენებელი

	2007	2008	2009	2010	2011	2012 შეფასებ ა	2013 პროეცი რება
წარმოება და ხარჯები	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
GDP	12.3	2.4	-3.8	6.3	7.2	6.1	5.0
ინდუსტრიის ჯამური პროდუქცია შრომის ბაზარი ¹	15.0	1.2	8.5	12.5	11.2	არ მიეს.	არ მიეს.
საშუალო თვიური გამომუშავება (წლიური საშუალო)	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
საშუალო	32.5	45.3	4.1	7.3	12.0	5.5	არ მიეს.
ხელფასის რეალური ზრდაLCU	21.3	32.1	2.3	0.2	3.2	6.5	არ მიეს.
უმუშევრობის მაჩვენებელი (წლის ბოლო) ფასები	<i>(სამუშაო ძალის პროცენტი)</i>						
სამომხმარებლო ფასები (წლიური საშუალო)	13.3	16.5	16.9	16.3	15.1	არ მიეს.	არ მიეს.
სამომხმარებლო ფასები (წლის ბოლო)	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
სამომხმარებლო ფასები (წლიური საშუალო)	9.2	10.0	1.7	7.1	8.5	-0.9	3.0
სამომხმარებლო ფასები (წლის ბოლო)	11.0	5.5	3.0	11.2	2.0	-1.4	არ მიეს.
ფინანსური მაჩვენებლები	<i>(მშპ-ს პროცენტი)</i>						
მთავრობის საერთო ბალანსი	-4.7	-6.3	-9.2	-6.6	-3.6	-2.9	-2.8
საერთო შემოსავლები	29.3	30.7	29.3	28.3	28.2	28.7	არ მიეს.
საერთო ხარჯები	28.4	32.7	35.8	33.1	29.1	29.4	არ მიეს.
საელმწიფო ვალი	19.1	23.5	30.9	33.5	29.7	32.7	არ მიეს.
მონეტარული და საფინანსო სექტორები	<i>(პროცენტული ცვლილება)</i>						
ფულადი მასა (M2, წლის ბოლო)	54.0	7.9	7.8	23.9	20.3	20.4	არ მიეს.
კერძო სექტორზე გაცემული კრედიტი (წლის ბოლო)	75.9	25.4	-14.7	15.4	29.6	12.9	არ მიეს.
ვადაგასული სესხის წილი	<i>(ჯამური სესხების პროცენტი)</i>						
სარგებელი და ვალუტის კურსი	2.6	12.8	17.9	12.5	8.6	9.4	არ მიეს.
ადგილობრივ ვალუტაში დეპოზიტის წილი	<i>(პროცენტი წელიწადში, წლის ბოლო)</i>						
უცხოურ ვალუტაში დეპოზიტის წილი	12.0	11.2	10.7	10.2	12.1	9.4	არ მიეს.
საპროცენტო განაკვეთი ადგილობრივ ვალუტაში	8.3	9.2	9.2	7.6	9.1	8.3	არ მიეს.
საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში	19.6	24.1	23.4	22.6	23.5	21.7	არ მიეს.
საპროცენტო განაკვეთი უცხოურ ვალუტაში მოკლე ვადიანი სესხის განაკვეთი / შეღავათიანი განაკვეთი/ რეფინანსირების განაკვეთი	18.7	21.9	19.3	14.9	15.6	14.6	არ მიეს.
ვალუტის კურსი (წლის ბოლო)	10.0	8.0	5.0	7.5	6.8	5.3	არ მიეს.
ვალუტის კურსი (წლიური საშუალო)	<i>(ლარი-დოლარი)</i>						
ვალუტის კურსი (წლის ბოლო)	1.6	1.7	1.7	1.8	1.7	1.7	არ მიეს.
ვალუტის კურსი (წლიური საშუალო)	1.7	1.5	1.7	1.8	1.7	1.7	არ მიეს.
გარე სექტორი	<i>(მშპ-ს პროცენტი)</i>						
მიმდინარე ანგარიში	-19.7	-21.9	-10.6	-10.3	-11.8	-11.5	არ მიეს.
სავაჭრო ბალანსი	-26.7	-29.8	-19.2	-17.8	-18.5	-19.6	არ მიეს.
საქონლის ექსპორტი	20.5	19.0	17.6	21.2	22.5	21.7	არ მიეს.
საქონლის იმპორტი	-49.0	-49.0	-39.9	-43.4	-46.2	-45.9	არ მიეს.
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია	17.1	12.2	6.1	7.0	6.8	7.0	არ მიეს.
ჯამური რეზერვი, ოქროს გარდა (წლის ბოლო)	13.4	11.5	19.6	19.9	20.3	18.0	არ მიეს.
საგარეო ვალი	38.5	44.0	58.0	62.0	53.3	55.0	არ მიეს.

სახელმწიფო ვალი	17.5	20.9	31.4	33.7	33.0	არ მიეს.	არ მიეს.
კერძო ვალი	21.0	23.1	26.6	28.3	20.3	არ მიეს.	არ მიეს.
	<i>(საქონლისა და მომსახ.იმპორტის თვეების განმავლ)</i>						
ჯამური რეზერვი, ოქროს გარდა (წლის ბოლო)	2.2	3.4	4.2	3.7	4.4	4.1	არ მიეს.
მემორანდუმის პუნქტები	<i>(გამოისახება მითითებულ ერთეულებში)</i>						
მოსახლეობა(წლის ბოლო, მილიონები)	4.4	4.4	4.4	4.5	4.5	4.5	არ მიეს.
	16.99	19.07	17.98	20.74			
GDP (მლრდ. ლარი)	4	5	6	3	24.344	26.139	არ მიეს.
	2,321	2,917	2,426	2,604.	3,209.		
GDP per capita (ა.შ.შ. დოლარში)	.5	.7	.9	1	4	3,519.6	არ მიეს.
ინდუსტრიის წილი GDP (%)	9.1	8.6	7.7	16.9	15.5	na	არ მიეს.
სოფლის მეურნეობის წილი GDP (%)	9.2	8.1	8.1	7.3	7.6	na	არ მიეს.
FDI (მლნ.აშ.შ დოლარი)	1,674	1,494	677	679	829	970	არ მიეს.
საგარეო ვალი - რეზერვები (მლნ.აშ.შ დოლარი)	4,429	5,819	6,937	7,505	8,966	8,665.3	არ მიეს.
საგარეო ვალი/საქონლისა და მომს. ექსპორტი (%)	123.7	154.4	197.4	179.4	160.5	143.1	არ მიეს.
ფულის მასა (M2, მშპ-ს %, წლის ბოლო)	24.1	23.2	26.5	28.5	29.3	32.5	არ მიეს.

დანართი 7 - გენდერული თანასწორობა

გენდერული უთანასწორობა და ადამიანური განვითარება

გაეროს განვითარების პროგრამის 2011 ადამიანის განვითარების ინდექსის (HDI) თანახმად, საქართველო განეკუთვნება მაღალი ადამიანური განვითარების მქონე ქვეყნებს. მას 75-ე ადგილი უკავია 187 ქვეყანას შორის. HDI შედგება სამი ფაქტორისგან: ჯანდაცვა, განათლება და ღირსეული ცხოვრების სტანდარტი. UNDP-ის გენდერული უთანასწორობის მაჩვენებლის მიხედვით (GII) ქვეყანა 73-ე ადგილზეა, გლობალური მასშტაბით, ეს არის შედგენილი საზომი, რომელიც ადგენს ქვეყანაში გენდერული უთანასწორობა გამო განუხორციელებელ მიღწევებს და იყენებს სამ ფაქტორს ამის გასაკეთებლად: რეპროდუქციული ჯანმრთელობა, უფლებამისღება და შრომის ბაზარზე მონაწილეობა.

მონაწილეობა სამუშაო ძალაში და ანაზღაურების განსხვავება გენდერის მიხედვით

საქართველოში ქალთა მონაწილეობა სამუშაო ძალაში უფრო მცირეა, ვიდრე მამაკაცების. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, 2010 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის ქალთა წილი სამუშაო ძალაში იყო 56%, მამაკაცების 74 %. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის თანახმად, ქალთა გამომუშავება საშუალოდ 42,6%-ით ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების, როცა გათვალისწინებული იყო საშუალო ყოველთვიური შემოსავალი. საქართველოს აქვს სიდიდით მესამე გენდერული უთანასწორობა EBRD რეგიონში, აზერბაიჯანისა და ტაჯიკეთის შემდეგ.

მაჩვენებელი	ქალი	მამაკაცი	წელი
სამუშაო ძალაში მონაწილეობის მაჩვენებელი	56%	74%	2010
განსხვავება ანაზღაურებაში გენდერის მიხედვით	42.6%		2010

წყარო: მსოფლიო ბანკი; გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია

UNESCO-ს მონაცემების თანახმად, 2008 წელს ყველა უმაღლეს პროგრამების კურსდამთავრებულთა შორის ქალების წილი უფრო მაღალი იყო, ვიდრე მამაკაცების (57 %-ქალები და 43% მამაკაცი). აღსანიშნავია, რომ 2010 წელს, განათლების სფეროში კურსდამთავრებულთა 73 პროცენტი ქალი იყო და კურსდამთავრებულთა მხოლოდ 30 პროცენტი იყო ქალი მათ შორის, ვინც დაამთავრა საინჟინრო, საწარმოო და სამშენებლო სპეციალობები. გენდერულ განსხვავებას ეს ტენდენცია სფეროების მიხედვით, შეინიშნება ბოლო ათი წლის განმავლობაში. ეს გენდერული სეგრეგაცია განათლებაში იწვევს სეგრეგაციას შრომის ბაზარზე, რასაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს.

საქართველო:ჯამური დასაქმება დარგის მიხედვით	მამაკაცი	ქალი
მშენებლობა	93%	7%
ტრასპორტი, საწყობი და კომუნიკაციები	92%	8%
სამთამადნო მოპოვება და დამუშავება	91%	9%
ენერგეტიკა, გაზისა და წყლის მომარაგება	81%	19%
წარმოება	73%	27%
უძრავი ქონება,გაქირავება	62%	38%
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა და მეტყვევობა	49%	51%
ფინანსური შუამავლობა	46%	54%
სასტუმროები და რესტორნები	39%	61%
განათლება	17%	83%
ჯანდაცვა და სოციალური სამუშაოები	16%	84%

წყარო: Laborsta, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2008

2012 წლის ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების (WEO) ინდექსის თანახმად, რომელიც 128 ქვეყანას ანიჭებს რეიტინგს იმის მიხედვით, თუ რამდენად არის ქალის ეკონომიკური წინსვლისათვის პირობები, საქართველოს 59-ე ადგილი უკავია გლობალურ მასშტაბით. ქვეყანას მე-15-ე ადგილი უკავია EBRD-ის რეგიონის 33 ქვეყანას შორის, შრომითი პოლიტიკის და პრაქტიკის მაჩვენებლის (WEO ინდექსის ქვე-ინდექსი) მიხედვით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს, მათ შორის დეკრეტულ და მამობის შვებულების საკითხებს, თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპს, და ბავშვზე ზრუნვის მომსახურების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს.

სრული ოდენობით ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების სავალდებულო მინიმალური ხანგრძლივობა არის 126 დღე და უფასო დეკრეტული არის 351 დღე. კანონი არ ითვალისწინებს მამობის შვებულებას. მსოფლიო ბანკი / IFC -ის, ბიზნესისა და სამართლის 2012 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში არ არსებობს კანონი ან კონსტიტუციური დებულებები, რომელიც თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების გადახდას ავალდებულებს. ასევე არ არსებობს კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ არადისკრიმინაციულ გენდერულ პრაქტიკას სამუშაოზე აყვანის დროს. აღსანიშნავია, რომ საქართველო ორ სხვა ქვეყანასთან ერთად- ტუნისი და უზბეკეთი-შედის EBRD-ის რეგიონის იმ ქვეყნების სამწევრიან ჯგუფში, რომლებსაც არ გააჩნიათ „თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების“ კანონმდებლობა. შრომითი უფლებების ამ ნაკლით ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ანაზღაურების არსებული დიდი განსხვავება გენდერის მიხედვით.

მეწარმეობა და დაფინანსების ხელმისაწვდომობა

საქართველოში არ არსებობს მნიშვნელოვანი გენდერული სხვაობა ფორმალური ფინანსურ მომსახურების ხელმისაწვდომობაში. მსოფლიო ბანკის გლობალური ფინანსური ჩართულობის მონაცემთა ბაზის მიხედვით (გამოკითხული იყო დაახლოებით 1 000 ადამიანი, შემთხვევითი შერჩევის გამოყენებით), 2011 წელს ზრდასრულ მამაკაცთა 31%-ს და ქალთა 35%-ს ჰქონდა ანგარიში ოფიციალურ საფინანსო ინსტიტუტებში. თუმცა, ოფიციალურ ფინანსურ ინსტიტუტებში ანგარიშის ქონის აბსოლუტური მაჩვენებელი დაბალია როგორც მამაკაცების, ისევე ქალებისთვისაც.

ბიზნეს გარემოსა და საწარმოების 2008 წლის კვლევის თანახმად, საქართველოში გამოკითხული 373 ფირმიდან 40,8%-ის მფლობელთა შორის იყო ქალი და 19,8%-ს ჰყავდა ქალი უმაღლეს მმართველობაში. გამოკითხულ ფირმებში, ქალები სრულ განაკვეთზე მომუშავეთა 42.8%-ს შეადგენდნენ. თუმცა, ქალების მხოლოდ 11.3% იყო მუდმივ, სრულ განაკვეთზე არა-საწარმოში მომუშავე. Beeps კვლევის ფარგლებში გამოკითხული ფირმების იმ 14.5 %-დან, რომლებმაც სესხზე განაცხადი წარადგინეს საქართველოში და უმაღლეს მენეჯმენტში ქალი ჰყავდათ, 12.5%-ს უარი ეთქვა სესხებზე. შედარებისთვის- ფირმების იმ 85.5 % -დან, რომელთაც არ ჰყავდათ ქალი უმაღლეს მენეჯმენტში , სესხზე უარი ეთქვა 14.1 %-ს.